მ ა ტ ი ა ნ ე

ჟურნალი გამოდის 1989 წლიდან, 26 მაისი, 2018 წ. 1-2 (23-24)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი -
- ეროვნული აღორძინების"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი



„ნამდვილი დამოუკიდებლობის გზა, ჩემი აზრით, ეროვნული სულის, ეროვნული ხასიათის რესტავრაციით, მრავალი თვალსაზრისით უკვე დაკარგული ეროვნული სიამაყის, ეროვნული ღირსების აღორძინებით უნდა დაიწყოს"

ზვიად გამსახურდია

გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლის იუბილეს!

1918 წლის 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე, 1991 წლის 9 აპრილთან - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღესთან ერთად, ყველაზე ძვირფასი დღეებია ქართველთა ცნობიერებაში.
ამ დღეზე ოცნებობდა ყველა თაობის ქართველი და წინაპართა ყველა თაობამ მის მოპოვებაში, ბრძოლითა, თუ სიტყვით, თავისი წვლილი შეიტანა.
ამ დღეს საზეიმოდ აღვნიშნავთ და, იმავდროულად, პატივს მივაგებთ იმ ადამიანებს და მათ ხსოვნას, ვინც თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოგვიტანა და არ ვივიწყებთ, რომ დღევანდელი თაობის ვალია მისი დაცვა და განმტკიცება.

„მოესწრებით იმ დროს, როცა საქართველო თავისუფალი გახდება! მაგრამ იცოდეთ, თუ მაშინაც, დამოუკიდებელ ქვეყანაში, თავისუფლებისთვის შეწყვეტთ ბრძოლას, ამ თავისუფლებას დაკარგავთ თქვენც და ქვეყანაც".

მერაბ კოსტავა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ზვიად გამსახურდიას

სიტყვა 1989 წლის 26 მაისს

საქართველოს ძენო და ასულნო!

ძმანო და დანო! გეორგიანნო!

ქრისტე აღსდგა!

ჩვენთან არს ღმერთი!

ჩვენი არსებობა, ჩვენი ყოფა დღიდან დასაბამისა ადასტურებს, რომ ჩვენთან არს ღმერთი და რომ ჩვენთან მარადის იქნება ღმერთი.

და ამ რწმენით, და ამ შეგნებით ვძლიეთ უთვალავ მტრებს, ბნელეთის ძალებს, ბნელეთის იმპერიებს და ბნელეთის იმპერიათა შორის უდიდესსა და უბოროტესსაც დავამარცხებთ! რამეთუ ჩვენთან არს წმინდა გიორგი, რამეთუ ჩვენთან არს წმინდა სისხლი ჩვენი მოწამეებისა, რომელიც დაიღვარა საქართველოსთვის, დაიღვარა ქრისტესთვის, კვლავაც დაიღვარა 9 აპრილს!

დიახ, მოწამეთა სისხლი, რომელიც შეუერთდა იმ წმინდა მოწამეთა სისხლს, ასიათასთა და მრავალთა ბევრთა მოწამეთა სისხლს და ეს მოწამეთა სისხლი გვიხსნის ჩვენ, მეგობრებო!

ეს არის ჩვენი ერის გზა. სხვა გზა ჩვენს ერს არ გააჩნია. ჩვენი გზა არის მოწამეობრივი გზა, გზა ქრისტესი, გზა ეკლის გვირგვინისა, ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა!

წმინდა გიორგის ხატზე, ქართულ ხატებზე, დრაკონის ადგილას გამოხატულია რომის იმპერიის სიმბოლო — დიოკლეტიანე, რომელსაც წმინდა გიორგი გმირავს სიმართლის და ვაჟკაცობის შუბით. ასევე განგმირავს საქართველო დრაკონის ახალ იმპერიას!

გაუმარჯოს, დამოუკიდებელ, თავისუფალ, ქრისტიანულ, უძლეველ საქართველოს!”

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა
და
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების"

ერთობლივი დადგენილება-რეზოლუცია

საქართველოს რესპუბლიკის, მისი მთავრობისა და მოქალაქეობის სტატუსის შესახებ

ცივილიზაციის განვითარება იმ ფაზაში შევიდა, როდესაც მოწინავე ქვეყნები ერთობლივად ცდილობენ გადაჭრან ზოგადსაკაცობრიო პრობლემები. კაცობრიობის, მოქალაქეობრივი შემწყნარებლობის, მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დაცვის უმაღლესი შეგნება, ყოველთვის სახელმწიფოებრიობის მყარ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს, ურომლისოდაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ განვითარდება და განმტკიცდება როგორც სახელმწიფო. ჩვენი სააზროვნო არსენალიდან დღეს ბევრი რამ საჭიროებს აუცილებელ სამართლებრივ გამოსწორებას, სულიერ ფასეულობათა სასწრაფო და გადაუდებელ გადარჩევა-გადაფასებას. სიცოცხლისათვის, არსებობისათვის, გადარჩენისათვის, მემკვიდრეობის დატოვება–გაგრძელებისათვის, სწავლისა და ზრდა-განვითარებისათვის ბრძოლამ დღეს მოითხოვა ადამიანის ახალი მიდგომისა და პარადიგმის აუცილებლობის შეჰქმნა: გულისხმიერად მოქცევა, შემოქმედებითად გამოყენება და საზოგადოებისათვის პატიოსანი სამსახური დადგა დღის წესრიგში. ადამიანმა უნდა გააკეთოს არჩევანი დაბალი იერარქიიდან მაღლისაკენ: წინააღმდეგობა-აჯანყებიდან, ბოროტი დამორჩილებიდან და საკუთარი სურვილის დათმობიდან ხალისიან თანამშრომლობამდე, გულსავსე ვალდებულებამდე და შემოქმედებით აღტკინებამდე.

ისტორიული პროცესების განვითარების დიალექტიკა თავისთავად გვკარნახობს არსებულ წარმოდგენათა გარკვეული კორექტირების აუცილებლობას. ჩვენი სააზროვნო არსენალიდან დღეს ბევრი რამ საჭიროებს აუცილებელ სამართლებრივ გამოსწორებას, სულიერ ფასეულობათა სასწრაფო და გადაუდებელ გადარჩევა-გადაფასებას, რაც მომავალში ქართველი ერის ისტორიული მეხსიერების, დროთა მიერ ტრაგიკულად დარღვეული კავშირისა და „ჩატეხილი ხიდების" გამრთელების აუცილებელ წინაპირობად უნდა იქცეს.

საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის (1990-1991 წლების ცვლილებებითა და დამატებებით) კონსტიტუციიდან გამომდინარე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა 1990 წლის 28 ოქტომბერს, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა, ამით დაიწყო ახალი ხანა, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს ჭეშმარიტად საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით. საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს არსებული კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით კვლავაც კანონიერად მოქმედებს გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი.

გარდამავალი პერიოდი კი, თავისთავად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი პერიოდის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომლის განმავლობაში უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები.

აღსანიშნავია, რომ 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმით საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობამ ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმის შედეგი გახდა დამატებითი სამართლებრივი და ზნეობრივი საფუძველი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებისა, რითაც მთელ მსოფლიოს ეცნობა ქართველი ერისა და მთლიანად საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ერთსულოვანი ნება.

საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის (1990-1991 წლების ცვლილებებითა და დამატებებით) კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს რესპუბლიკა არის სუვერენული, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც გამოხატავს საქართველოს მოსახლეობის ერთობლივ ნებას და უზრუნველყოფს მისი ყველა მოქალაქის ინტერესების დაცვას, განურჩევლად მათი ეროვნული და სარწმუნოებრივი კუთვნილებისა.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია სამართლებრივად ერთიანი და განუყოფელია.

საქართველოს რესპუბლიკაში მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს. ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების - უზენაესი საბჭოსა და საკრებულოების მეშვეობით, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ. ამასთან, ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო ექვემდებარება სახელმწიფო ხელისუფლების მმართველ, ხელმძღვანელ და წარმომადგენლობით ორგანოს - საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კონტროლს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და მისი ყველა ორგანო მოქმედებს კანონიერების საფუძველზე, უზრუნველყოფენ მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

სახელმწიფო ორგანიზაციები, მოქალაქეთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებები, სხვა ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან იცავდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს.

სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები საყოველთაო-სახალხოდ განიხილება, და აგრეთვე გადაეცემა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისათვის (რეფერენდუმისათვის).

კონსტიტუციის მიხედვით, ასევე განსაზღვრულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაუშვებელია სხვა სახელმწიფოთა და მათი ნების განმახორციელებელ რენეგატთა თუნდაც ფაქტობრივ, მაგრამ მარიონეტულ ე. წ. ხელისუფალთა, თუ მათ მხარდამჭერ ორგანიზაციათა და ქვედანაყოფების ფუნქციონირება.

საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური გაერთიანების მმართველი და ხელმძღვანელი ორგანო სასურველი და სავალდებულოცაა იმყოფებოდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გარდა იმ უკიდურესი შემთხვევისა, როცა მას, დევნილობაში ყოფნის გამო, არ შეუძლია განახორციელოს თავისი უფლება-მოსილებანი საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

საქართველოს რესპუბლიკა საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის პრინციპებითა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოები, სამართალდამცავი და ეროვნული საჯარისო ფორმირებები, მოვალენი არიან დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის ინტერესები, მისი ტერიტორიული მთლიანობა, განამტკიცონ რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობა, უზრუნველყონ ნებისმიერი აგრესიის მოგერიება, სამოქალაქო მშვიდობა და პირუთვნელად შეასრულონ ამ მიზნებისაკენ მიმართული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება-გადაწყვეტილებანი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მიზანშეწონილად თვლის, რომ გარდამავალ პერიოდში - სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობისა და

კანონიერების აღდგენამდეც და შემდეგაც, საქართველოს რესპუბლიკაში უნდა არსებობდეს და ფუნქციონირებდეს: საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კონსტიტუციური სისტემა და მათი საქმიანობის პრინციპები; საარჩევნო სისტემა; სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები და პირები თავიანთი უფლება-მოსილებებით; საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტი; მართლმსაჯულება, საარბიტრაჟო სასამართლო და საპროკურორო ზედამხედველობა, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების სისტემები, რომელთა, კანონიერი კონსტიტუციის შესაბამის კანონებთან თანამედროვე ფაქტობრივ გარემოში, დღევანდელ რეალობასთან, თანხვედრაში მოყვანასა და მართვას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება - საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოს დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების საშუალებით.

კანონიერი კონსტიტუციის თანახმადვე საქართველოს რესპუბლიკას კვლავაც კანონიერად გააჩნია თავისი გერბი, დროშა, ჰიმნი, სხვა სახელმწიფოებრივი სიმბოლიკები და მისი დედაქალაქია თბილისი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი კონსტიტუციის მოქმედება და მისი შეცვლის წესიც ძირითადად განსაზღვრულია ამავე კონსტიტუციის მიხედვით.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების შესაბამისად, დღევანდელ რეალურ, ფაქტობრივ გარემოში სამხედრო-კრიმინალური და სახელმწიფო გადატრიალების შედეგად შეწყვეტილი, მაგრამ კანონიერად და სამართლებრივად დღესაც მომქმედი გარდამავალი პერიოდი კვლავაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომლის განმავლობაშიც უნდა აღმოიფხვრას ამ გადატრიალების შედეგად მიღებული უკანონობები, აღსდგეს სამართალმემკვიდრეობა, ლეგიტიმურობა და უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და თავისუფლების რეალური საფუძვლები.

საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო ფენების მიზიდულობის ცენტრი უდავოდ სამართლებრივი, კანონიერი და ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იდეა უნდა იყოს და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების კონტექსტში უნდა გავიაზროთ. სწორედ, ეროვნულ-პოლიტიკურ თვითიდენტიფიკაციაში უნდა დავინახოთ ამ მოვლენის არსი და იმპერიალისტურმა ნომენკლატურულმა ფაქტობრივმა რეჟიმმა ვერ უნდა გაუწიოს რეალური წინააღმდეგობა სამართლებრივი, კანონიერი, ეროვნული ძალების ხელისუფლების სათავეში დაბრუნების პროცესს, რამეთუ პოლიტიკური ტრანსფორმაციის შეფასება კომპლექსურ-ინდუქციური პოლიტიკური ანალიზის საფუძველზე გაცილებით მართებული, ობიექტური იქნება და უნდა შეფასდეს შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთიან სისტემაში და არა – მათგან იზოლირებულად და განყენებულად.

საქართველოს ეროვნულ–სარწმუნოებრივი მოძრაობის შინაგანი დინამიკა უნდა იყოს ე. წ. „ახალი მსოფლიო წესრიგის" არქიტექტონიკაში კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცისა და მისი ღერძული სახელმწიფოს – საქართველოს სუვერენობის საკითხის უცილობელი ჩასმა-აღდგენა და იმ ბარბაროსული კოსმოპოლიტური ოკეანედან გამოსვლა, სადაც პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის გენეზისის ეპოქაში ქართული ეროვნულობა შთაინთქა იმპერიალისტური ძალების დროებითი გარიგებებით.

თუ ჩვენ ერთ მთლიანობაში გავიაზრებთ ისტორიულ, ეროვნულ და მართლმადიდებელ–ქრისტიანულ ტრადიციებს, მხოლოდ მაშინ აღმოვაჩენთ ეროვნული ღირებულებების ჭეშმარიტ ფასეულობათა სამართლებრივ სისტემას.

საქართველოში გარდამავალი პერიოდი დასრულებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველოში აღდგება კანონიერება, სამართალმემკვიდრეობა და

მხოლოდ ასეთ სამართლებრივ სახელმწიფოდ სცნობენ სხვა სახელმწიფოები, გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, საქართველოს სრული ტერიტორიიდან გავლენ საოკუპაციო ჯარები და ამავდროულად დატოვენ ჩვენს სამშობლოს სხვადასხვა მანქურთი ორგანიზაციები. სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მიღწევა ჯერ კიდევ ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ მიღწევადია, რათა მთელ მსოფლიოს ეცნობოს ქართველი ერისა და მთლიანად საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ერთსულოვანი ნება.

როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც საერთაშორისო შეთქმულების შედეგად საქართველოდან განიდევნა კანონიერი ხელისუფლება, მას შემდეგ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას თავი შესწირა მისმა კანონიერმა პრეზიდენტმა, მას შემდეგ, რაც კანონიერ ხელისუფლებას არ ჰქონდა საშუალება საქართველოს რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებელ, სუვერენულ ქვეყნად ცნობილ იჩქერიაში გაეგრძელებინა მოღვაწეობა, საქართველოს რესპუბლიკის ემიგრაციულმა ხელისუფლებამ მუშაობა გააგრძელა საზღვარგარეთ, ევროპაში.

დღესაც, საქართველოს რესპუბლიკის ემიგრაციული ხელისუფლების - მთავრობის წევრებად ითვლებიან: არჩევითი საკანონმდებლო ორგანოს - უზენაესი საბჭოსა და საკრებულოების დეპუტატები და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, პრეფექტები, გამგებლები და ა. შ., ანუ, ყველა ის თანამდებობის პირი, რომლებსაც არავითარი ფორმით უარი არ უთქვამს თავისი კონსტიტუციური მოვალეობის შესრულებაზე, არ გადამდგარან, ლეგიტიმურ ხელისუფლებას არ შეუჩერებია მათი უფლება-მოსილება, ან არ გაუთავისუფლებია ისინი თანამდებობიდან. ლეგიტიმური ხელისუფლების წევრები შეგვიძლია პირობითად ორ ნაწილად დავყოთ: ხელისუფლების წევრები, რომლებიც მოღვაწეობენ საქართველოში და ხელისუფლების წევრები, რომლებიც მოღვაწეობენ საზღვარგარეთ, ემიგრაციაში.

ლეგიტიმური ემიგრაციული ხელისუფლების ზოგიერთი იმ წევრის ვინაობა, რომლიც მოღვაწეობს, როგორც საქართველოში, ისე ემიგრაციაში, არ ცხადდება ამ ეტაპზე აშკარად, შეგნებულად, მათივე უსაფრთხოების უზრუნველყოფიდან გამომდინარე. სახელდებიან მხოლოდ ლეგიტიმური ემიგრაციული ხელისუფლების - მთავრობის ის წევრები, რომელთა აშკარა და საჯარო მოღვაწეობა ღიადაა ნებადართული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

ამჟამად, ე. წ. ღია წევრებია: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი, ბატონი ბესარიონ გუგუშვილი, საქართველოს რესპუბლიკის პირველი ვიცეპრემიერი, მთავრობის წევრი - ბატონი იოსებ ღუდუშაური, საქართველოს რესპუბლიკის მმართველი პოლიტიკური ორგანიზაციის - „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" თავმჯდომარე, ამავდროულად საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი და მთავრობის წევრი - ბატონი ნუკრი ბაღდავაძე, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" თავმჯდომარის მოადგილე, მთავრობის წევრი - ბატონი რატი გაგოშიძე და ამათთან ერთად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმის წევრები, ამავდროულად, ასევე, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" პრეზიდიუმის წევრები: ბატონები: ნოდარ კიკნაძე (საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო მინისტრი), მირიან მაღრაძე, მალხაზ მუსერიძე და დავით კაპანაძე. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში ასევე არიან მთავრობის სხვა დახურული წევრებიც. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ევროპასა და სხვა საზღვაგარეთულ ქვეყნებში ჰყავს ასევე წარმომადგენლები, რომელთა უმეტესობა ღიად მოღვაწეობს. რაც შეეხება, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებს, ბრძანებულებებს, გადაწყვეტილებებსა და იურიდიულ დოკუმენტებს, მათი ნაწილი იბეჭდება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ბეჭდვით ორგანოში - ჟურნალ „მატიანეში", ხოლო ნაწილი გასაიდუმლოებულია.

აღსანიშნავია, რომ „ახალი პოლიტიკური ლევილი" დღესაც არსებობს. იგი კვლავ ცოცხლობს, მოღვაწეობს და პოლიტიკურად იბრძვის სხვადასხვა ქვეყანაში: ფინეთში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, შვეიცარიაში, მალტაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში . . . და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს . . . უკანონო, ძალაუფლების მქონე პუტჩისტთა მემკვიდრეებისა და მათი უცხოელ პატრონთა მიერ ოკუპირებულ და ანექსირებულ საქართველოშიც . . .

დიახ, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობა, მისი ერთგული ჯარისკაცები, დღესაც, ემიგრაციასა და სამშობლოშიც დევნილობაში იმყოფებიან . . .

ისინი დღესაც „ომში" არიან და იბრძვიან სამშობლოს გათავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის და ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიით შეიარაღებულნი ეროვნული სახელმწიფოსა და მთლიანად კავკასიის ერთობისათვის...

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონი ზვიადის მოღვაწეობა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის სახით დღესაც გრძელდება!

იგი გრძელდება საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების - მთავრობის მმართველი და პოლიტიკური ორგანიზაციების: „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების", „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების" და ამ ორგანიზაციათა მიერ დაფუძნებული საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოსა" და რაც მთავარია, ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის იდეოლოგიით გაჟღენთილი მის ურიცხვ თანამებრძოლთა მიერ. ამ ორგანიზაციებსა და მამულიშვილთა ლაშქარს კი, ბატონი ზვიადის გარდაცვალების შემდგომ, ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობა, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დღევანდელი თავმჯდომარის, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის ბატონ ბესარიონ გუგუშვილის თავმჯდომარეობით.

საბედნიეროდ, მიუხედავად მძიმე განსაცდელებისა, დევნილმა, ემიგრაციულმა მთავრობამ და კანონიერი ხელისუფლების ინსტიტუციებმა და თავად, ამ ხელისუფლების კანონიერმა წარმომადგენლობამ, მაინც შეინარჩუნა რა თავისი სტატუსი, დევნილობის პირობებში გააგრძელა მოღვაწეობა როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოშიც.

ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი კოსტიტუციური და სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზის ამოქმედება, არის ნამდვილი საშუალება და გასაღები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, აფხაზეთისა და შიდა ქართლის დასაბრუნებლადაც. ის საქართველოშია, მის უდიდებულესობა ხალხშია და მის ნება-გადაწყვეტილებაშია.

ამდენად, ლეგიტიმური აღდგენის აუცილებელი ნიშანია, არა მხოლოდ კანონიერი არჩევნების დანიშვნა, არამედ – ლეგიტიმური სამართლებრივი ბაზის ამოქმედება საქართველოს გადასარჩენად.

სწორედ ამიტომაც, აღსანიშნავი და მნიშვნელოვანია 2014 წლის 26 მაისის საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი ეროვნული აღორძინების" ერთობლივ სხდომაზე მიღებული დადგენილება 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებისა და დღემდე შემდგომი პერიოდის სამართლებრივი, იურიდიულ-პოლიტიკური შეფასების შესახებ.

აუცილებელია, მოხდეს სამართლებრივი, კანონიერი და კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა. კანონიერმა ხელისუფლებამ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უნდა დანიშნოს და ჩაატაროს ახალი არჩევნები. მხოლოდ ამ არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლება იქნება მომავალში სამართლებრივი, კანონიერი, ლეგიტიმური, ასევე უფლებამოსილი და ვალდებულიც იხელმძღვანელოს ლეგიტიმური და სამართლებრივი ბაზით.

უდაოა, რომ საქართველოში მხოლოდ ეროვნული ხელისუფლება შეიძლება იყოს კანონიერი და ვერავითარი ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალური ხელისუფლება ლეგიტიმური ვერ იქნება და ქართველი ერის ინტერესებს ვერ მოემსახურება. ქვეყნის არსებული კრიზისული მდგომარეობიდან გამოსახსნელად კი ერთადერთი გზაა – მშვიდობიანი და სამართლებრივი გზით, ეროვნულ-საეკლესიოებრივი იდეოლოგიით საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინება და განვითარება.

ისტორიის ამ ეტაპზეც კი, როცა კვლავ არსებობს და საგრძნობლად გაღრმავდა მმართველი, ფაქტობრივი რეჟიმის დელეგიტიმაციის პროცესი, საქართველოში, უახლოეს მომავალში, შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის რეალური აუცილებლობა და რასაც ხელს შეუწყობს იმპერიულ ცენტრებში მიმდინარე შიდა რღვევის პროცესებიც.

სწორედ საქართველოს ლეგიტიმურ, დევნილ ემიგრაციულ მთავრობას და მის კანონიერ ეროვნულ ინსტიტუციებს ძალუძს დაპირდეს და აუსრულოს ქართველ ერს სანუკვარი ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა და თავისუფლება!

სწორედ საქართველოს რესპუბლიკის დევნილმა, ემიგრაციულმა მთავრობამ, რეალურად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურების კოორდინაციის გზით, უნდა აიღოს პოლიტიკური ინიციატივა ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეისა და ლეგიტიმიზაციის ფაზის წარმატებით განხორციელებისათვის.

ამ ახალ ეტაპზე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის თავისებურებები კი ისაა, რომ იგი ამიერიდან სათავეში უნდა ჩაუდგეს ბრძოლას დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ ბრძოლაში, რამდენადაც მას ენიჭება დუალისტური ფუნქცია – ის, თავის კანონიერ და სამართლებრივ სტრუქტურებთან (ინსტიტუციებთან) ერთად, წარმოადგენს, როგორც ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ასევე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმმართველ ცენტრსაც, ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარ იურიდიულ ინსტიტუტს.

სამართლებრივ-პოლიტიკური ბრძოლის შედეგად, სწორედ სამართლებრივი და კანონიერი არჩევნების გზით მოსული ლეგიტიმური ხელისუფლება უნდა გახდეს ლეგიტიმურად წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირმშო, საერთო-ეროვნული სუვერენიტეტის განსახიერება და არა – სახელმწიფო გადატრიალების პროდუქტი.

კვლავაც ვაცხადებთ:

რამდენადაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, მინისტრთა კაბინეტს, ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოებს, მათ ხელმძღვანელ პირებსა და წარმომადგენლობას, ანუ მთლიანობაში დევნილ კანონიერ ხელისუფლებას დღემდე არ გამოუცხადებია თვითლიკვიდაცია, არ დაუნიშნავს ახალი არჩევნები და თავისი სამართალმემკვიდრეობა არ გადაუცია არცერთი მომდევნო ხელისუფლებისათვის;

რამდენადაც დღესაც არსებობს სამართალმემკვიდრე, კანონიერი ხელისუფლების, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების ეროვნული ინსტიტუციები და კანონიერი სახელისუფლებო წარმომადგენლობა, დღესაც და იმედია უახლოეს მომავალშიც, რეალურად შესაძლებელია მისი, კანონიერი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ბაზის ლეგიტიმური და ფაქტობრივი მოქმედება.

კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის ლეგალიზაცია და აღდგენა გარდამტეხ როლს შეასრულებს ქვეყანაში სამართლიანობისა და ამომრჩეველთა ღირსების აღდგენის, ზოგადად, საქართველოს სახელმწიფოს მოწყობის თვალსაზრისითაც.

ლეგიტიმურობა არ არის ზოგადი ცნება. ლეგიტიმური ხელისუფლება, მთავრობა კი, კონკრეტულად არის ნამდვილი, ერის ნების გამომხატველი, რეალური ხელისუფლება და მთავრობა.

ლეგიტიმურობა აუცილებელია იყოს სამართლებრივ–კანონიერი, ანუ რაციონალური. მთავარი ამოცანაა სამართლებრივი, კანონიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს

მშენებლობა, რომელიც, თავის მხრივ, უპირისპირდება ტოტალიტარულ, ავტორიტარულ სახელმწიფოებს.

ამავდროულად, აღსანიშნავი და უნიკალურია საქართველოს რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების – მთავრობის საკუთრივ სამშობლოში, თუ სხვა ქვეყანაში დევნილობაში მოქმედების, სამართლებრივი, თუ პოლიტიკური თვალსაზრისით პრეცედენტულობა.

საქართველოს სახელმწიფოს უახლოესი ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესია ის, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დევნილობასა და ემიგრაციაში კვლავაც მუშაობს და ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიით აგრძელებს თავის მოღვაწეობას.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკაში, როგორც სამართლებრივად სუვერენულ სახელმწიფოში, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობითა და მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის პირველადობის გათვალისწინებით, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ გარდამავალ პერიოდში, საქართველოში სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენამდე, იმავდროულად ითვლება, როგორც დღევანდელი ფაქტობრივი საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეები, ასევე საბჭოთა კავშირის დროის საბჭოთა მოქალაქეები, რომლებიც იმავდროულად, კანონიერი კონსტიტუციის საფუძველზე შეიძლება ჩაითვალონ როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები და მსოფლიოში ემიგრანტად მცხოვრები სხვა ქვეყნის მოქალაქენი (მათი სურვილით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში), თუ მოქალაქეობის არმქონე ყველა პირი, რომლებსაც ოდესღაც მოქალაქეობრივი, თუ მასთან მიმართული განსაზღვრული იურიდიული საფუძვლები გააჩნიათ.

მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები და სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქენი, მემკვიდრეობითობით, გენეტიკურად, თუ ეროვნული წარმოშობით დაკავშირებული, თუნდაც ყოფილი იურიდიული საფუძვლის მქონე პირები, რომლებიც რაიმე სამართლებრივი ნიშნით დაკავშირებული არიან საქართველოს სახელმწიფოსთან, მათი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღებამდე, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის არის დაწესებული. ასეთი სახის უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს სამართლებრივ და კანონიერ საქართველოს რესპუბლიკაში გარანტირებული აქვთ კანონით გათვალისწინებული უფლებანი და თავისუფლებანი. ამავდროულად, ისინი, როგორც საერთოდ ყველა სახის

უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები საქართველოს რესპუბლიკის მთელს სამართლებრივ ტერიტორიაზე, მოვალენი არიან პატივი სცენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას და დაიცვან რესპუბლიკის კანონები.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად და შესაბამისად. ამავდროულად, საქართველოს რესპუბლიკა თავშესაფრის უფლებას აძლევს საქართველოს რესპუბლიკის ყველა ყოფილ (ისტორიული წარმომავლობით მკვიდრ) მოქალაქეს, ემიგრანტსა თუ უცხოელს, რომლებიც იდევნებოდნენ და იდევნებიან საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების, დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და მშვიდობის საქმის დაცვისათვის, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერული, ან სხვაგვარი შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი და თავისუფლებანი ასევე უზრუნველყოფილია კანონიერი კონსტიტუციის თანახმად და შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა კანონიერებისა და სამართალმემკვიდრეობის აღდგენამდე, გარდამავალ პერიოდში, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის კანონის მიღებამდე, ნიშნავს პირის პოლიტიკურ-სამართლებრივ კავშირს საქართველოს სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობათა ერთიანობით, ემყარება ადამიანის ღირსების პატივისცემას, მისი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას, საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის უფლებათა დაცვას როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი დადგენილებითა, თუ გადაწყვეტილებით.

ასევე, გათვალისწინებული და განსაზღვრულია საქართველოს რესპუბლიკის ზემოთნახსენები ყველა კატეგორიის მოქალაქეების რეგისტრაცია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დროებითი დადგენილებით ჩამოყალიბებული სპეციალური სტრუქტურული სახელმწიფოებრივი რგოლის მიერ.

უდაოა, სახელმწიფო უნდა იბრძოდეს ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ, სახელმწიფოს სახელისუფლებო კანონიერებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის, მისი მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კატასტროფის წინააღმდეგ, დემოგრაფიული ექსპანსიის შესაჩერებლად, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობისათვის. მაქსიმალურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ყველა ის ძირითადი უფლებანი, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით. აღიარებულია, რომ არ არსებობს ადამიანის სამართალი. სახელმწიფოს კი აუცილებელია ჰქონდეს შეფარდებითი სამართალი, რომელსაც საფუძვლად დაედება სულიერ ღირებულებათა უპირატესობის აღიარება. დრო სწორედ სულიერ ღირებულებებს ვერ ხელყოფს, რადგან მისი დაგროვება და სრულყოფა ხდება მხოლოდ დროში.

მთავარი ამოცანაა ყველა სფეროში სახელმწიფოსა და ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

სახელმწიფოს კეთილდღეობა უმაღლესი კანონია და მისთვის თავდადებული ზრუნვა ყოველი ეროვნული ღირსების მქონე ადამიანისათვის აუცილებელი და საჭიროა. ეროვნული ღირსების იდეა ერისა და სახელმწიფოში მცხოვრები ეროვნებების ძირითადი მსოფლმხედველობის პრინციპს უნდა წარმოადგენდეს, რითაც უნდა მოხდეს ხელმძღვანელობა როგორც თეორიულ მსჯელობაში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირსების ამაღლება – ერის, სახელმწიფოს სულიერი და მატერიალური განვითარების გარანტი უნდა იყოს.

ამრიგად, საქართველოს ნამდვილ მამულიშვილს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს და სჯეროდეს, რომ უნდა ემსახუროს საქართველოს სახელმწიფოს უზენაესობას, მარადიული ჭეშმარიტების მოთხოვნებს. დიდი მიზნების მიღწევას შესაძლოა ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდეს. გამარჯვების გარანტი სწორად საქართველოს ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვაა.

არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელად ერთადერთი გზაა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელობით მშვიდობიანი და სამართლებრივი გზით საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინება და განვითარება.

საქართველოს სუვერენული და სამართლებრივი სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს საქართველოს

რესპუბლიკის მოქალაქეთა კეთილდღეობის მიღწევა, მათი უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების რეალიზაცია, სიღარიბის დაძლევა და მიმართულებით უნდა შემუშავდეს მთლიანად ქვეყნისა და სახელმწიფოს მოქალაქეთა კეთილდღეობისა და განვითარების პროგრამები.

ამავე დროს, აღსანიშნავია და უმნიშვნელოვანესია ასევე, ეროვნული ღირსების იდეა, რომელიც ქვეყნის ძირითად მსოფლმხედველობის პრინციპს უნდა წარმოადგენდეს.

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ მშვიდობიანი, პოლიტიკური ბრძოლის, დაშვებულ შეცდომათა აღიარება-მონანიებისა და მიტევების გზით უნდა შეიქმნას პირობები, საფუძველი და გარანტი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის, ოკუპაცია-ანექსიის შედეგების ლიკვიდაციისა და საქართველოს ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინებისათვის. საჭირო მკაფიო, თანამიმდევრული პოლიტიკური კურსისა და მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რაც საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფოებრივი საფუძვლების დამცავ მექანიზმად ამოქმედდება.

საქართველოს სამართლებრივმა და კანონიერმა სახელმწიფომ და მისმა ლეგიტიმურმა მთავრობამ პირუთვნელად უნდა აღასრულოს თავისი სულიერი მისია ხალხისა და კაცობრიობის წინაშე.

ამა ქვეყნის გამგებელნი სახელმწიფო ბედისანი იძახიან, რომ ერი პოლიტიკისათვის არის ქვეყანაზედ გაჩენილიო, ერის მოყვარე სახელმწიფოს გულშემატკივარებმა, კი პასუხად უნდა ვუთხრათ მათ - პოლიტიკაა ერისათვის გაჩენილი და არა ერი - პოლიტიკისათვისაო. ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისათვის ვიზრუნოთ, მისი მდგომარეობა ვაუმჯობესოთ, და მაშინ თუ ვინმე მოინდომებს ჩვენს დახმარებას და ხელის მომართვას, ხომ უკეთესი და თუ არ მოინდომებს, ის ჩვენი ნაშრომი და შენაძენი ხომ ხელიდან მაინც არ წაგვივა და ისევ ჩვენ დაგვრჩება.

ჩვენ ვნახეთ თავისუფლების გაელვება და გვახსოვს, როგორ გვიყვარდა ერთმანეთი: რა ამაყნი, ბედნიერნი, დაუმარცხებელნი ვიყავით ურთიერთს გვერდით და დღეს გათითოკაცებულთ თვალწინ გვიყიდიან დედა-სამშობლოს, ცალ-ცალკე გვხდიან სულს და გაათურებით ებრძვიან ყოველგვარი ქართული სახელმწიფოს აღდგენისა და გაერთიანების მცდელობას. მხოლოდ სახელმწიფოებრივი, ეროვნულ-სარწმუნოებრივი ქართული იდეა შესძლებს, გააერთიანოს ჩვენი სახელმწიფო, ქართველი ხალხი, აღმოფხვრას საზოგადოებრივი, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ა. შ. პრობლემები.

დღევანდელობაში გაბატონებული ზიზღი, უნდობლობა, ურთიერთგამეტება, მასობრივი დეპრესია ხელოვნურადაა მოხვეული ჩვენს თავს და დამღუპველია როგორც თითოეული ქართველისათვის, ასევე ქვეყნისთვის მთლიანობაში. მხოლოდ ამ აზრით გაერთიანებული ადამიანები - საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი შესძლებენ ქვეყნის გამოხსნას, მხოლოდ მაშინ აღიკვეთება „ცრუ თავისუფლების ინსტიტუტების" ტერორი საქართველოში, თუ გაერთიანებას საფუძვლად დაედება სულისკვეთება, განწყობა, რწმენა და სამშობლოს სიყვარული. ამ კონკრეტული კანონიერი მოთხოვნებით შესძლებს სამართლებრივი საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქენი გაწმინდოს და გადაარჩინოს მამული განადგურებას.

საქართველოს სახელმწიფოს, მისი მოქალაქეთა, ქართველი ერის მოკავშირე, მფარველი და მხსნელი უფალია და არა რომელიმე ზესახელმწიფო, ამიტომაც საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს მოვუწოდებთ გაერთიანებას სამართლებრივი, ლეგიტიმური სახელმწიფოს - საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების, მთავრობის გულწრფელი, გაუსვრელი სახელმწიფო მოღვაწეების გარშემო, ქვეყნის ტყვეობის ურთულეს გარემოში - რამდენადაც მხოლოდ მათ შეუძლიათ იხსნან სახელმწიფო, ქართველი ერი და სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ხალხი ტყვეობისაგან.

28 იანვარი, 2018 წელი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება

საქართველოს გმირის წოდების მინიჭებისა და „საქართველოს გმირის ორდენით" დაჯილდოების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით (№ 280118/2), 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებისას, საომარ სიტუაციაში სამშობლოსათვის თავდადებული მამაცობისათვის და თავგანწირვისათვის, საქართველოს გმირის წოდება მიენიჭოს და „საქართველოს გმირის ორდენით" დაჯილდოვდეს (დაღუპვის შემდეგ), საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას პირადი მდივანი და უერთგულესი თანამებრძოლი, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" მდივანი - ქალბატონი ლალი მაისურაძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე,
საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი ზესარიონ გუგუშვილი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
PRESIDENT OF THE REPUBLIC OF GEORGIA



P. S. ეს წერილი, ქალაქ გროზნოდან, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ბატონი ზვიად გამსახურდიას დავალებით, წამოიღო „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" პრეზიდიუმის წევრმა - ბატონმა ნოდარ კიკნაძემ და დედანი გადაეცა ქალბატონი ლალი მაისურაძის ოჯახს.

ზვიად გამსახურდია

დილემა კაცობრიობის წინაშე

„რარიგ ვეუცხოვე სამყაროს ცივ დენას, ნექტარიც წავიღე და შხამიც რამდენი…"

არაერთგზის თქმულა და დაწერილა, რომ მე-20 საუკუნე თვისობრივად ახალი საუკუნეა, სხვა წინამორბედ საუკუნეებთან შედარებით. თვით ზედაპირული დაკვირვებითაც ცხადია, რომ იგი, ახალი ეპოქის, ახალი ერის დასაწყისია კაცობრიობის ისტორიაში. ამ ახალი ერის გარიჟრაჟზე საუკუნის, ეპოქის სულმა ახალი, სრულიად განსხვავებული მოთხოვნები წამოუყენა ერებსა და ადამიანებს. შეიცვალა არა მარტოოდენ გარეგანი სახე ჩვენი ცივილიზაციისა, არამედ ინტელექტუალური რელიეფი, კულტურის სპეციფიკა, შეიცვალა არამარტო აზროვნებისა და მეცნიერული თუ მხატვრული ძიებების მიმართულება, შეიცვალა ჩვენი ფსიქიკა, აღმოცენდა ახალი გაგება მოქალაქეობრივი თუ ინტელექტუალური სინდისისა.

უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ საცნაურია კაცობრიობის მანამდე არნახული დიფერენციაცია. რაც უფრო ვუახლოვდებით საუკუნის დასასრულს, მით უფრო იკვეთება საშინელი დილემა, რომელიც დგას დღევანდელი საზოგადოებრიობის თუ პიროვნების წინაშე.

რა დილემაა ეს? იგი, ცხადია, უეცრად, თავისთავად არ აღმოცენებულა. მან განიცადა ევოლუცია, როგორც ყველაფერმა გასულ საუკუნეებში, განსაკუთრებით მე-19 საუკუნეში; მას მხოლოდ რჩეული გენიოსები აღიქვამდნენ და განიცდიდნენ მთელი სიმწვავით. მათ შორის უდიდესთა წვა და მარტვილობა, ხოლო ზოგჯერ კატასტროფაც ამ დილემასთან იყო დაკავშირებული. მათ დაინახეს მთელი სიცხადით, რომ ამ დილემისათვის გვერდის ავლა, ან მისთვის თვალის ვერგამართვა გამოიწვევს პიროვნების თუ საზოგადოების სრულ დეგრადაციას, მიგვიყვანს სამყაროს სრულ დეჰუმანიზაციამდე და დაღუპვამდე. ასევე შემზარავი იყო მათთვის გაცნობიერება იმისა, რომ ამ დილემის დიდმნიშვნელოვანების მიფუჩეჩებას და ყოველგვარ ნიველირებას ცდილობდა არაერთი წამყვანი მეცნიერული, თუ აზროვნებისმიერი მიმართულება იმ საუკუნისა.

ხოლო ის ერთეულები, ვინც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უმართავდა გაბატონებულ გაგებას მორალისას, სულიერი ღირებულებებისა თუ აზროვნებისმიერ ჩვევებისას, როგორც წესი ფიასკოს განიცდიდა და საუბარს იწყებდა საუკუნისათვის გაუგებარ ენაზე, რითაც კარგავდა კაცობრიობის ბედ-იღბალზე ზემოქმედების რეალურ საშუალებას.

რა დილემაა ეს დილემა, რომელიც ისტორიულად ესოდენ აღაშფოთებდა ადამიანურ სინდისს, ხოლო დღეს ჩვენი ყოფნა-არყოფნის ძირითად ფაქტორად ქცეულა? ამ დილემას სჭვრეტდნენ ჯერაც უძველეს ხალხთა ბრძენნი და მოძღვართ მოძღვარნი, რომელთა ნააზრევი და ნაგრძნობი ესოდენ დიდებულად აისახა კაცობრიობის საკრალურ წიგნებში. ოღონდ სიმწვავე ამ დილემისა მაშინ როდი იყო ესოდენ საცნაური. შეიძლება ითქვას, რომ იმჟამად ადამიანისათვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა გადაწყვეტა ამ დილემისა; მართებული, ცხოვრებისეულად გამართლებული გზის არჩევა პიროვნულ ან საზოგადოებრივ ყოფაში უნებურად ხდებოდა. იმჟამად ბრძენთა ავტორიტეტი, დიდი რელიგიების ფუძემდებელთა საკრალური პრაქტიკა საჩინოს ჰყოფდა გზას სიქველისას, ჭეშმარიტებისა, რომელსაც მხოლოდ შლეგი, ან მორალურად გადაგვარებული თუ შეაქცევდა შეგნებულად ზურგს; ამიტომაც ფსალმუნთა შექმნის ეპოქაში ათეიზმი და უგნურება სინონიმად ითვლებოდა: „სთქვა უგნურმა გულსა თვისსა შიგან – არ არს ღმერთი". (თუმცა დღევანდელ ეპოქაში,

ფსევდოინტელექტუალური „ინტელიგენციისათვის" უგნურების სინონიმად რწმენა ქცეულა).

ჟამთა ვითარებაში შეიცვალა განგების მიმართება კაცთა მოდგმისადმი. ადამიანთა ევოლუციისათვის საჭირო გახდა ჭეშმარიტებისა და სიკეთის გარდა თავისუფლების გაგება და განვითარება. ამანვე გამოიწვია თავად დილემის შესაძლებლობა. უფრო მეტიც, საბედისწერო გახდა ეს დილემა: რწმენისა და ურწმუნოების, სულიერ ღირებულებათა აღიარებისა ადამიანთა მიერ და მეორეს მხრივ, ამავე ღირებულებათა ზურგის შექცევისა და მათი მივიწყებისა.

განგებამ და ეპოქამ მოიტანა აუცილებლობა იმისა, რომ ადამიანი თავისუფალ არსებად იქცეს. ამიტომაც გაქრნენ ისტორიის არენიდან დიდი წმინდანნი და მოძღვართ მოძღვარნი, ამიტომ შესუსტდა რელიგია, ამიტომ გაძლიერდნენ ყოველგვარი ცთომილებანი აზროვნებისა და მსოფლმხედველობისმიერნი. გაძლიერდა ჯერ სკეპტიციზმი, შემდეგ კი ნიჰილიზმი, საბუნებისმეტყველო აზროვნების სფეროში ფეხი მოიდგა მატერიალისტურმა ცთომილებამ, ფილოსოფიაში რაციონალიზმმა, პოზიტივიზმმა და „იზმებმა", სახელი მათი ლეგიონია.

ყოველივე ამან გამოიწვია დილემა აზროვნების, მორალის, ეთიკის, კულტურის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების სფეროში. თუმცა მე-20 საუკუნემდე, როგორც ვამბობდი, ყოველი ადამიანისათვის ცნობიერად, თუ ქვეცნობიერად როდი გამოკვეთილა ამ დილემის სიმწვავე.

დღეს კი საკმარისია თვალი გადავავლოთ ცხოვრებას ჩვენი საუკუნის ცივილიზებული კაცობრიობისა, ნათელი გახდება თუ რაოდენ გამწვავდა ცნობიერი, თუ ქვეცნობიერი აღქმა ზემოხსენებული დილემისა. დღეს ეს დილემა ამგვარად გამოიკვეთა აზროვნების, ეთიკის თუ მორალის სფეროში: ან ვაღიაროთ, რომ დიდი სამყარო, უნივერსუმი და ჩვენ კაცობრიობა შექმნილი ვართ აბსოლუტურად კეთილი გონიერი უნივერსალური ძალის მიერ, რომ ჩვენ გვაქვს მაღალი დანიშნულება, დიადი მიზნები, რომ ჩვენი ისტორია და კულტურა არ არის მარტოოდენ რაღაც მექანიკური და ობიექტურად აუცილებელი „კანონზომიერების" შედეგი, რომ ის არ აღმოცენებულა შემთხვევით თუ უაზროდ და არ არის მატერიის ქაოტურ ძალთა მოძრაობის პროდუქტი, რომელსაც, შესაძლოა ასეთივე შემთხვევითი განადგურება უწერია; ამასთან თეორიულად ყოველივე ამის აღიარებამ უნდა მიგვიყვანოს ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულ გარდაქმნამდე. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეისთვის და არა ამქვეყნიური კეთილდღეობისთვის. ჩვენ უდა გავიღოთ მსხვერპლი, არ უნდა ვუღალატოთ ჩვენს მაღალ მრწამსს, თუნდაც რომ სიკვდილის წიაშე მოგვიხდეს წარდგომა. ეს იქნება პრაქტიკული დადასტურება ჩვენს მიერ ჩვენი უმაღლესი მოვალეობის გაგებისა. ამით მიეცემა ჩვენს ყოფას აზრი (პირველქრისტიანების კრედო); ან ვაღიაროთ საპირისპირო – ადამიანი შემთხვევითობის ან მკვდარი, უმიზეზო აუცილებლობის პროდუქტია, რომ არავითარი რეალური გონიერება არ არსებობს სამყაროს ევოლუციასა და ადამიანთა ისტორიაში. ვაღიაროთ, რომ კოსმოსი არის შემთხვევითობათა უსასრულო ქაოსის დროებითი, შემთხვევითი მოწესრიგებული ფორმა, ისე როგორც ჩვენ ვართ დროებითი, შეკოწიწებული ფორმა მატერიის უმიზნო გავითარებისა და რომ ეს ფორმა ჩვენთვის ისეთივე შემთხვევითი და წარმავალია, როგორც სფერული ფორმა საპნის ბუშტისათვის; ხოლო ამგვარმა თეორიულმა შეხედულებამ პრაქტიკაში უნდა მიგვიყვანოს შემდეგ დასკვნებამდე: რახან ყველაფერი შემთხვევითობაა, რახან ჩვენს ცხოვრებას არავითარი უზენაესი აზრი არ გააჩნია, ზურგი უნდა ვაქციოთ ყოველგვარ იდეალებს, უზენაესზე ფიქრს, ვიცხოვროთ მხოლოდ დღევანდელი დღით, ჩვენი სონატური მოთხოვნილებების, სურვილებისა და ვნებების დაკმაყოფილებებისათვის, ამსოფლიური კეთილდღეობისა და კომფორტისათვის, თავი არ შევიწუხოთ მოქალაქეობრივ ვალზე, ღმერთზე და მოყვარეზე ფიქრით, მივყვეთ ცხოვრების დინებას, ვეძებოთ „მშვიდი ცხოვრება", ამქვეყნიური ბედნიერება, ვინაიდან ჩვენს არსებობას სხვა არავითარი დანიშნულება არ გააჩნია:

„ვაი ჩვენს პატრონს, ჩვენი
ყოფის თავი და ბოლო
ჭამა და საჭმლის მონელება
თუ არის მხოლოდ"

მ. მაჭავარიანი

ან ვაღიაროთ, რომ უზენაესი რეალურად არსებობს, არსებობს მორალის გაგება, სრულყოფილი ეთიკა, რომლის განხორციელებასაც უნდა მიელტვოდეს ადამიანი, რომელსაც სურს აღსრულება თავისი ამსოფლიური მაღალი დანიშნულებისა. ან ვაღიაროთ, საპირისპირო: მორალი და ეთიკა მხოლოდ ცარიელი, უაზრო ცნებებია, ისეთ ადამიანთა მიერ გამოგონილი, რომელთაც სურთ ამ გზით დამონება და დათრგუნვა დანარჩენი კაცობრიობისა და რომელნიც თავიანთი ქვენა მიზნების განხორციელებისათვის იყენებენ ამ ცნებებს. ერთადერთი მისაღები და ცხოვრებისეულად გამართლებული ფორმაა ადამიანთა ყოფისა ცხოველურ ყოფასთან დაახლოება: ბუნებისმიერი და მატერიალური მოთხოვნილებების, პირუტყვული ინსტიქტების და ვნებების დაკმაყოფილება.

აქედან გამომდინარე, დგას დილემა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. ერთის მხრივ მოქალაქეობრივი თავგანწირვა, ნიადაგ სინდისის

კარნახით მოქმედება, სულიერი იდეალების პირველ პლანზე დაყენება, ხოლო მეორეს მხრივ, ფილისტერული, თვითკმაყოფილი ფსევდო-პრაგმატიზმი, სინდისის ხმის ჩახშობა საკუთარ სულში, თვალის დახუჭვა ყოველგვარ უმსგავსოებაზე, რომელსაც სჩადის ესა თუ ის საზოგადოებრივი წყობა თუ ცალკეული ადამიანი.

ეს გახლავთ ის მწვავე დილემა, რომელიც დგას დღეს ყოველი ჩვენგანის წინაშე. აი ის კითხვები, რომლებზეც პასუხის გაუცემლობა აუცილებლად მიგვიყვანს სავალალო მდგომარეობამდე. აი მთავარი ფესვი ყველა დღევანდელი სოციალური და ადამიანური ბოროტებისა! ჩვენ ვამტკიცებთ: მე-20 საუკუნის ადამიანს გაუმწვავდა აღქმა შეგრძნება ამ დილემისა. ამავე დროს ცხადია: ადამიანური ცნობიერების ამ განვითარების სხვადასხვა დონეებზე ამ დილემის აღქმა სხვადასხვაგვარია და მასზე რეაგირებაც. ამას განაპირობებს აგრეთვე სოციალური მდგომარეობაც, ბიოლოგიური სრულფასოვნება – არასრულფასოვნება, მატერიალური და ეკონომიური პირობები, რასული თუ ეთნიკური წარმომავლობა და ა.შ. ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აბსოლუტიზირება რომელიმე ფაქტორისა. ყველა შემთხვევაში ინდივიდუალობასთან გვაქვს საქმე და ამიტომ სურათიც უაღრესად ნაირგვარია.

ჩვენი გაგებით ამ დილემის გაუცნობიერებლობა არანაკლებ დამღუპველია ადამიანისათვის, ვიდრე მისთვის შეგნებულად ზურგის შექცევა, ვინაიდან ქვეცნობიერად, ინსტიქტურად ყველა ადამიანი გრძნობს მის დიდმნიშვნელობას და ბედითობას.

არსებობს ადამიანთა განვითარების უსასრულოდ ნაირგვარი დონეები. დღევადელი დიდი ადამიანისათვის კი დილემის პირისპირ არ არსებობს ჭოჭმანი. მათ იმთავითვე აირჩიეს ამ დილემის პირველი მხარე (ცხადია, მათაც ინდივიდუალური მიდგომითა და ნიუანსებით). ღრმა რელიგიურობა, ჭეშმარიტად იდეალისტური მსოფლმხედველობა დამახასიათებელია მათი უმრავლესობისათვის. მათი მორალი, ეთიკური სრულყოფა, მათი თავდადება იდეალისათვის, მათი ცხოვრებისეული მარტვილობა მისაბაძია კაცობრიობის შეგნებული ნაწილისათვის. ეს დიდი ადამიანები იმგვარად როდი იტანჯებიან, როდი განიცდიან იმგვარ ქენჯნას, როგორც ნიცშე ან ტოლსტოი, რომელთა შინაგანი ბრძოლა იმაზე მიგვანიშნებდა, რომ ისინი მაინც ვერ იდგნენ მყარად თავის ნიადაგზე, მაინც მსხვერპლნი იყვნენ იმ გაორებისა, რომელმაც საუკუნის სენად იჩინა იმჟამად თავი. მე-20 საუკუნის მნათობნი კი ტიტანური ურყეობითა და იდეალის სამსახურში თანმიმდევრობით გვაოცებენ. მათი მარტვილობა არა მათი პირადული ქენჯაა, არამედ ურვაა კაცობრიობისათვის. მათი აზროვნება არ ვარდება ურთიერთის გამომრიცხავ უკიდურესობებში და შემდეგ ქაოტურად არ იბინდება კვლავ ახალი სინთეზის ძიებაში. მათი მოქალაქეობრივი მრწამსი უქცევია ისევე, როგორც მათი გადაწყვეტილება საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებისა კაცობრიობის საკურთხეველზე. აი როგორია დღევანდელი დიდი ადამიანების მიმართება კაცობრიობის წინაშე მდგარი დღევანდელი დილემისადმი. ამით ისინი უფრო ძველი ეპოქის მოძღვრებსა და წმინდანებს ჰგვანან, ვიდრე მე-19 საუკუნის გაორებულ გენიოსებს.

ე. წ. დისიდენტური მოძრაობა დღევანდელ საბჭოეთში ამ დიდი ადამიანების კვალს მისდევს. დისიდენტებმა აირჩიეს პირველი მხარე ამ დილემისა, მაგრამ არა ერთნაირი წარმატებითა და გაბედულებით. უთუოდ ეს არის მიზეზი იმისა, რომ მათ შორისაც არის დონეები მსხვერპლის გაღებისა, ჭეშმარიტი გზის არჩევისა, ამ გზაზე გამბედაობისა თუ შორსმჭვრეტელობისა. იგივე გახლავთ მიზეზი მათ შორის პაექრობისა და ზოგჯერ შუღლისა. ჩვენ აქ კონკრეტულ მაგალითებს აღარ მოვყვებით, რათა რომელიმე პიროვნება არ გავანაწყენოთ, ან შეცდომა არ დავუშვათ კონკრეტულ შეფასებაში.

საბედისწერო დილემის წინაშე გმირულად იდგნენ აგრეთვე მე-20 საუკუნის მისიონერები. ისინი, ვინც საკუთარი კეთილდღეობისა და სიცოცხლის ფასად დღესაც აგრძელებენ მაცხოვრის მიბაძვას და ნერგავენ სიყვარულისა და ჭეშმარიტების სახარებას არაცივილიზებულ, ჩამორჩენილ ტომებში... ჩვენ მოწმენი გავხდით უკანასკნელ ხანებში უგანდის მთავარეპისკოპოსისა და სხვა მრავალი მისიონერის მხეცური მკვლელობისა. ისინი ჭეშმარიტად პირველქრისტიანი მოწამეებისა და შუასაუკუნეთა რჩეულ მარტვილთა დიდ საქმეთა გამგრძელებელნი არიან ჩვენს რთულსა და ტრაგიკულ დროში. იგივე ითქმის ზოგიერთი ბუდისტი მისიონერის გამო. განსაკუთრებით საბჭოთა ციხის ჯალათთა მიერ მხეცურად მოკლული ბურიატელი მისიონერის, შესანიშნავი მოქალაქისა და მოაზროვნის ბიდია დანდარონის შესახებ.

ასეთივე ნათელი და მაღალი მაგალითია ცხოვრება და მოქალაქეობა ჯონ ბრაუნისა, მარტინ ლუთერ კინგისა, ალბერტ შვაიცერისა, ამროსი ხელაიასი და სხვათა. ყოველივე ამით ცხადი ხდება, რომ მე-20 საუკუნის კაცობრიობის მასის ტოტალური გადაგვარება და განურჩევლობა ერთი მხარეა სასწორისა, რომელსაც უპირისპირდება მაღალი მორალური შეგნება დღევანდელი კაცობრიობის რჩეულთა. ტოტალიტარულ სახელმწიფოებში სამართლიანობისათვის მებრძოლნი, თუნდაც დიდი ცდომილებებითა და გზააბნეულობით რომ გამოირჩევიან, მაინც მიედრებიან ამ რჩეულებს, უკეთუ მათი ბრძოლა და მარტვილობა გულწრფელია და ქვენა მიზნებისაგან კიდეგან მდგარი.

შესაძლოა გაგვაოცოს მცირერიცხოვანობამ დასახელებული მაგალითებისა, მაგრამ ჩვენ

შევახსენებთ მკითხველს, თუ რაოდენ ვიწროა გზა ხსნისა და რაოდენ ფართოა გზა წარწყმენდისა და გადაგვარებისა, სახარების ფორმულით რომ ვთქვათ. იგივე გახლავთ მიზეზი საბჭოთა კავშირში დისიდენტთა მცირერიცხოვანებისა, რომელიც ხელზე აქვს დახვეული ჭეშმარიტებისა და სიკეთის მარადიულ მტრებს, რომელნიც ნიადაგ გაჰყვირიან: „შეხედეთ ამ ერთი მუჭა გროვას, გზააბნეული და ხალხს მოწყვეტილი ადამიანებისა! ნუთუ ისინი გამოხატავენ მრავალმილიონიანი მასების ნებას? ნუთუ მათ გააჩნიათ უფლება ილაპარაკონ ხალხის სახელით? ხალხისა, რომელმაც არც კი იცის მათი არსებობა, მათი ფიქრები და მიზანზრახვანი?"

დიახ, დიახ მეგობრებო, ბნელეთის მოციქულთა მრავალრიცხოვანო ლეგიონერებო, ისტორიაში მუდამ მცირენი იყვნენ უმაღლესი სიკეთისა და ჭეშმარიტებისათვის თავდადებულნი, მაგრამ მათი სულიერი ძალა და შემართება მარად სძლევდა მრავალრიცხოვანებას წყვდიადისას! დიახ, მარად ასე იყო: ჭეშმარიტების მშვენება და სიდიადე იმით როდი განისაზღვრებოდა, თუ იმთავითვე რამდენი იგებდნენ ან აფასებდნენ მას! მაგრამ განგების კეთილი ნება ისტორიის საჭეს სწორედ ამ მცირერიცხოვანთა გეზს უქვემდებარებდა და არა ქაოსის უზომობასა და უსახობას.

გადავხედოთ კაცობრიობის დღევანდელ ყოფას. განა ახსოვს რომელიმე საუკუნეს 2 საბედისწერო მსოფლიო ომი, მესამე მსოფლიო ომის ესოდენ რეალური საფრთხე, გამუდმებული შფოთისა და სისხლისღვრის ამდენი კერები?! რას მივაწეროთ დღევანდელი ადამიანის უგუნურება, სასოწარკვეთა, გაველურება ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით? რას მივაწეროთ ის, რომ ამ ნიჰილიზმმა, თვითუარყოფამ, ყოველგვარ სულიერ ღირებულებათა იგნორირებამ ფილოსოფიურად შექმნა საკუთარი, ათეისტური ეგზისტენციალიზმის სახით, ხოლო ადამიანის პირუტყვული მოთხოვნილებელის აბსოლუტიზაციამ, ეკონომიკურ ღირებულებათა განვითარების მიხედვით ქცევამ – შექმნა თავისი ფილოსოფია მარქსიზმის სახით? რას მივაწეროთ ის, რომ დღეს ბიოლოგიური სრულყოფისაკენ სწრაფვას, შეიქმნა იდეოლოგია ბიოლოგიური და რასული უპირატესობისა.

ყოველივე ეს შედეგია იმისა, რომ კაცობრიობის მასა უძლური აღმოჩდა ამ უმძიმესი დილემის წინაშე, მასას დილემის მეორე მხარე აარჩევიეს, ზურგი აქცევინეს ყოველგვარი სულიერი იდეალებისგან და ამის შედეგად მან ღმერთკაცობის წილ არჩია გზა მხეცკაცობისა, ბესტილიზმისა, თუმცა ამ დამღუპველი გზისათვის გამოგონილ იქნა ათასგვარი სახელები: „სოციალური პროგრესი", „ეკონომიკური კეთილდღეობა", „კაცობრიობის რასული დახვეწა" და სხვა.

საგულისხმოა, რომ ამ ტენდენციებმა უმთავრესად სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურებს დაასვეს დაღი, თუმცა ლიტერატურა, მეცნიერება და თვით რელიგიაც არ დარჩენილა მათი გამხრწნელი ზეგავლენის კიდეგან: ლიტერატურაში ვულგარული ნატურალიზმი, უხეში სოციოლოგიზმი, ფსიქოანალიზურ ჭუჭყში ქექვა, ფროიდიზმი, რასიზმი და ყოველგვარი პათოლოგიის აპოლოგია, ფსევდომოდერნიზმის, „ანტილიტერატურის" აღმოცენება. აი, საგანგაშო მეტასტაზები ამ სენისა. ფილოსოფიასა და მეცნიერებაში ვულგარული მატერიალიზმი და მარქსიზმი, მატერიალური დარვინიზმი, ე. წ. რასისტული ეთნოგრაფია, ტექნოლოგიური პროგრესის იდეალიზაცია, კიბერნეტიზმის ცალმხრივი, არასპირიტუალური განვითარება, გენური ინჟინერია, ნუკლეანური ფიზიკის უკონტროლო განვითარება და სხვანი – აი, სავალალო შედეგი ამ სენისა.

ყოველივე ეს პიროვნებაში ქვეცნობიერ პროტესტსა და ამბოხს ბადებს, მიუხედავად ამ პიროვნების განვითარების დონისა, ასაკისა, ინტელექტუალურ-მორალური მონაცემებისა. როგორც ზემოთ ვამბობდით, კაცობრიობის მასსამ ან ვერ აღიქვა, ან – ცნობიერად აქცია ზურგი ზემოხსენებულ მწვავე დილემას. მაგრამ განა იგი განთავისუფლდა ამ დილემისგან? სწორედ ამის შემდეგ იქცა მისთვის ეს დილემა დამღუპველ ძალად, მისი პიროვნების გადამგვარებელ ფაქტორად; სწორედ ამან განაპირობა მის ცხოვრებაში რთული ქაოსი და ანარქია და აი, ღირსშესანიშნავმა შედეგმაც არ დააგვიანა. განა შემთხვევითია, რომ სწორედ მე-20 საუკუნეში აღმოცენდა ჰიპებისა და ბიტნიკების მოძრაობა, არნახულად გაგვრცელდა ნარკომანია ათასგვარი სახით (დასავლეთის ქვეყნებსა და აზიაში), ალკოჰოლიზმი (საბჭოთა კავშირში), გამრავლდა თვითმკვლელობა, არნახულად გაიზარდა დამნაშავეობა, ტერორიზმი (ესპანეთი, აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, ორივე ამერიკა), დივერსიებისა და ხანძრებისაკენ მიდრეკილება (საბჭოთა კავშირი), არნახული პათოლოგიური გარყვნილება (დასავლეთ ევროპა) და სხვა.

სახის ამგვარი დაკარგვა ადამიანის მიერ გახლავთ შედეგი სწორედ იმისა, რომ დღევანდელმა ადამიანმა ვერ ჰპოვა გამოსავალი ამ რთული დილემის წინაშე, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებაში იგი ავლენს ქვეცნობიერ პროტესტს საკუთარი თავის წინააღმდეგ. იგი სასოწარკვეთილია იმით, რომ ვერ ჰპოვა გზა ჭეშმარიტი, რომელიც წილად ჰხვდა მას დაბადებით, რამეთუ კაცი ყოველი ხატი არის ღვთისა.

დიახ, ყოველი ადამიანი მოწოდებულია იმისაკენ, რომ აირჩიოს პირველი გზა, გზა ღმერთკაცობისა, მაღალი სულიერი იდეალის სამსახურისა, გზა საღვთო ქალაქის მოქალაქეობისა,

სადაც უნდა გამეფდეს სიყვარული, ჭეშმარიტება და სამართლიანობა.

მაგრამ კაცობრიობა გზას აცდინეს მტრულმა ძალებმა, მცდარმა მსოფლმხედველობებმა, დემაგოგიურმა სოციალურ-პოლიტიკურმა მიმდინარეობებმა. ნაცვლად ამ იდეალებისა მას დაუსახეს იდეალი ამსოფლიური კეთილდღეობისა, პრაქტიკული სარგებლიანობისა, სოციალურ-ეკონომიკური „სამოთხისა". აი რამ დააბნია იგი და სასოწარუკვეთა მას ესოდენ ძლიერ!

სოციალიზმის დემაგოგია, უწინარეს ყოვლისა, ყოველი ადამიანის სულის კუნჭულში და დაშვებულ პატივმოყვარეობაზე მოქმედებს. თანასწორუფლებიანობის ქველი იდეა მასას მიაწოდეს იმგვარად, თითქოს ადამიანს დაბადებითვე არ სჭირდებოდეს ინტელექტუალური და მორალური ევოლუცია და, მაგალითად ყოველ მზარეულს იმთავითვე გააჩნდეს თითქოს სახელმწიფოს მმართველის უნარი და გამოცდილება. ამან დაბადა საოცარი თვითკმაყოფილება და რეალობის გრძნობის დაკარგვა. ადამიანმა თავისი თავი დაინახა მოჩვენებით მწვერვალზე და ამით დაკარგა აღმასვლის ყოველგვარი სურვილი და მოთხოვნილება. თვით უკიდურეს სიღატაკეს შეექმნა ილუზია უკიდურესი სიმდიდრისა. დემაგოგთა ეს ილუზიონიზმი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ სულიერ გაღატაკებას რომ თავი დავანებოთ, ხორციელად უკიდურესად გაღატაკებულნი თავს უმდიდრესად თვლიან მატერიალური თვალსაზრისითაც კი. თუმც აპათია უფრო გაძლიერდა და ველურმა ინსტიქტებმა უფრო აიშვეს. სოციალიზმმა ადამიანს მისცა მოჩვენებითი და მზამზარეული კაცღმერთობა, რითაც დააკმაყოფილა პატივმოყვარეობა, ხოლო ღმერთკაცობის ნამდვილი გზისკენ სამუდამოდ დაუხშო გზა.

განა ეს დილემა არ სტანჯავდა შავნაღვლიან პრინცს დანიისას? განა მას არ აეჭვებდა შესაძლებლობა უმაღლესთან სპირიტუალური ზიარებისა, საიქიოს რეალობისა, განა იმიტომ არ ქენჯნიდა იგი საკუთარ თავს, რომ ამქვეყნიური საწუთრო კეთილდღეობის სრულ დათმობას მოითხოვდა მისგან, ვალი მოყვასის წინაშე, ვალი სამართლიანი შურისძიების აღსრულებისა? განა ამიტომ არ აირჩია მაშინ დროებითი ყოფნა, განა არყოფნისაკენ ნაბიჯი იმპულსურად არ გადადგა სისხლისღვრის ექსტაზში შესულმა?

განა ამ დილემის სიმწვავემ არ გალია ლამანჩელი რაინდი და ლანდს არ დაამსგავსა იგი, საოცნებო აჩრდილთა სამყაროდან გადმოხვეწილს ამ ცოდვილ დედამიწაზე? განა ამ დილემას არ ანაცვალა ფაუსტმა მაგიით მოპოვებული უმაღლესი სპირიტუალური კეთილდღეობა, განა ამიტომ არ დასდო პაქტი სატანასთან, რათა ზიარებოდა საწუთროს წარმავალ ბედნიერებას? განა დონ-ჟუანს საიქიოდან მობრუნებულმა კომანდორმა არ შეაცვლევინა გეზი ჩვეული ყოფა-ცხოვრებისა, რომელსაც იგი მანამდის ერთადერთ გამართლებულ გზად სთვლიდა? განა ამ დილემასთან ბრძოლაში არ გადაიჩეხა ფრიდრიხ ნიცშე კაცთმძულვარებისა და ღვთის უარყოფის უფსკრულში? განა ლევ ტოლსტოისათვის ეს მარადიული დილემაც ამსოფლიურად არ გამოიხატა ერთის მხრივ საგრაფო მამულისა და მეორეს მხრივ, ოპტინას უდაბნოს სახით? განა ამ დილემას არ გაექცა იგი ოპტინას უდაბნოში? ყოველივე ამის შედეგად განა ცხადი არ არის რომ ახალი დროის გარიჟრაჟზე ადამიანის განწყობილება და ქმედება სხვაგვარი იყო მარადიული დილემის წინაშე, ვიდრე ძველი ეპოქის კაცთათვის? დავაკვირდეთ ჩვენს თანამედროვეობას და ცხადი გახდება, რომ დღესაც სხვაგვარია სპეციფიკა დილემის წინაშე დგომისა და მისი განცდისა.

შეიქმნა უკიდურესობები პიროვნულ და სამოქალაქო თავისუფლების გაგების სფეროში.

ერთის მხრივ ტოტალიტარიზმის მიერ ვნებადახშული უხეში ძალადობით გაოგნებული და აპათიაში ჩავარდნილი მასა, რომელსაც თავისუფლების არათუ შეგნება, არამედ იოტისოდენა მოთხოვნილებაც კი არ გააჩნია. დოსტოევსკის დიდი ინკვიზიტორის მიერ მონუსხული ბრბოს მსგავსად, თავისუფლებისაკენ სწრაფვას იგი უკეთეს შემთხვევაში უცნაურობად, სიგიჟედ ან კიდევ უფრო უარეს რამედ სთვლის. ნურავინ იფიქრებს, რომ, მაგალითად, საბჭოთა კავშირში მხოლოდ მმართველ წრეებს დაებადათ იდეა თავისუფლებისმოყვარე ადამიანების სულიერ ავადმყოფებად გამოცხადებისა. ეს ფსიქოლოგია თავად მასაში შემუშავდა თავდაპირველად, იმდენად წარმოუდგენელი იყო სახელმწიფო ტერორისა და ტოტალიტარიზმის ხუნდების წინააღმდეგ რაიმე ამბოხი „ჭკუათმყოფელი" ადამიანისათვის. სახელმწიფოს მესვეურებმაც კარგად გაუგეს მასის ამგვარ ფსიქოლოგიას და არ დააგვიანეს ფსიქიატრიული რეპრესიები, რაც საქმით „განამტკიცებს" მასში მოარულ ვერსიას იმის შესახებ, რომ ვინც აღიმაღლებს ხმას სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის, სულით ავადმყოფია.

მეორეს მხრივ, დასავლეთში შეიქმნა უკიდურესობანი დემოკრატიული თავისუფლების სფეროში, მწარმოებლობის სფეროში, რამაც გზა მისცა არა მხოლოდ პიროვნების აღვირახსნილობას, არამედ სოციალურ ქაოსს, იდეოლოგიურ კრიზისს დასავლეთისას, რომელმაც უკვე დაყარა ფარ-ხმალი ტოტალიტარიზმთან იდეოლოგიურ ბრძოლაში და ე.წ. „დეტანტის" მეშვეობით იმედოვნებს საკუთარი სტატუს ქვო-ს შენარჩუნებას. საყოველთაო, უსაზღვრო დემოკრატიზმი გამართლებული იქნებოდა მაშინ,

კაცობრიობის თითქმის ნახევარი რომ არ იყოს გამომწყვდეული ტოტალიტარიზმის მარწუხებში, იმ ტოტალიტარიზმისა, რომელიც წალეკვას უქადის ცივილიზაციისა და კულტურის ყველა მონაპოვარს. დემოკრატიული სისტემები თავისდაუნებურად ხელს უწყობენ ტოტალიტარიზმის ძლევამოსილ თვითნებობას მთელს მსოფლიოში, რითაც საკუთარი იდეებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმეს ემსახურებიან უნებლიედ. უახლოესმა ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ ისინი უძლურნი არიან იხსნან კაცობრიობა ამ უმთავრესი სოციალური ბოროტებისაგან. დემოკრატიისა და ტოტალიტარიზმის დაპირისპირება საბოლოოა. სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაა დასავლეთისა და აღმოსავლეთისა, ევროპული ჰუმანიტარული ტრადიციების ერთის მხრივ და აზიური, თურანულ-მონღოლური ბარბაროსობისა და ტირანიისა, მეორეს მხრივ. თუმცა ეს უკანასკნელი დღეს ევროპიდან ფილოსოფიური სუროგატით და სოციალური ყალიბით ინიღბება. ტოტალიტარიზმსა და დიქტატურას უნდა დაუპირისპირდეს სამართლიანი, ახალი ტიპის დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული წყობილება, ვინაიდან დასავლური ტიპის წყობილებანი მხოლოდ აძლიერებდნენ ტოტალიტარიზმსა და ძირს უთხრიდნენ საკუთარ თავს.

შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ მაგალითად საბჭოთა კავშირის სამხედრო ეკონომიკაც კი დასავლეთის ფინანსებითა და ტექნოლოგიებით იკვებება. რაოდენ კეთილშობილური და პრინციპული არ უნდა იყოს ისეთი პიროვნებების მცდელობა, როგორიცაა პრეზიდენტი კარტერი, მისთვის შეუძლებელი იქნება მოქმედება იმ სისტემის პირობებში, რომელსაც იგი ემსახურება დღეს. კარტერის კეთილშობილური იდეები ასეთივე ქველი და თანამიმდევრული საქმეებით არ განმტკიცდებიან, ამაო დარჩება მისი ღაღადისი ნებამოშლილი დასავლეთის უდაბნოსა შინა. მთავარი საკითხი კი მაინც ის არის, შესძლებს თუ არა იგი ამ დიდი საქმეების რეალიზაციას თავისი სისტემის პირობებში, თავისი პარტნიორებით გარემოცული? საზოგადოებაში, სადაც COMMONWELTH-ისა და PROSPERITY-ს გაგებები დღესაც რჩებიან მთავარ ღირებულებებად. განა შეიძლება ადამიანის ესოდენ მაღალ ალტრუისტულ პრინციპებზე ოცნება? რამდენადაც ადამიანის უფლებები გარანტირებული აქვს ამ საზოგადოებას, განა ისურვებს იგი საკუთარი COMMONWELTH -ისა და PROSPERITY-ს დათმობის ფასად ჯვაროსნულ ლაშქრობაში გაჰყვეს კარტერს სხვათათვის, სრულიად უცხოთათვის, ადამიანური უფლების მოსაპოვებლად? ამგვარად კარტერი უწინარეს ყოვლისა უნდა ებრძოლოს დასავლეთის სოციალურ ეგოიზმს და თვითკმაყოფილებას, თუ სურს იმ მიზნის მიღწევა, რომელთა თეორიულ დეკლარირებას იგი ეწევა.

სხვა საკითხია, რამდენად გააღვიძებს კარტერი სინდისს თავის მოყვასთა და თანამემამულეთა წიაღში, რამდენად შესძრავს იგი მათ გულებს მსოფლიოში გამეფებული ტირანიისა და უსამართლობის მხილებით. რამდენად ცხადად დაანახვებს იგი თავის ერს დღევანდელი დილემის სიმწვავეს, პრაგმატიზმის, პრაქტიკული მატერიალიზმის და უტილიტარიზმის ჭაობიდან ამოსვლის აუცილებლობას და თუ იგი ამას შესძლებს დღევანდელი ამერიკის სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან და ჰუმანისტებთან ერთად, აგრეთვე იქ მყოფ ემიგრანტ დისიდენტებთან ერთად. კაცობრიობის მომავლის პერსპექტივა აღარ იქნება ესოდენ შავი და უნუგეშო, როგორც დღეს.

დღევანდელი ადამიანისთვის მთავარია, რომ მან შეიგნოს დილემის არსი, დილემისა, რომელიც თავად განგებამ წამოუყენა.

დღეს პიროვნებებსა და ერებს: ან თვითდათმობა იდეალისთვის, საწუთრო კეთილდღეობისა და კომფორტის არად ჩაგდება, მსხვერპლი და თავგანწირვა ჭეშმარიტებისათვის, მოქლაქეობრივი თავდადება, ან მიყოლა ცხოვრების დინებისა, განდგომა ყოველგვარი სულიერი იდეალებისგან და აპათიისა და დეგრადაციის გზაზე დადგომა. პირველი გამოიწვევს კაცობრიობის სპირიტუალურ და სოციალურ აღორძინებას, მეორე კი – ტოტალურ დეჰუმანიზაციასა და ქაოსს, რისი აშკარა ნიშნების წინაშე უკვე ვდგავართ დღეს. ტოტალიტარიზმის სცილასა და აღვირახსნილი „დემოკრატიზმის" ქარიბდას შორის მშვიდობით გავლა კაცობრიობის მთავარ მიზნად უნდა იქცეს დღეს.

სოციალიზმმა გააბატონა ცრუ იდეალი ფიზიკური შრომის გმირობისა, რათა მოესპო გაგება ჭეშმარიტი გმირობის, ადამიანთა მოდგმის სულიერი აღორძინებისთვის ბრძოლის ასპარეზზე. მან მოითხოვა ადამიანებისაგან თვითდათმობა ფიზიკური შრომის ასპარეზზე, რათა ფარულად დაეგმო ის გმირობა, რომელსაც მოითხოვდა სინდისის ხმა ადამიანში. დიახ, სწორედ სინდისის კატეგორიის ნიველირება და უარყოფა საუკეთესო საშუალებაა ადამიანის გამძლე მანქანად ქცევისა, მანქანად, რომელსაც გარედან მართავს სოციალური ნება და არა შინაგანი სულიერი თვითშეგნება.

სოციალისტურმა ტოტალიტარიზმმა კირკესეული ჯადოქრობით ღორებად აქცია მასა, მაგრამ მან ვერ შესძლო ერთგულ პიროვნებათა ამგვარი ტრანსფორმაცია. ამ პიროვნებებმა შეინარჩუნეს კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი, შეინარჩუნეს ნათელი თვალთახედვა გარემო მოვლენებზე. მათი დეზორიენტაცია ვერ შესძლო თვით დახვეწილმა დემაგოგმაც კი. აქედან გამომდინარე, ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში მაინც არსებობს ინტელიგენცია, თუმცა არცთუ შორეულ წარსულში ადგილი ჰქონდა მისი

საყოველთაო განადგურების ცდებს. და აი, სწორედ ამ ინტელიგენციას დასჭირდა ყველა ფენაზე მეტი პასუხისმგებლობა დილემის წინაშე, ვინაიდან იგი გაბრუებული, დეზორიენტირებული მასების მსგავსად ვეღარ იტყვის, რომ ვერ ხედავს ან არ ხედავს ამ დილემას. ინტელიგენცია, თუნდაც [2x7] სოლჟენიცინისეული „ობრაზოვშჩინა", თვით ე. წ. „პარტიული". ე. ი. კომუნისტური ინტელიგენცია" აშკარად ხედავს ამ დილემას, ვინაიდან მის დანახვას დღეს არ სჭირდება არც ფრიდრიხ ნიცშესეული ინტუიცია, არც ილია ჭავჭავაძისეული, ან ტოლსტოისეული მორალური პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება.

ამრიგად, თანამედროვე დემოკრატიის უძლურებისა და კრიზისის მთავარი მომენტი იმაში გამოიხატება, რომ იგი თავადვე კვებავს იმ ურჩხულს, რომელმაც საბოლოოდ უნდა შთანთქას იგი (არსებობს ლენინისეული თეზა: «კაპიტალიზმი თავადვე მოგვყიდის თავისავე ჩამოსახჩობ თოკს»).

და აი, ამ დილემის დამნახველი ინტელიგენციის მხოლოდ მცირე ნაწილი ირჩევს გზას მარტვილობისას, თვითდათმობისას, უთანასწორო ბრძოლისას ციხეებისა და ფსიქიატრიული საავადმყოფოების ჭანგებით აღჭურვილ ურჩხულთან. ეს გასაგებიცაა. უფრო იოლია თვალის დახუჭვა, საკუთარი პოზიციის გამაგრება «კეთილგონიერებით», «შორსმჭვრეტელობით», ან თუნდაც დევიზით: «სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისაგან». უფრო მეტიც, ოპორტუნისტულად განწყობილი ინტელიგენცია დღეს კი ინიღბება «გონივრული ინტელიგენციის» ნიღბით, ვითომდა ბრძოლის უფრო ეფექტური საშუალებებით, ვიდრე «კედლისათვის თავის შეხლაა». ამიტომ გამრავლდა ჩვენში «მინიშნებითი, წამყოფითი ლიტერატურა», ყველასათვის უჩინარი და შეუმჩნეველი დაპირისპირება რეჟიმის უსამართლობასთან და ა.შ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ყოველივე ამას თვით ტოტალიტარული ხელისუფლება ზოგჯერ ფარულად თავად უწყობს ხელს, რათა შექმნას ილუზია სიტყვის თავისუფლებისა, ლიბერალიზაციისა, რათა ხალხში აღძრას სურვილი ოპოზიციური ჟინის მოკვლისა იმგვარად ნათქვამი და უმისამართო გამოხტომებით, რომლებიც ვიღაც-ვიღაცეების მიხედვით «რეჟიმის წინააღმდეგ არიან მიმართული». ეს უფრო ეფექტური საშუალებაა დისიდენტურ გამოსვლებთან ბრძოლისა, ვიდრე უხეში ადმინისტრირება ან პირდაპირი რეპრესირება ნამდვილი ოპოზიციონერებისა, დისიდენტების დისკრედიტაცია, როგორც «უტაქტო», «დიპლომატიას მოკლებული ადამიანებისა», ან ფრთხილი შეფასება, როგორც «ოდნავ ჭკუაზე გადამცდარი ხალხისა», ზემოხსენებულ «ბრძენ ოპოზიციონერთაგან» განსხვავებით, იგი რეჟიმის მიზნებს საუკეთესოდ ემსახურება, ვინაიდან რეჟიმი კვლავ განაგრძობს არსებობას, ხოლო ოპოზიციური ვნებები, რომელიც უფრო და უფრო იზრდება ხალხში, ამგვარი სათამაშო თოფის სროლით კმაყოფილდებიან. ბოლოს იქმნება ილუზია დემოკრატიული საზოგადოებისა, სადაც დისიდენტები რეალობის გრძნობას მოწყვეტილი ხორცმეტები, ან „დემაგოგი ავისმჩხრეკელი ნაძირალები" არიან, ხოლო სუკ-ის აგენტები – „ჭეშმარიტ ინტელიგენციას" წარმოადგენენ.

ისევე, როგორც, მაგალითად, იაპონიის საწარმოთა ხელისუფალთ ურჩევნიათ დადგან რეზინის ქანდაკებები მუშებისათვის საძულველი მექარხნისა, რომელსაც ყოველი მუშა ურობს ურტყამს თავში, ვიდრე მოხდეს ნამდვილი გაფიცვები, ასევე ურჩევნია საბჭოთა რეჟიმს მოჩვენებითი, აღვირამოდებული ოპოზიციის არსებობა ჭეშმარიტი ოპოზიციისათვის დასაპირისპირებლად.

აი, ფარისევლური აზრი ფსევდოოპოზიციისა ტოტალიტარულ ქვეყნებში (თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ტოტალიტარული ცენზურა ზომებს ვერ იცავს ჯეროვნად, ზოგჯერ მასაც ღალატობს ალღო და სათანადო ზღვარს ვერ უწესებს თავის მიერვე სტიმულირებულ ფსევდოოპოზიციურ გამოხდომებს, რის შედეგადაც ხშირად, მათი ხელით, უნტეროფიცრის ცოლივით, საკუთარ თავს გაიროზგავენ ხოლმე). აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ეს მოვლენა მაინც ფრიად საგანგაშოა ტოტალიტარიზმისათვის და კრიზისს მოასწავებს მის შიდაპოლიტიკურ ფრონტზე, ვინაიდან ამან შესაძლოა გამოიწვიოს რეჟიმისათვის არასასურველი შედეგები. საერთოდ, დემოკრატიული სისტემების შიდაპოლიტიკურ სტაბილურობას უპირისპირდება მათი საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო არასტაბილურობა, ხოლო ტოტალიტარულ ქვეყნებში პირიქითაა საქმე: შინაპოლიტიკური არასტაბილურობა სულ უფრო და უფრო საცნაური ხდება მაშინ, როდესაც საგარეო-პოლიტიკური თვალსაზრისით მათი ექსპანსიონიზმი და გარეგანი ძლიერება ყველასათვის თვალსაჩინოა.

რაც შეეხება კაპიტალიზმს, იგი, ყოველგვარი თეორიისა და დემაგოგიური ქადაგების გარეშე, პრაქტიკულად ნერგავს კულტს სიმდიდრისა და კომფორტისა, ამსოფლიური კეთილდღეობისა, რითაც უნებლიეთ, მაგრამ მაინც მტრობს კაცობრიობის მაღალ იდეალებს. ადამიანში აჩლუნგებს წყურვილს თავგანწირვისას, მსხვერპლის გაღებას, ანვითარებს ეგოიზმს, ანგარებასა და პატივმოყვარეობას. კაპიტალისტთა შორის მრავალს ურჩევნია არაფრით დაზარალდეს მისი ბიზნესის მწარმოებლური ინტერესები, ვიდრე ამის ფასად გადადგან თუნდაც ერთი მორალური ნაბიჯი, გაიღონ მცირე მსხვერპლი მაინც ზნეობის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. პრეზიდენტი კარტერი, როგორც აღმზრდელი, სწორედ ამ სფეროზე ზეგავლენით თუ შეფასდება. აქ გამოჩნდება მისი ავტორიტეტის ძალა, შთაგონების

უნარი. მან უნდა გარდაქმნას კაპიტალის მსახურნი თავისუფლების იდეის მსახურებად. კაპიტალი უნდა გახდეს ხელშემწყობი კაცობრიობის ზნეობრივი გარდაქმნისა.

ასე, რომ კაპიტალიზმის ქვეყნებში ადამიანებმა უნდა დასთმონ სნობიზმი, კომფორტის სიყვარული, მოგებისა და სარგებლიანობის კულტი. სოციალისტურ ქვეყნებში კი ადამიანებმა უნდა დასთმონ შიში, ვიწრო ეგოისტური კარჩაკეტილობა, ასოციალურობა, მოქალაქეობრივი დეზერტირობა, ფილისტერული თვითკმაყოფილება და აგრეთვე თვითმოტყუება ფსევდოოპოზიციონერობით. შენ დაბრძანდები დიდი ქალაქის ქუჩებში, ვიწრო მეგობართა წრეში ოპოზიციურად ყბედობ, სიტყვით გმირი ხარ, საქმით კი, ყოველნაირად თავს არიდებ სიმართლისათვის ომს, რომელსაც აწარმოებენ შენი მოყვასნი, ნიადაგ ციხისა და სიკვდილის საფრთხის ქვეშ მდგომნი. შენ არად გენაღვლება ციხეებსა და ბანაკებში ჩაყრილი ადამიანების ბედი, რომელთაც ნელი წამებით კლავენ, აავადებენ, შენ მათზე ფიქრსაც კი თავს არიდებ, შენ განდევნე ისინი შენი ცნობიერების ველიდან, შენთვის ისინი «არაპიროვნებანი» არიან. როგორც ეს ორუელის ცნობილ რომანში ხდება, ამით კი შენ თავად ხდები ფიტული კაცისა, სნობი სნობთა შორის, ყბედობის სენით დაავადებული. თანდათან შენი ცხოვრების წესი მიგიყვანს დეგრადაციამდე, ამორალიზმამდე, ბოლოს შენ შესაძლოა შეიძულო შენი მოყვასი, რომელიც თავს სწირავს სიმართლისა და სიკეთისათვის ბრძოლაში, შენ მისთვის იწყებ ათასგვარი ატრიბუტების გამოგონებასაც: „უცნაური", „დონ-კიხოტი", „პოზიორი »; იწყებ მის წვრილმან ნაკელში ქექვას, მის კრიტიკას, მოკლედ, გსურს დაასაბუთო შენი გზის სისწორე, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავხარ...

სამწუხაროა, მაგრამ ამგვარ გზას დღეს ჩვენში უპრინციპო ან უმსოფლმხედველო ხალხი როდი მიყვება მხოლოდ. აქ „ქრისტიანთა" ხმებიც გაისმის, კვიეტიზმის მქადაგებელთა, ისინი გმობენ ხმის ყოველგვარ ამაღლებას ბოროტების წინააღმდეგ. ეს სიტყვით ქრისტიანები, ხოლო საქმით გაიძვერა ფარისევლები საღმრთო წერილსაც კი იშველიებენ თავიანთი სილაჩრისა და სიბილწის გასამართლებლად, თან ავიწყდებათ უზენაესი ცოცხალი მაგალითი საღმრთო წერილისა, იესო ქრისტე, რომელიც ადამიანთა მოდგმის ხსნისათვის, სიმართლისა და სიქველის იდეალებისათვის, ბოროტების მხილებისათვის ჯვარს ეცვა. ამ ადამიანებს კი ჯვარცმა უკიდიათ ხშირად თავიანთ ოჯახში მოოქროვილი, ვითარცა კედლის სამკაული, ხოლო თავად არ სურთ ეცვან ჯვარს, ასეთ „ქრისტიანებს" ჭეშმარიტად ათეისტები სჯობიან, რომლებიც ადამიანის ღირსებებისათვის და უფლებებისათვის იბრძვიან უშიშრად. ამ ათეისტებმა, მართალია სულიერად ვერ გააცნობიერეს დილემა, მაგრამ იგრძნეს იგი ესოდენ ძალუმად, რომ მათი ცხოვრება მთლიანად გარდაიქმნა, მათი ნებელობა ღვთის სამსახურში ჩადგა, ისინი დიდი გულისა და შეგრძნებების ადამიანები არიან, რომლებიც ხშირად, საღვთო გზასაც პოულობენ ხოლმე თავიანთი მაღალი იდეალის სამსახურში ან იმ ცხოვრებისეული ტანჯვის შედეგად, რომელიც გარდაუვალი ხდება მათთვის ამ გზაზე. სიმართლისათვის თავდადებამ არ შეიძლება არ მიგვიყვანოს სიმართლისა და სიკეთის წყარომდე – ღმერთამდე.

P.S. „დილემა კაცობრიობის წინაშე" თავის ავტორთან ერთად დააპატიმრეს 1977 წლის 7 აპრილს, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით იგი განთავისუფლდა პატიმრობიდან მხოლოდ 1991 წლის იანვარში. ვფიქრობ, მას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა და თუ ეს ასე არ არის, მაშინ კულტურულ-ისტორიული ღირებულებების თვალსაზრისით მაინც იქნება საინტერესო ჩემი იმდროინდელი ნაფიქრ-ნატანჯი. (ზ. გ.)

იბერიულ-კავკასიურ ხალხთა მითები

იბერიულ-კავკასიურ ხალხთა მითოლოგია ჩრდილოეთ კავკასიაში და ამიერკავკასიის ნაწილში მცხოვრებ იმ ხალხთა მითოლოგიური წარმოდგენების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც საუბრობენ კავკასიური ენების ოჯახში შემავალ ენებზე. ამ ხალხთა ჯგუფს განეკუთვნებიან: ქართველები, ადიღეები (ყაბარდოელები, ადიღეები, ჩერქეზები), აფხაზები, აბაზები, ჩეჩნები და ინგუშები (ვაინახები), დაღესტნელები (ავარელები, ლეკები, დარგუელები, ლაკები, ლეზგები და სხვ.) და სხვ.

ეს მითოლოგიური სისტემები წარმოიშვა უხსოვარ წარსულში იბერიულ-კავკასიურ ხალხთა წინაპარ ტომებს შორის. განვითარების პროცესში ეს სისტემები სხვადასხვა ზეგავლენას განიცდიდა. განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა მათზე ქრისტიანობამ და ისლამმა იქონია. კავკასიურ-იბერიული მითების ცალკეული ციკლები თითქმის არ შემონახულა, რადგან დიდ ეპოსებს (მაგ. ქართული ეპოსი ამირანის შესახებ, კავკასიური ნართების ეპოსი) შეერწყა თითქმის ყველა მითოლოგიური სიუჟეტი და მოტივი. მრავალი წარმოდგენის და სიუჟეტის აღდგენა ხდება ენობრივი მონაცემებში და სიმღერებში, ცეკვებში, ზეპირ გადმოცემებსა და რიტუალებში გაბნეული მოტივების მიხედვით. ეს მოტივები, რომლებიც კარგავდნენ პირვანდელ კონტექსტს, ზოგჯერ ერწყმოდნენ გვიანდელ რელიგიურ სისტემებს და ქრისტიანული და მუსულმანური კულტის ელემენტებად იქცეოდნენ.

კავკასიურ-იბერიული მითოლოგიის უძველეს პლასტებზე წარმოდგენას იძლევა არქეოლოგია. ენეოლითისა და ადრეული ბრინჯაოს ხანიდან ჩვენამდე მოაღწია საყოფაცხოვრებო და საკულტო დანიშნულების საგნების ფრაგმენტებმა, რომლებზეც გამოსახულია ასტრალური ნიშნები, ჯვრები, ოთხკუთხედები, ადამიანთა და ცხოველთა ფიგურები. სხვადასხვა ტიპის სამარხების არსებობა გვაფიქრებინებს უკვე ამ ეპოქაში სიკვდილისშემდგომი სამყაროს შესახებ კომპლექსური წარმოდგენების არსებობაზე. კავკასიელ ხალხთა კოსმოგონიური წარმოდგენების მიხედვით, ხმელეთს მრგვალი ფორმა ჰქონდა და გარშემორტყმული იყო ზღვით ან მთებით. სამყაროს კიდეზე იდგა ცხოვრების ხე, რომელიც ვერტიკალურად აერთებდა ცას, დედამიწასა და მიწისქვეშა სამყაროს. ჩეჩნების და ინგუშების წარმოდგენების თანახმად, მიწისქვეშა სამყარო ვერტიკალურად შვიდ სხვა სამყაროდ იყოფოდა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყო თითოეული სამყაროს კიდეზე არსებული სოროებითა თუ საიდუმლო გამოქვაბულებით (მოგვიანებით ჩეჩნებსა და ინგუშებში წარმოიშვა ერთიანი მიწისქვეშა სამყაროს გაგება).

კოსმოგონიური წარმოდგენების შემდგომ განვითარებაზე თვალის გადევნება კარგად შეიძლება ენობრივი მონაცემების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც სამყარო გადამკვეთ კოორდინატებზე განლაგებული ცალკეული სამყაროებისგან შედგება (შდრ. ქართული სკნელი); ვერტიკალურად განლაგდება ზედა სამყარო (ზესკნელი), მიწიერი სამყარო (სკნელი) და მიწისქვეშა სამყარო (ქვესკნელი); ჰორიზონტალურად სამყაროს ცენტრის (სკნელის) წინ მოთავსებულია წინა სამყარო (წინასკნელი), ხოლო უკან - უკანა სამყარო (უკანასკნელი). ზედა სამყარო დასახლებულია ღვთაებებით, ფრინველებით და ფანტასტიური არსებებით, შუა - ადამიანებით, ცხოველებითა და მცენარეებით. ქვედა სამყარო ბოროტი ქტონური არსებების - დევების, დრაკონების, აგრეთვე სიღრმისეული წყლების სამყაროა. სამ ვერტიკალურ სამყაროს (ქართულ მითოლოგიაში) შეესაბამება თეთრი, წითელი და შავი ფერი. წინა სამყაროს - ნათელს და კეთილგანწყობილს, შეესაბამება გაგება აქ, ხოლო მის საპირისპირო უკანა სამყაროს - ბნელს, იდუმალს, ხიფათით და მოულოდნელობებით აღსავსეს - გაგება იქ. ბოროტი უკანა სამყაროს გამო მრავალი ჩვეულებით იკრძალებოდა უკან მოხედვა. ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად განლაგებულ სამყაროთა მთელი ეს სისტემა გარშემორტყმულია ბნელი გარეთა სამყაროთი - გარესკნელით, რომლის იქით არაფერი არ არსებობს და რომელიც მოიაზრება, როგორც გაყინული სიბნელე და უცვლელი მარადისობა. ვერტიკალურად განლაგებული სამყაროები ერთმანეთისგან ჰაერის სისქით და ხმელეთით გამოიყოფა, ხოლო ჰორიზონტალური - შვიდი (ცხრა) მთით და ზღვით.

ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ ღვთაებების და ღმერთკაცებისთვის, ხოლო ადამიანს ასეთი გადასვლა შეუძლია მხოლოდ ღვთაების ნებართვით იერის ცვლის, ანუ სიკვდილის გზით (შდრ. ქართული გარდაცვალება), როდესაც სული დროებით ტოვებს სხეულს, მოგზაურობს ღვთაებებთან ერთად ერთი სამყაროდან მეორეში, ხოლო დაბრუნების შემდეგ კვლავ შესახლდება მის სხეულში (ქართ. გახუა მეგრელაური, ინგუშური ბოტკი

შირტკა). მოგვიანებით ჩნდება (ალბათ, ქრისტიანობის და მუსულმანობის გავლენით) სამოთხის და ჯოჯოხეთის ცნებები, ფორმდება სიუჟეტები, რომლებიც აღწერს სულის გადასვლას გარდაცვლილთა სამეფოში და ცოდვილთა სასჯელებს. ყველა სამყაროს ერთმანეთთან აერთიანებს სამყაროს კიდეზე მდგარი მსოფლიო ხე (მისი ვარიანტებია - სვეტი, რომელსაც ეყრდნობა ცარგვალი; კოშკი; ციდან დაშვებული ჯაჭვი; ირემი უზარმაზარი დატოტვილი რქებით, რომლებიც ცამდე აღწევს) მასზე მი ცხოველით (აფხაზთა წარმოდგენით, როდესაც ცხოველი იღვიძებს და განთავისუფლებას ლამობს, ხდება მიწისძვრები). სამყაროთა შორის კავშირი მყარდება აგრეთვე ჯადოსნური ცხოველების, ფრინველების, ფანტასტიური არსებების (გმირთა რაშები, არწივები, თეთრი და შავი ცხვრები, დევები, ქაჯები და ა. შ.) მეშვეობით. ამ წარმოდგენებს უკავშირდება რწმენა ხის და ტყეების ზებუნებრივი ძალის შესახებ. მრავალი ტომი (აფხაზები, ადიღები, დაღესტნელები) თაყვანს სცემდა ხეებს და სწირავდა მსხვერპლს. ქართულ მითებში ღვთაებები ხშირად ევლინებიან ურჩ ქვეშევრდომებს ხეების სახით.

ჩეჩნების და ინგუშების კოსმოგონიური წარმოდგენა სიცოცხლის წარმოშობას უკავშირებს დედამიწაზე დაშვებულ უზარმაზარ თეთრ ფრინველს. დედამიწა მაშინ წარმოადგენდა ბრტყელ, უწყლო ხმელეთს, მცენარეებისა და ცხოველების გარეშე. ფრინველის უკან გაფრენის შემდეგ მისი ექსკრემენტებისგან წარმოიქმნა წყალი და თესლი, დაღვრილი წყლისგან წარმოიქმნა ზღვები, ტბები, მდინარეები; ქარით გაფანტული თესლით წარმოიშვა სხვადასხვა მცენარე. სხვა ვაინახური მითების მიხედვით მთები, ცხოველები და ადამიანები შექმნა დემიურგმა დიალამ. კავკასიურ-იბერიულ მითებში შემონახულია ძველი წინაქრისტიანული და წინაისლამური ღვთაებების პანთეონები უზენაესი ღვთაებით სათავეში. თუმცა მითებში უზენაესი ღვთაების გავლენა სხვა ღვთაებებზე ხშირად არ ვლინდება (ისევე, როგორც უზენაეს ღვთაებებს ხშირად უფრო არქაული მითოლოგიური პერსონაჟების ნიშან-თვისებები აქვს შემორჩენილი), რაც ამ წარმოდგენების შედარებით გვიანდელ წარმოშობაზე მიუთითებს. ამასთანავე, უზენაესი ღვთაების ცნებამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა ქრისტიანობის და ისლამის გავლენით.

ქართული პანთეონის სათავეში დგას უზენაესი ღვთაება - ღმერთი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ინაწილებს ზოგიერთ ფუნქციას სხვა ღვთაებებთან, არსებითად წარმოადგენს მსოფლიო წესრიგის ერთადერთ დამფუძნებელს და დამცველს, ყოველივე არსებულის მბრძანებელს. იგი იმყოფება მეცხრე ცაზე და მისი ნების გარეშე არაფერი არ ხდება არც მზისქვეშეთში, არც გარდაცვლილთა საუფლოში (ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ღმერთი ასოცირდებოდა ბიბლიურ მამა - ღმერთთან). დანარჩენ ღვთაებებს - ღვთისშვილებს (ღმერთის შვილებს) ლოკალური ღვთაებების - მფარველების და ადამიანთა და უზენაეს ღმერთს შორის შუამავლების ფუნქცია აქვთ. ღვთისშვილთა მეთაურად ითვლებოდა კვირია - ხმელეთის მმართველი, რომელსაც საკუთარი კარავი ანუ სახლეული ჰქონდა. ზოგიერთი მითის მიხედვით, კვირია ითვლებოდა შუამავლად ღმერთსა და დანარჩენ ხვთისშვილებს შორის, რომლებიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იკრიბებოდნენ უზენაესი ღმერთის კართან (დასავლეთ საქართველოს მთის ხალხთა მითებში კვირია ნაყოფიერების ფალოსური ღვთაებაა).

აფხაზური პანთეონის სათავეში დგას ანცვა, რომელსაც შერწყმული აქვს ჭექა-ქუხილის და ნადირობის ძველი ღვთაებების, დედა-ღვთაების და სხვათა ნიშან-თვისებები. ადიღეურ მითოლოგიაში პანთეონის მეთაური, დემიურგი და შემოქმედი არის ტხა (სიტყვის წარმოშობა ადიღეური დიგე, ტიგე - მზე, საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად შემოქმედის როლი ეკუთვნოდა მზის ღვთაებას); მოგვიანებით ტხას ფუნქციებმა გადაინაცვლა ტხაშხოსთან. ტხაშხოს კულტმა მიიღო ქრისტიანობის ზოგიერთი ელემენტი, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამის გავრცელების შემდეგ ალაჰის კულტს შეერწყა.

ჩეჩნურ-ინგუშურ მითოლოგიაში უზენაესი ღვთაება, დემიურგი არის დიალა. დაღესტანში ერთი და იმავე ფუნქციის მქონე მითოლოგიურ პერსონაჟებს არა აქვთ საერთო სახელი, თითქმის ყველა ხალხს თავისი ღმერთები ჰყავს. პანთეონის სათავეში დგას ზალი (ლეკებთან), ბეჩედი (ავარელებთან), გინიში (წახურებთან), იინიში (რუთულებთან) და სხვა დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

კავკასიურ-იბერიული ხალხების მითოლოგიური წარმოდგენებისთვის დამახასიათებელია მზის, მთვარის და სხვა მნათობების პერსონიფიკაცია. ქართულ მითებში მთვარე მამაკაცია, მზე - ქალი; ისინი ხან და-ძმანი არიან, ხან - ცოლ-ქმარი, ხან კი - დედა-შვილი. დაღესტნის მთიელები მთვარეს და მზეს ქალიშვილის და ჭაბუკის იერით გამოსახავდნენ, ამასთანავე ზოგიერთ მითში ისინი და-ძმად გვევლინებიან, ზოგში კი - შეყვარებულებად. აფხაზთა პანთეონში თავდაპირველად შედიოდა მზის ამოსვლის და ჩასვლის ღვთაება ხაიტი, რომელიც დაკავშირებული იყო ცოცხალთა სამყაროსთან, გარდაცვლილთა სამყაროსთან, ზღვასთან. ძველი წარმოდგენებით,

ხაიტის საზღვაო სამეფოში მთებიდან უზარმაზარი ხვრელით ჩაედინება ყველა მდინარე. ხაიტის ქალური შესატყვისი - კოდოში, რომლის კულტიც გავრცელებული იყო აფხაზეთის სანაპირო ზოლში და ზოგიერთ მოსაზღვრე ადიღეურ ტომში (მაგ. შაფსუღებში), გამოისახებოდა მისადმი მიძღვნილი ტყეებისა და ცალკეული ხის თაყვანისცემით. მოგვიანებით აფხაზურ პანთეონში შევიდნენ ამრა (მზის პერსონიფიკაცია) და ამზა (მთვარის პერსონიფიკაცია). მთვარის ფაზების წარმოშობის შესახებ მითის მიხედვით, ამრა (მზე) - მშვენიერი ქალია, ხოლო ამზა - მისი ქმარი. ამზას მოსდევს მისი და - ეშმაკი. როდესაც დაეწევა გაქცეულ ძმას, იგი იწყებს მის ჭამას. ამ დროს ჩნდება ამრა, რომელსაც გაუგია უბედურების შესახებ. ის თავისკენ ექაჩება ამზას, ხოლო და - თავისკენ. კამათს ღვთაება გადაჭრის: 15 დღით იგი ამზას ეშმაკს აძლევს (რომელიც ამ პერიოდში თითქმის მთლიანად შთანთქავს მთვარეს), ხოლო 15 დღით - მის ცოლს ამრას. იგი ახერხებს მიუსწროს ამზას სიცოცხლის ზოლოს (როდესაც მთვარე ილევა) და ალერსით და ზრუნვით კვლავ შთაბეროს სიცოცხლე. სავსემთვარეობისას კვლავ ეშმაკი აღიდგენს უფლებებს.

არსებობს მთვარეზე ლაქების ახსნის სხვადასხვა ვარიანტი: მეცხვარის მიერ ზევით ასროლილი და მთვარეზე გაბნეული ძროხის ნაკელი; ნართ სასრიყვას ჯოგი, რომელიც მთვარეზე ძოვს. ქართველთა წარმოდგენით ლაქები მთვარეზე დედის მიერ ცომში მოსვრილი ხელით შვილისთვის სილის გაწვნის კვალია. მრავალი კავკასიური ხალხის რწმენით მთვარის დაბნელება ხდება იმის გამო, რომ მას თავს ესხმის ურჩხული (დრაკონი), რომელიც მის შეჭმას ლამობს; არსებობდა ტრადიცია მთვარის დაბნელების დროს მისი მიმართულებით სროლისა, რათა ეხსნათ იგი. ინგუშების და ჩეჩნების მითოლოგიაში ციური მნათობებისადმი მიძღვნილი რამდენიმე სიუჟეტი არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით, პერსონიფიცირებული მზე (ან მზის ღმერთი) გელა დილით ზღვიდან ამოდის, ხოლო საღამოს კვლავ ზღვაში ჩადის. როდესაც იგი ჰორიზონტზე ამოდის, მისგან ზღვის ქაფი წვეთავს. წელიწადში ორჯერ (ზუნიობის დროს) დედამისს - აზას სტუმრობს (ზოგიერთი მითის მიხედვით, აზა მზის შვილია, ყოველივე ცოცხალის მფარველი; დაიბადა მზის სხივისგან და წარმოადგენს მზის სხივების მაცოცხლებელ ძალას).

ერთ-ერთი მითის თანახმად, მზე და მთვარე ძმები არიან (თუმცა სხვადასხვა დედის შვილები), რომელთაც მუდმივად დევნის მათი ბოროტი და მოჟი, რომელსაც ცაზე თავისი ნათესავები შეუჭამია; როცა იგი მათ დაეწევა, ხდება დაბნელება. სხვა მითი მოგვითხრობს მზისა და სხვა მნათობების წარმოშობის შესახებ. მშვენიერ ქალიშვილს მისდევდა მასზე შეყვარებული სახელგანთქმული ოსტატი-მჭედელი, რომელმაც არ იცოდა, რომ ეს ქალიშვილი მისი და იყო: იგი მას გავარვარებული ოქროს კომბლით მისდევდა მანამდე, ვიდრე ორივენი არ მოკვდნენ. კომბლის ნაპერწკლები ვარსკვლავებად გადაიქცნენ, ჭაბუკი - მზედ, ხოლო ქალიშვილი - მთვარედ. დღემდე ჭაბუკი (მზე) ცდილობს დაეწიოს ცაზე მის შეყვარებულს (მთვარეს).

კავკასიაში გავრცელებულია მითოლოგიური სიუჟეტები მფარველ ღვთაებებზე და ბუნებრივი ობიექტების - მდინარეების, ტბების, ზღვების, მთის მწვერვალების და სხვ. მფლობელებზე, აგრეთვე ნადირობის ღვთაებებზე, რომლის ნებართვის გარეშე მონადირეს არ შეუძლია მოინადიროს რაიმე. არსებობს აგრეთვე ლეგენდები გარეული ცხოველების პატრონ ღვთაებებზე. ისინი ჩუქნიან მონადირეს ნანადირევს, რომლის მოკვლაც მათი ნებართვის გარეშე ეკრძალებათ, ხოლო ურჩი ყოველთვის ისჯება. ნადირობის ღვთაებებს მიეკუთვნებიან ქართული ოჩოპინტრე, დალი, აფხაზური აუვეიფში, რომელიც ზოგჯერ აერგთან არის გაიგივებული, ადიღეური მეზიტხა, რომელმაც განდევნა ნადირობის ადრინდელი ღვთაება მეზგუაში (ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მისი ფუნქციები ნაწილობრივ დაუშჯერჯიამ აიღო, რომელსაც აგრეთვე წმინდა გიორგის ნიშნები შეერწყა), დაღესტნური აზდალი (ავდალი), ინგუშური ელტა (რომელიც აგრეთვე მცენარეულობის ღვთაებაა) და სხვა.

მითოლოგია კავკასიურ ფოლკლორში და ნადირობის რიტუალები.

ნადირობის ღვთაებებთან დაკავშირებული წარმოდგენები ასახულია სანადირო ეპოსში და მითოლოგიურ სიუჟეტებში მონადირეთა შესახებ, რომლებიც მისდევენ რა ნადირთა მფარველ ღვთაებებს, რომელთაც ცხოველის სახე აქვთ მიღებული, მაღალი კლდეებიდან ვარდებიან და იღუპებიან. ეს სიუჟეტები, ისევე, როგორც ხალხური ცეკვებისა და სიმღერების ტექსტები, სრულდებოდა საგაზაფხულო დღეობებზე. მოგვიანებით კავკასიაში სანადირო მოტივები აგრარულ და კოსმოგონიურ წარმოდგენებს შეერწყა. ცეკვა-სიმღერები დაღუპული მონადირის შესახებ, რომლებიც ყოველწლიურად სრულდებოდა ადრეულ საგაზაფხულო დღეობებზე, ეძღვნებოდა ბუნების ნაყოფიერების განახლებას და გამოღვიძებას.

ტოტემები.

დაღესტნის მრავალ ხალხში სჩანს ტოტემური წარმოდგენების კვალი. ტოტემების როლში გვხვდება დათვი, ძროხა, ძაღლი, ცხენი, თხა, ცხვარი, არწივი. დაღესტნის ხალხთა წარმოდგენებში მნიშვნელოვანია გველის როლი; ერთგან გველი კეთილი სულია, სახლის მფარველი, ხოლო მეორეგან - წყლის, წვიმის და ელვის განსახიერება. ტოტემური წარმოდგენები მოსჩანს ჩეჩნურ-ინგუშურ მითოლოგიაშიც. ერთ-ერთ ზღაპარში უშვილო წყვილს ძროხამ და დედალმა ცხენმა მოუყვანეს შვილები. მშობლებმა ძროხისგან დაბადებულ შვილს მახტატი დაარქვეს, ხოლო ცხენისგან დაბადებულს - პახტატი. მათ გოლიათური ძალა აქვთ და მრავალ გმირობას ჩადიან. სხვა ზღაპარში ადამიანის და დათვის კავშირის შედეგად ჩნდება ჯადოსნური უნარის მქონე გმირი ჩაიტონგი. ჩეჩნებთან და ინგუშებთან ადამიანთა მფარველად გვევლინებიან ფრინველი (ფარა ხაზილგი) და გველ ი. ისინიძყვნენ დზალიან ყლეეები და ამის გამო მთელმა რიმმა იხმარა მეთელი მათი საგვარეულო.

ამინდის რიტუალები.

მრავალი სიუჟეტი უკავშირდება ელვის და ჭექა-ქუხილის ღვთაებებს, ადამიანთა ბედის და მოსავლის გამგებლებს. ისინი, უზენაესი ღმერთების მსგავსად, ფლობენ ციურ ცეცხლს და დედამიწაზე გზავნიან წვიმას და გვალვას. ქართულმა მითებმა და რიტუალებმა არ შემოგვინახა ელვის და ჭექა- ქუხილის უძველესი ღვთაებების სახელები, რომელთა კულტიც შეერწყა მათი გამომდევნელი ქრისტიანული წმინდანების - ელიას (ილიას), გიორგის და სხვ. კულტს. აფხაზურ პანთეონში ელვის და ჭექა-ქუხილის მბრძანებელია აფი, რომელიც დედამიწაზე ცეცხლოვან ისრებს გზავნის. ადიღებს სწამდათ დიდი ელვისმტყორცნელი ღმერთი შიბლე, რომელიც სულის ღმერთ ფსატხასთან ერთად პანთეონში ტხას (ტხაშხოს) შემდეგ მოდიოდა. დაღესტანში თაყვანს სცემდნენ ელვის და ჭექა-ქუხილის ღვთაებებს ასს (ლაკებთან) და არშს (წახურებთან), წვიმის ღვთაებებს (ზიუვილს ლაკებთან, გუდილს ტაბასარებთან, გუდის რუთულებთან, გოდეის წახურებთან, ფეშაფაის ლეზგებთან).

აფხაზები, ადიღები, ქართველები მეხისგან მოკლულს განსაკუთრებული პატივით კრძალავდნენ, როგორც წესი სიკვდილის ადგილზე. ჭექა-ქუხილთან და ელვასთან დაკავშირებულია მჭედლობის მფარველი ღვთაებები (ქართული პირქუში, აფხაზური შაშვი, ადიღეური ტლეფში). აფხაზები სამჭედლოს ჭექა- ქუხილის ღმერთის - აფის ნამსხვრევად თვლიდნენ. მთელ კავკასიაში იყო გავრცელებული წარმოდგენები ღმერთსა და ადამიანს შორის შუამავალი ღვთაებების შესახებ, რომლებიც გამოსთხოვდნენ ხოლმე ღმერთს ადამიანთათვის სასურველ ამინდს. რიტუალების დროს ამ ღვთაებების პატივსაცემად ქალები სოფელში მორთული თოჯინებით დადიოდნენ, რომელთაც წყლით რწყავდნენ, ხოლო ცერემონიის დასრულების შემდეგ მდინარეში ყრიდნენ ხოლმე. ითვლებოდა, რომ ეს მსვლელობები შეაჩერებდა გვალვას და კოკისპირულ წვიმებს. ლაზარეს, გონჯოს და სხვებთან ერთად ქართველები თაყვანს სცემდნენ ქრისტიანულ წმინდანებს, რომელთაც საჭირო ამინდი მოჰყავდათ, კერძოდ, გაღმერთებულ ისტორიულ პიროვნებებს.

აგრარული რიტუალები.

ფალოსური თოჯინებით გამართული რიტუალური მსვლელობები ბევრ რამეში ემთხვევა ძველბერძენი მწერლების მიერ აღწერილ, მოსავლიანობის ღვთაებებისადმი მიძღვნილ დღესასწაულებს. საქონლის ნაყოფიერებაზე ქართველები უზენაეს ღვთაებას (ღმერთს) ევედრებოდნენ, აგრეთვე წმინდა მარიამს და სხვადასხვა სინკრეტულ ღვთაებას, რომლებიც საქონლის მფარველობასთან ერთად აგრარულ ფუნქციებსაც ითავსებდნენ (მაგ. ბოსელი, ბარბალე, ბარბოლი, ქრისტიანული წმინდა ბარბარე, თევდორე, ჭაბუკი, ლამარი და სხვ.) შემონახულია აგრეთვე შინაური ცხოველების და მიწათმოქმედების განსაკუთრებულ მფარველებთან დაკავშირებული სიუჟეტები.

დაღესტანში ლეზგინები თაყვანს სცემდნენ მიწათმოქმედების და მესაქონლეობის ღვთაება გუცარს. კავკასიის სხვა ხალხებთან ეს წარმოდგენები უფრო დიფერენცირებულია. აფხაზები მესაქონლეობის მთავარ ღვთაება აიტართან ერთად თაყვანს სცემდნენ საქონლის, განსაკუთრებით კამეჩების მფარველ ღვთაებას მკამგარიას (აკამგარია, სკამგარია). ადიღები თაყვანს სცემდნენ ხარების მფარველს - ხაკუსტაშს და ძროხების მფარველს - ფშიშაკს; ამათ გარდა იყვნენ მსხვილი და წვრილი საქონლის მფარველი ღვთაებები ახინი და ამიში.

მთელ კავკასიაშია გავრცელებული ლეგენდები საქონლის მფარველი ღვთაების მიერ გამოგზავნილი ძროხის ან ხარის შესახებ, რომელიც ნებაყოფლობით სწირავს თავს მსხვერპლად ამ ღვთაებას. ქართველებში ეს ლეგენდები უკავშირდება სხვადასხვა ღვთაების - თემის მფარველთა და ქრისტიან წმინდანთა კულტს. ქრისტიანული ეკლესია იყენებდა ლეგენდებს

ცხოველის შესახებ, რომელიც თვითონ მოდის მსხვერპლად შეწირვის ადგილას. მაგ. ილორის ტაძარში წმინდა გიორგის დღეობაზე სასწაული ხდებოდა: მოდიოდა ოქროს რქიანი ხარი, რომელიც თითქოს დღესასწაულის წინა ღამით თვით წმინდანის მიერ იყო მოყვანილი. ქართული ლეგენდის თანახმად, თავდაპირველად ღვთაება ირემს გზავნიდა.

ნებაყოფლობითი მსხვერპლის მოტივი უახლოვდება შესაბამის ანტიკურ და ძველაღმოსავლურ მოტივებს. კავკასიის მთიელებში ცნობილია მიწათმოქმედების, ნაყოფიერების და მოსავლის ძველი ღვთაებები, როგორებიც არიან აფხაზური ჯაჯა და ანაპა-ნაგა, ადიღეური ტხაგალეჯი, ჩეჩნურ- ინგუშური ერდი, თუშოლი (რომელიც ქართველებშიც არის ცნობილი), დაღესტნური იდორი, კვარა და სხვ.

ხელოსნობის მფარველები.

არსებობენ ხელობის მფარველი ღვთაებები (კერძოდ, ქართული ლამარი, აფხაზური ერიში - ქსოვის, საუნაუ - ფქვის და სხვ.) იბერიულ-კავკასიურ მითოლოგიაში შემონახულია წარმოდგენები კეთილი და ბოროტი სულების, ტყის კაცების შესახებ, რომლებიც მოგვიანებით ქრისტიანობის და ისლამის გავლენით ეშმაკის, შაითანის, იბლისის შესახებ წარმოდგენებს შეერწყა. ჩეჩნურ-ინგუშურ მითოლოგიაში კეთილი სულების - მფარველების როლში გვევლინებიან ტარამები; ბევრია ბოროტი სული - ალმაზები, ხუნ საგი, უბური, ვოჩაბი, გამსილგი. ბოროტ სულთა შორის ბევრი სხვადასხვა დაავადებას განასახიერებს.

დაღესტნის ხალხებში შაითანები წარმოადგენენ თმებით დაფარულ ანთროპომორფულ არსებებს გადმოტრიალებული ხელ-ფეხით და ადამიანზე დაბლები არიან. ისინი განცალკევებულად ცხოვრობენ და ისეთივე ცხოვრებას ეწევიან, როგორსაც ადამიანები: ქორწინდებიან, შობენ შვილებს (მძიმე მშობიაროობის დროს დამხმარე ქალს იწვევენ); უყვართ ცხენებით სეირნობა. ზოგჯერ ნაცნობი ადამიანის სახეს იღებენ. ზოგჯერ, თუ ადამიანმა სიკეთე და ზრუნვა გამოამჟღავნა, შაითანი მას მდიდარ ადამიანად აქცევს. ბოროტი შაითანები ცვლიან ახალშობილებს, ხელს კრავენ უფსკრულის კიდეზე მდგომ ადამიანებს, აჩერებენ წისქვილებს და ა.შ. მთის ხალხის რწმენით, ყურანისეული ლოცვა შაითანისგან იცავს. ავარელებთან შაითანებს საკუთარი სახელები აქვთ: იტუ, ტიტუ, ნისკუ და სხვ. შაითანთა სახესხვაობას წარმოადგენენ ვასვასინეკალი (ჯერ კიდევ არდაბადებულ ადამიანს დაავადებებს მოუვლენს), კეხაი (კისერს უმრუდებს ადამიანს, აბნევს მას, უმთავრესად კი საქონელს ერჩის), ჟუნდული (ჩვეულებრივ, იცავს ადამიანს, მაგრამ მის მაწყენარს დაავადებებს მოუვლენს - სახის კრუნჩხვებს, აჯადოებს) და სხვ.

ჯინები, რომლებიც დაღესტნურ მითოლოგიაში გვხვდებიან, იყოფიან თეთრ ჯინებად, რომლებიც მფარველობენ ადამიანებს, ხელს უწყობენ გამდიდრებაში (გამდიდრების საიდუმლოს გამამხელელი ადამიანი სასტიკად ისჯება ჯინის მიერ) და შავ ჯინებად, რომლებიც აგიჟებენ ადამიანს. ქართულ მითებში გვხვდება ბოროტი სულები - დევები და ქაჯები, რომლებიც ქვედა სამყაროში ცხოვრობენ.

ეპოსი.

მითოლოგიური წარმოდგენების განსაკუთრებული პლასტი ვლინდება ეპოსში და ფოლკლორში. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა და აფხაზური ნართების ეპოსი და ქართული ამირანის ეპოსი, წარმოიქმნენ რა უხსოვარ წარსულში, სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ანაბეჭდს ატარებენ. ეპოსსა და მითს შორის საზღვარი ხშირ შემთხვევაში საკმაოდ პირობითია. ეპოსის გმირები ცხოვრობენ სამყაროში, რომლის სივრცე-დროითი მახასიათებლები მითიური სამყაროს შესაბამისი მახასიათებლების მსგავსია. ღმერთები გვევლინებიან გმირების დამხმარეების, მფარველების ან პირიქით მოწინააღმდეგეთა როლში.

ნართულ ეპოსში ღმერთები დებეჩი და ტლეპში ღვთაებრივი მჭედლების ორ თაობას განასახიერებენ. დებეჩი გავარვარებულ ლითონს ხელით აძლევს ფორმას, ხოლო ტლეპში იგონებს მარწუხებს, უროს, გრდემლს, აკეთებს პირველ ნამგალს. იგი ასევე მკურნალობს ძვლების მოტეხილობებს (აქ ასახულია ლითონის ათვისების ეპოქის დროინდელი უძველესი წარმოდგენები, როდესაც მჭედელი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ, როგორც ღვთაების ყოვლისშემძლე რჩეულს, განასახიერებდა ზებუნებრივ ძალას, რომელსაც ლითონის დამორჩილება შეეძლო). მეორეს მხრივ, ეპოსის გმირები (ამირანი, აბრსკილი, სასრიკვა, სოსრუკო, ნასრენ-ჟაჩე, ბატრაზი, პხარმატი და სხვ.) აღსდგებიან თვით ღმერთის წინააღმდეგ და ცეცხლს მოუპოვებენ ხალხს, რაც მათ ბერძნულ პრომეთესთან ანათესავებს და საშუალებას იძლევა, ისინი კულტურული გმირების რიგში განვიხილოთ.

განასახიერებენ რა კეთილ საწყისს, ეპოსის გმირები ყოველთვის ეწინააღმდეგებიან ბოროტების, სიბნელის და მიწისქვეშა სამეფოს ქტონურ ძალებს, რომლებზეც გამარჯვება კოსმოსის მოწესრიგების სიმბოლოა. თავის საქმეებში გმირები მრავალ ღმერთს სჯობიან, ხოლო ზოგჯერ მათ მოწინააღმდეგედაც გვევლინებიან (ადიღეური სოსრუკო ღმერთებს სასმელს - სანოს

წაართმევს და ადამიანებს აძლევს), ებრძვიან მათ და ხშირად იმარჯვებენ კიდეც (უაზირმესი კლავს ბოროტ ღმერთ პაკოს; ნასრენ-ჟაჩე აღსდგება ტხას მბრძანებლობის წინააღმდეგ, რის გამოც ოშხამახოს მწვერვალზე მიაჯაჭვავენ, საიდანაც მოგვიანებით ნართი ბატრაზი ათავისუფლებს).

უმეტეს შემთხვევაში ეპოსის გმირები სასწაულებრივად იბადებიან - უცოდველი ქალწულისგან, ქვისგან, ქალღმერთის და მონადირისგან (აბრსკილი, ამირანი, სასრიკვა, სოსრუკო, სოსკა-სოლსა). ნადირობას კავკასიურ ეპოსში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, იგი წინ უძღვის ყველა მნიშვნელოვან გმირობას. ეპოსის გმირთა გმირობები განასახიერებენ ბუნების მოვლენებს, ბუნებრივი ციკლების პერიოდულობას, ციურ მნათობთა მოძრაობის როტაციულ ხასიათს. თუმცა თვითონ გმირთა ქმედებების ციკლურობა უკვე დაკარგულია და მხოლოდ სიუჟეტის გარკვეული ელემენტები მიუთითებენ მათ თავდაპირველ ხასიათზე. მიწისქვეშა სამყაროდან მოილტვის ცოცხლად დამარხული ნართი სოსრუკო, ყოველ გაზაფხულზე გაისმის მისი კვნესა; სოსრუკოს მიწისქვეშა სამყაროში ჩასვლის დღეს იღვიძებს ბუნება, მიწა იცილებს ყინულს, ჩნდება წყაროები - სოსრუკოს ცრემლები. ყოველ წელს გვახსენებენ თავს კლდეზე მიჯაჭვული ან გამოქვაბულში გამომწყვდეული გმირები (ამირანი, აბრსკილი და სხვ.).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ფოლკლორში შემორჩენილია სიუჟეტები გიორგის ყოველწლიური მოგზაურობის შესახებ ქაჯების ქვეყანაში. გიორგი, ამირანის და აშამეზის მსგავსად, იტაცებს მშვენიერ ქალებს, სიყვარულის და ნაყოფიერების ქალღმერთებს (ალბათ, ქაჯების მიერ მოტაცებულთ), ცხრასიმიან ფანდურს და გრდემლს, მოერეკება უზარმაზარ ჯოგს. ქაჯების ქვეყნიდან დაბრუნებისას თან მოაქვს მუსიკალური ინსტრუმენტი - გაზაფხულის სიმბოლო. ამირანი გადაივლის ზღვას და იტაცებს მშვენიერ ყამარს, ზეციურ, მზიურ ქალიშვილს, ღრუბელთა წინამძღოლის შვილს - გაზაფხულის სიმბოლურ სახეს. ამირანს გადაყლაპავს ვეშაპი, რომელიც სიბნელეს განასახიერებს, მაგრამ იგი ვეშაპს გვერდს გაუჭრის და გარეთ გამოდის. ნართები ჩადიან გმირობებს, რომლებიც აბედნიერებენ ადამიანებს და აყვავებენ ბუნებას. ნართი აშამეზი ბატრაზთან და სოსრუკოსთან ერთად მიწისქვეშა სამყაროში ჩადის, რათა დრაკონისგან მშვენიერი ახუმიდა გამოიხსნას და მოსტაცოს ჯადოსნური სალამური, რომლის დაკვრაც მძინარე ბუნებას აღვიძებს და განდევნის ზამთარს, რომელიც ჩამოწოლილა დედამიწაზე, ვიდრე სალამური დრაკონის ხელშია.

დაღესტანში, სადაც ნართების ეპოსი ფართოდ არ გავრცელებულა (აქ ცნობილია მხოლოდ ცალკეული სიუჟეტები ნართებზე, კერძოდ ნართ ბარხუზე) ეპიკური სიუჟეტები და მოტივები ტიპოლოგიურად ახლოს დგას ამირანის და ნართების ეპოსთან. ლეზგინების ეპოსის გმირი - შარვილი, რომელშიც გაერთიანებულია მითოლოგიური და ზღაპრული ნიშან-თვისებები, უზარმაზარ ძალას ფლობს: გრანიტის კლდეს ჰკვეთს, ასი ათას მეომარს ცვლის, შეუვალია ისრების და ხანჯლებისთვის; მტერი მასთან გამკლავებას მხოლოდ მოტყუების გზით ახერხებს. დაღესტნური ეპოსის ზოგიერთი გმირი ღმერთებს ებრძვის. ლაკების გმირი ამირი აღუდგება ღმერთ ზალს, რისთვისაც მას რკინის ჯაჭვით კლდეზე მიაბამენ. სხვა გმირი (ადამიანი მაჩალ-ლაშიდან) მთაში ყინვისგან გათოშილი ქალიშვილებისთვის ცეცხლს პარავს ღმერთს.

ყველაზე გავრცელებულ სიუჟეტებს შორისაა გმირების ბრძოლა ცალთვალა გოლიათებთან (ამირანი, ნართები; შდრ, ბერძნული ოდისევსის ბრძოლა ციკლოპ პოლიფემოსთან). ანალოგიური სიუჟეტები გვხვდება აგრეთვე კავკასიელ ხალხთა ფოლკლორში. ქართული ხალხური ლექსი თავფარავნელი ჭაბუკი შეიცავს სიეჟეტს გმირზე, რომელიც ყოველ ღამე გადაცურავს ზღვას თავის შეყვარებულთან შესახვედრად; ქალწული ანთებულ სანთელს ტოვებს ნაპირზე, რათა ჭაბუკს გზა მიასწავლოს, მაგრამ ბოროტი დედაბერის შელოცვით სანთელი ქარიშხლის დროს ქრება. ჭაბუკი ვერ აგნებს ნაპირს და იღუპება. ანალოგიური სიუჟეტები შემორჩენილია ადიღეებშიც. ლეგენდის თანახმად, მშვენიერი ადიუხის სახლი დგას მდინარის ნაპირზე, რომელზეც გადაჭიმულია ტილოს ხიდი. თუ ადიუხის ქმარი სახლში გვიან ღამით ბრუნდება, იგი ფანჯრიდან თავის მანათობელ ხელებს უწვდის, რომელიც უნათებს გზას და ქმარიც ხიდზე ადვილად გადარეკავს ცხენებს. უმადური ქმარი უშლის ადიუხს ხიდის ხელებით განათებას. ბნელი ღამით იგი ვარდება ხიდიდან და იხრჩობა, რის შემდეგაც ადიუხი ცოლად სოსრუკოს მიყვება, რომელსაც მზის ატრიბუტიკა ახასიათებს. ადიუხის მანათობელი ხელები გვახსენებს ძველ მითს განთიადის ქალღმერზე, რომლის ვარდისფერი თითებიც ანათებს დილის ცას. ლეგენდის ქართულ ვარიანტში დაღუპული გმირი მის აქსესუარებთან ერთად (წითელი სამოსი, ანთებული სანთელი, ღამით ცურვა, ტვირთი, რომელიც მიაქვს და საბოლოოდ, სიკვდილი) ქალღმერთის სიყვარულის გამო დაღუპულ ღვთაებებს და გმირებს უახლოვდება.

მემატიანე

მითოლოგია და რელიგია

ქართული მითოლოგია

ქართული მითოლოგია – ძველი ქართული მითეზისა და ისტორიეზის ნაკრეზია, რომლეზიც ძველ ქართულ ღმერთეზს - ღვთისშვილეზსა და გმირეზს, ასევე სამყაროს მოწყოზას ეხეზა. თანამედროვე მკვლევარეზი ამ მითეზს იყენეზენ ძველი საქართველოს რელიგიური და პოლიტიკური ინსტიტუტეზის შესასწავლად, ასევე თვით ამ მითეზის შექმნის ზუნეზის გამოსაკვლევად. ქართული მითოლოგია მეტწილად წარმოდგენილია ზეპირსიტყვიერი ფორმით და მისი მეცნიერული დოკუმენტირეზა საკმაოდ გვიან დაიწყო (19–20 საუკუნე), თუმცა სხვადასხვა წყაროეზზე დაყრდნობით შესაძლეზელია გარკვეული დოკუმენტური მასალის მოძიეზა, რაც საშუალეზას გვაძლევს უფრო სიღრმისეულად დავინახოთ ქართული მითოლოგიური სამყარო მისი სპეციფიური და მკაფიოდ ინფივიდუალური სახით. ქართულ მითეზში ახსნილია სამყაროს დასაზამი და სხვადასხვა ღმერთეზის, ქალღმერთეზის, გმირეზისა თუ მითიური ქმნილეზეზის ცხოვრეზისა და თავგადასავლეზის დეტალეზი. ეს ამზეზი თავდაპირველად ზეპირსიტყვიერად ვრცელდეზოდა ზეპირ-პოეტური ტრადიციით, თუმცა ამჟამად ქართული მითეზი ძირითადად ქართული ზღაპრეზიდან თუ სხვა ლიტერატურიდან არის ცნოზილი.

არმაზი

ქართლის უზენაესი წარმართული ღვთაეზა. „ღმერთი ღმერთთა არმაზ..., ...ღმერთნი დიდნი, სოფლის მპყრობელნი, მზისა მომფენელნი, წვიმისა მომცემელნი და ქუეყნისა ნაშობთა გამომზრდელნი..." (ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, წგნ. „ქართლის ცხოვრეზა, ტ.1, 1955, გვ. 106). არმაზის შესახეზ ცნოზეზი მხოლოდ ძველ ქართულ ხელნაწერეზში და არმაზის ტოპონიმშია შემორჩენილი. ტრადიციის მიხედვით, არმაზის კულტის შემოღეზა მეფე ფარნავაზს მიეწერეზა (ძვ. წ. III ს.), რომელსაც გარედან უსესხია იგი. არმაზის კერპი წარმოადგენდა მეომარს სპილენძის ჯავშნით და ოქროს მუზარადით, შუზით ხელში და ხელნაწერთა თანახმად, მცხეთაში იდგა მთაზე. არმაზი სინკრეტული ღვთაეზა იყო, რომელიც უზენაესი ღმერთის (ცის, ჭექა-ქუხილის, წვიმის და მცენარეთა მზრძანეზელი) და მეომარი ღმერთის ფუნქციეზს ითავსეზდა. სახელმწიფოეზრიობის ჩამოყალიბეზის პერიოდში არმაზის კულტი ეწინააღმედგეზოდა ადგილობრივ ტომობრივ ღვთაეზათა კულტეზს. არმაზის დღესასწაულის დღეეზში, რომელიც ჩვეულეზრივ ზაფხულში იმართეზოდა, ფერადი ნაჭრეზითა და ყვავილეზით მორთულ მცხეთის ქუჩეზში მრავალრიცხოვანი მსვლელობეზი იმართეზოდა სამეფო ოჯახის მონაწილეობით. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადეზის შემდეგ (IV ს-ის 30-იანი წწ.) არმაზის კულტი გაუქმდა.

ამზრი

ქართულ მითოლოგიაში გმირი, რომელიც გამოირჩევა უზარმაზარი ძალით, სიმაღლით და მასით. ამირანის შესახეზ თქმულეზათა ციკლში ამზრის უკავშირდეზა
ცოცხლად დამარხვის მოტივი: ჯერ კიდევ ცოცხალი ამზრი დაკრძალვის ადგილისკენ თორმეტ წყვილ ხარს მიყავს, გზაში ურმიდან ჩამოვარდნილი მისი ფეხი გუთანივით ხნავს მიწას. ეს უკანასკნელი საშუალეზას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ამზრის სახე მიწათმოქმედ მოსახლეობაშია წარმოშობილი. ხარის კულტთან უნდა იყოს კავშირში - 12 ხარი შეიძლეზა წელიწადის 12 თვე იყოს!

ზარზალე

ქართულ მითოლოგიაში მზის განმასახიერეზელი ქალღმერთი. ძირითადად თაყვანს სცემდნენ, როგორც ქალის ნაყოფიერეზის საწყისის მფარველ ღვთაეზას. ხალხური წარმოდგენით, ზარზალე განაპიროზეზს მიწათმოქმედეზის და მესაქონლეობის პროდუქტეზის სიუხვეს, ხელს უწყობს როგორც მსხვილი რქოსანი საქონლის და შინაური ფრინველის, ისე ადამიანის განაყოფიერეზას. ზარზალესადმი იყო მიძღვნილი სხვადასხვა დღესასწაული, რომელთაგან მთავარი ზამთრის მზეზუდობას ემთხვეოდა. ზარზალესადმი მიძღვნილ რიტუალეზსა და წეს-ჩვეულეზეზში გამოიყენეზოდა საგნეზი, რომლეზიც მზის სიმზოლოეზს წარმოადგენდნენ. თვით ზარზალეს სახელიც (ცნობილია აგრეთვე მისი სხვა ვარიანტეზი - საერთო ქართული - ზარზარე/ზაზალე და სვანური - ზაზარი/ზარზალი/ზარზოლი) ჰპოვეზს ლინგვისტურ პარალელეზს წრის, ზორზლის, მოელვარე ალის ქართულ დასახელეზეზში; ზარზალეს სახელში ვლინდეზა

აგრეთვე ფორმალური და სემანტიკური მსგავსება შუმერულ-აქადურ ეპითეტთან ბიბბირრუ - მოელვარე სხივი, ბრწყინვალება. ბარბალეს თაყვანს სცემდნენ, როგორც მკურნალს, რომელიც ადამიანებს თვალს უხელს და განკურნავს თავის ტკივილის, ყვავილის და სხვა დაავადებებისგან. ბარბალეს შეეძლო აგრეთვე ადამიანებზე უბედურებები, გასაჭირი და სიკვდილიც მოეწია. ეს კი ნამდვილად წააგავს დედა ღვთაებას - რომელიც გავრცელებული იყო შუმერიდან ანატოლიამდე!

ბოჩი, - ქართველთა ძველი წარმართული ღვთაება. პირველად წერილობით ძეგლებში ექვთიმე მთაწმინდელთან გვხვდება. ი. ჯავახიშვილის აზრით, სახელი ბოჩი ოჩს და ვოჩს (მამალ თხას - ვაცს) უკავშირდება და ნადირთ მფარველი ან მისი მსგავსი ღვთაების სახელია. ვ. ბარდაველიძეს ოჩი||, ბოჩი მესაქონლეობის მფარველ ღვთაებად მიაჩნდა. ახალი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ბოჩი მოსავლიანობის მფარველი ღვთაებაც უნდა ყოფილიყო.

ოჩოკოჩი – ქართულ მითოლოგიაში ტყის ღვთაება. გადმოცემით, ოჩოკოჩს მეტყველება არ შეუძლია, მაგრამ მისი ხმა ადამიანებს თავზარს სცემს. ოჩოკოჩს სხეული ჟანგისფერი თმით აქვს დაფარული. მას გრძელი და ბასრი ბრჭყალები აქვს, მკერდზე კი ნაჯახის მსგავსი წანაზარდი, რომლითაც იგი მის მოწინააღმდეგეს შუაზე სჭრის. ადამიანის მიერ მოკლული ოჩოკოჩი მეორე გასროლის შემდეგ ცოცხლდება. გავრცელებული სიუჟეტების თანახმად ოჩოკოჩი ელტვის ტყის დედოფლის ტყაში-მაფას სიყვარულს.

ხალხური ნაამბობი ოჩოკოჩი დიდია და ბანჯგვლიანი, მკერდზე ორი რქა აქვს გამოშვერილი. ტყეში მიუვალ ადგილებში ცხოვრობს. ღამით თუ ტყეში ძლიერი „ვოო!!" ღრიალი გაისმა – ეს ოჩოკოჩია ნამდვილად. ოჩოკოჩი მწყემსთან მიდის, ცეცხლზე თბება (მთქმელი მ.სიჭინავა 70 წლის, სოფ. ლესიჭინე, ჩხოროწყუს რაიონი) ერთხელ ძროხებს ვმწყემსავდი. ღამით ჩემი ამხანაგები დაკარგული ძროხის საძებნელად წავიდნენ და მარტო დავრჩი კარავში. უცბად რაღაცნაირი - "ვოოს" ძახილი მომესმა. მივხვდი ოჩოკოჩი რომ იყო. შევშინდი და კუთხეში ძროხებთან დავიმალე. კარი გაიღო და ოჩოკოჩი შემოვიდა. საჭმელი შეჭამა და წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ვიღაცამ დამიძახა: "ცეცხლი გინთიაო!" და ოჩოკოჩი ისევ შემოვიდა. ისიც მიუჯდა ცეცხლს, გაითბო ტანი და წავიდა. ოჩოკოჩის ეშვები აქვს (მთქმელი ბ.მალანია 70 წლის, სოფ. ჩხოროწყუს)

მე არ მინახავს, მაგრამ ბევრჯერ გამიგია: ოჩოკოჩი კაცისნაირიაო, დაბღავისო, მთიან და ტყიან ადგილებში ცხოვრობსო. კაცს არ ერჩისო, მაგრამ თუ გააჯავრა, მაშინ შეებრძოლებაო. ოჩოკოჩი ახმახიაო, იტყოდნენმ ფეხშიშველა დადის და ეშვები აქვსო. მკერდზე საფეთელის მსგავსი რქები აქვს წამოზრდილიო. როცა დადის, ყვირის და მიხარხარებს. სადაც კაცი ცხოვრობს, იმ ადგილებში არ დადის. უმეტესად მონადირეები და მეჯოგეები ხვდებიან მას.

ოჩოკოჩი და მეთევზე (მთქმელი ა. კვარაცხელია 70 წლის, სოფ. ნაკიფუ)

ჩემს სახლში ერთხელ მუშაობდა მარტვილის რაიონიდან მოსული კაცი გრიშა ჯგერენაია. მან ასეთი ამბავი მოყვა: თურმე, გრიშას მეზობელი, ღამით, მდინარეზე დაგებულ ფაცერს დარაჯობდა. ცეცხლი ენთო და ღამეს ათევდა, ეშინოდა თევზი არავინ მომპაროსო. მდინარიდან მოესმა საშინელი ხმაური და წყლის დგაფუნი. წყლის შხეფები შორს იფანტებოდნენ, კაცმა ნახა, რომ აუარებელი თევზი დაცვენილა ფაცერზე. დაჭერილი თევზები ცეცხლის პირას დაუყრია. ცოტახანში თურმე ამ კაცთან მოსულა ოჩოკოჩი: კაცის ფორმის, დაბალი ტანის, ჩაფსკვნილი, ტანი ბალნით ჰქონდა დაფარული.

ოჩოკოჩს უთქვამს ამ კაცისათვის: – ეს თევზი ნახევარი ჩემიაო. მეც ბევრი ვიშრომეო, დანარებიდან გამოვდენე ისინი ხელებით, ფეხებითა და ჯოხითაო. ამდენი თევზიო ოდესმე თუ დაგიჭერიაო შენი ფაცერით? შენც ხომ გესმოდა ცემი ხმაურიო. კაცმა არაფერი უპასუხა. საერთოდ ოჩოკოჩთან საუბარი არ შეიძლება. მერე ოჩოკოჩს თვითონ გაუყვია შუაზე ეს თევზი. თავისი წილიდან ცეცხლზე შეუწვია სამყოფი თევზი და შეუჭამია. მერე დარჩენილი თევზი თან წაუღია და წასულა.

ოჩოპინტრე ქართულ მითოლოგიაში გარეულ ცხოველთა წინამძღოლი და მფარველი. მისი სახელის პირველი ნაწილი (ოჩო), ქართული პანთეონის სხვა ღვთაებას - ბოჩის უკავშირდება, ხოლო მეორე ნაწილი (პინტე, პინტრე) - ბერძნულ პანს. ოჩოპინტრე თითოეული ცხოველის სულს ფლობს. მონადირე სანადიროდ წასვლამდე (და ნადირობისას) ოჩოპინტრეს ევედრება იღბალს და ნადირის მოკვლის ნებართვას.

ზადენი

ქართულ მითოლოგიაში ერთ-ერთი ღვთაება, რომელსაც თაყვანს სცემდნენ ქრისტიანობის გავრცელებამდე. ხელნაწერთა ტრადიციის მიხედვით ზადენის კულტი მეფე ფარნაჯომმა შემოიღო ძვ. წ. II ს-ის პირველ ნახევარში. ხელნაწერი ზადენის სახელს მცხეთის ახლოს ზადენის ციხის

სახელწოდებასთან აკავშირებს. მეცნიერული ტრადიციის თანახმად, ზადენის სახელი კავშირშია ირანულ ყაზადან-თან (კეთილი სულების რანგი). ზადენს (არმაზთან ერთად) თაყვანს სცემდნენ, როგორც უხვი მოსავლის მომყვან ღმერთს და სამყაროს ერთმპყრობელს. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ზადენის კულტი გაუქმდა. "ზადენი" სოფლის სახელად გვხვდება სამხრეთ საქართველოშიც (მესხეთში).

გაცი და გაიმი

ქართულ მითოლოგიაში ღვთაებები, რომლებსაც ქრისტიანობის გავრცელებამდე სცემდნენ თაყვანს. კერპები ქართველებს თავიანთი პირვანდელი სამშობლოდან არიან-ქართლიდან მოუტანიათ. გაცზე და გაიმზე ცნობები მხოლოდ ხელნაწერებშია შემონახული. ამ ხელნაწერების თანახმად, გაცის ოქროს კერპი და გაიმის (გას) ვერცხლის კერპი არმაზის და ქართული წარმართული პანთეონის სხვა ღვთაებების კერპების გვერდით იდგა და ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ განადგურდა. ხელნაწერ ტექსტებში გაცი და გაიმი ყველაზე იდუმალის გამგეებად მოიხსენიება

ამ ლეგენდარული ხის შესახებ თითქმის ყველა მითოლოგიური გადმოცემა მოგვითხრობს, სადაც შესაქმის პროცესია აღწერილი. მსოფლიო ხე ე.წ. ახის მუნდი ან არბორ მუნდი ან მისი რომელიმე იზოფუნქციური სიმბოლო: მთა, ტაძარი, კიბე, ჯვარი, ჯაჭვი... ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიმბოლოა. ან ამ კონკრეტულ მითში რა დაინახე განსაკუთრებული და ჯერართქმული რომელიც თუნდაც სხვა ქართულ გადმოცემასა და ანდრეზებში არ ყოფილა? თუ სიცოცხლის ხე წმინდა ქართული სიმბოლო ggონია?

«ბერი გიორგი მეც ვიყავ, ცას ვები ოქროს შიბითა, გორაზე მედგა ბერმუხა, ზედ ავდიოდი კიბითა, ჩემს საყმოთ შემონაწირი ღმერთთან ამქონდა იქითა».

«ქრისტიანობის წესზედა კარს ედგეს ალვის ხენია, ზეციდან გადმოშობილი შიბი ცხრა-კეცი გრძელია, მაგას ჩამოსდის მირონი, ძირს უდგა დიდი ქვევრია».

მოიცა, გამახსენდება კიდევ

* *

«ამანდ რო ალვის ხენი დგან, ცას მისწვდენია წვერია, ციხესა ალვას ხეებსა შიბით ცასა აქვს წვერია».

«ჩვენი ხთისშვილის კარზედა ხე ალვა ამოსულაო, წვერად მოუსხამ ყურძენი, საჭმელად ჩამოსულაო, მისი უჭმელი ქალ-ვაჟი უდროოდ დაშაულაო».

«შენ ხარ ვენახი, ახლად აღყუავებული, მორჩი კეთილი, ედემში დანერგილი, ალვა სულნნელი, სამოთხით გამოსრული, ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული, და თავი თვისით მზე ხარ და გაბრწყინვებული».

კოსმიური საყრდენის, ღერძის (ახის მუნდი) შექმნა დაკავშირებულია შესაქმის მითებთან. კოსმოსის მოწყობის აქტს (ერთიანი სამყაროს ორ პოლარულ ოპოზიციად - ცა-მიწა - განწილვა; სამი კოსმიური ზონის ფორმირება და ა.შ.) მოსდევს მსოფლიო ხის გაჩენა, რომელიც ინარჩუნებს შექმნილ წესრიგს. მსოფლიო ხე მოქცეულია სამყაროს ცენტრში და ვერტიკალური მდგომარეობა უკავია. გადაკვეთს სამ სკნელს - ქვესკნელს, შუასკნელსა და ზესკნელს. ერთის მხრივ, ეს არის ადგილი, სადაც ცა ყველაზე უფრო ახლოა მიწასთან და მოიაზრება როგორც კიბე ზეცაში ასასვლელად თუ ქვესკნელში სამოგზაუროდ, მეორეს მხრივ კი, ეს არის ადგილი, საიდანაც დაიწყო სივრცის განფართება ანუ ცისა და მიწის დაშორიშორება. ვინაიდან, როგორც სივრცე, ისე დრო მითოპოეტურ აზროვნებაში არაჰომოგენურია, შესაბამისად, უმაღლესი ღირებულება გააჩნია იმ წერტილს დროსა და სივრცეში, სადაც შესაქმის აქტი განხორციელდა ე. წ. სამყაროს ცენტრს, დასაბამს.

კოსმიური ხის ყველაზე გავრცელებული სქემის მიხედვით მისი ტოტები ცაშია და მასზე მითიური ფრინველი ბინადრობს (იმდუგუდი, არწივი, ყვავი...), ტანი - მიწას შეესაბამება. უფრო ხშირად მას უკავშირებენ ჩლიქოსან ცხოველებს, ფუტკარს, სხვადასხვა სულებს (მაგ. შუამდინარულ მითოლოგიაში ამ ხის ტანში ქალწული ლილა ცხოვრობს), უფრო გვიანდელ ტრადიციებში ადამიანს. ხის ფესვები ქვესკნელში ჩადის. ხშირად მის ფესვებში მითიური გველი ბინადრობს (ასევე გვხვდება თაგვები, თევზები, ხანდახან დათვი ან სხვა, ხთონური არსებები). ზოგიერთ ნახატზე, ხის ფესვებს პირდაპირ დაგრაგნილი გველების გამოსახულება ცვლის.

ამ მხრივ საინტერესოა ხევსურეთში შუბნურის ხატის დაარსების შესახებ არსებული გადმოცემა: მოშუღლე ხევსურთაგან დაჩაგრულ პირს, რომელიც უცხო რჯულისა ყოფილა და თუშეთიდან ჩამოსახლებულა ხევსურეთში, თავის დამცველად თუშეთიდან წამოუღია ამ ჯვრის საკუთრება ვერცხლის თასი და იმათ სახლში ჩაუმარხავს, ვისაც მტრობდა. ამის შემდეგ იმ ოჯახში

კერის შუაში ამოსულა იფნის ხე, რომელიც მოუჭრიათ და გადაუგდიათ. მეორე დილას ხე ისევ ამოსულა, ისევ მოუჭრიათ. მესამე დილით ხეს გველი ამოჰყოლია. ოჯახმა იგრძნო, რომ ეს რაღაც განსაკუთრებულის მომასწავებელი იყო და სახლი მიატოვეს. წასვლისას ოჯახის ერთ-ერთ წევრს სახლისათვის ცეცხლი შეუნთია და ისე გასცლია იქაურობას. კარგა მანძილის გავლის შემდეგ უკან მიუხედავს, ცეცხლიდან დიდი ნაპერწკალი გადმოვარდნილა და მისთვის ცხვირი ამოუწვავს. ამ ამბის შემდეგ, ის ადგილი, სადაც ეს ამბავი მოხდა, იქაურ მაცხოვრებლებს მიუტოვებიათ და იქ შუბნურის ჯვარი დაარსებულა. ლეგენდის თანახმად ხეს ამოყოლილ გველს აქა-იქ ხედავდნენ და ყველა მისი შეურაცხმყოფელი სასტიკად ისჯებოდა. იფნის კერაზე ამოსვლა და გველის ამოყოლების მოტივი სხვა ჯვრების დაარსების თქმულებებშიც იჩენს თავს. მაგ. თქმულება ცაბაურთას მთავარანგელოზის სალოცავზე საღვთო გუდანის ჯვრის დაარსების შესახებ და სხვა. მსგავსი სიუჟეტი აქვს ქართულ ზღაპარს, რომელსაც პირდაპირ ასე ჰქვია გველის ტყავზე ამოსული ალვის ხე).

მითოლოგიაში არსებობს მსოფლიო ხის ინვერტირებული მდგომარეობაც (Arbor Inedrsa), როცა ხეს ფესვები ცაში აქვს, ტოტები კი, შესაბამისად, მიწაში. წინა გვერდებზე ვიღაცის ნახსენები ბანიანის ხე (Asvatha) ვედურ და ინდუისტურ მითოლოგიაში სწორედ ამგვარი ხის მაგალითია. Arbor Inversa-ს ვარიანტია ალვის ხე სლავიანურ მითოლოგიაში, შამანის ხე ევენქებთან და ა.შ. თუმცა, ამას სხვა მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს.

რაც შეეხება მსოფლიო ხის ჰორიზონტალურ სტრუქტურას, იგი წარმოიქმნება ხის ორივე მხარეს სიმეტრიულად განლაგებული ობიექტების მეშვეობით. ამგვარი ტიპის კომპოზიციები ხშირად გვხვდება როგორც ადრინდელ, ისე მოგვიანებით, ქრისტიანულ და ბუდისტურ კულტურებშიც. თუკი ხის ვერტიკალური სტრუქტურა კოსმოლოგიურ დატვირთვას ატარებს და სამყაროს დინამიური ასპექტის აღწერას იძლევა, ჰორიზონტალური დაკავშირებულია სამყაროს სტატიურ ასპექტთან და შეესაბამება ხესთან დაკავშირებულ რიტუალებსა და მის მონაწილეებს.

იმის გამო, რომ ხის ჰორიზონტალური სტრუქტურა რიტუალის მოდელირებას ახდენს, ამის გამო ხშირად გაიგივებულია მსხვერპლთშეწირივს ობიექტთანაც (მაგ. სკანდინავიური მითოლოგის მთავარი ღვთაება ოდინი, რომელმაც თავი ჩამოიხრჩო იგგდრასილზე, ან ქრისტე, რომელიც ჯვარზე გააკრეს). ხშირია შემთხვევებიც, როდესაც გრაფიკულ სქემებზე და ნახატებზე მსოფლიო ხის გამოსახულებებში ჩართულნი არიან სხვადასხვა ღვთიური არსებები და შამანები.

ხის ჰორიზონტალურ სქემის გამოსახვისას ხშირად გამოიყენება ორი ჰორიზონტალური ღერძის გადაკვეთა. წარმოქმნილი ოთხი მხარე ქვეყნიერების ოთხ მხარესთანაა დაკავშირებული. ამგვარი ოთხნაწილიანი სქემა, როგორც ცნობილია, საფუძვლად უდევს სხვადასხვა საკულტო ნაგებობებს (ზიქურათი, პირამიდა, ტაძარი...).

გარდა ამისა, მსოფლიოს ხეს დროითი იპოსტასიც გააჩნია - იგი მოიაზრება როგორც კავშირი მიკრო და მაკროკოსმოსს შორის, როგორც წერტილი დროსა და სივრცეში, სადაც განხორციელდა შესაქმის აქტი. დროით პლანში შესაქმის სტადიების იმიტირება ხდება დღესასწაულის დროს, რაც ნათლად ჩანს ხესთან დაკავშირებულ რიტუალებში.

მითოლოგიური მთა, ტაძარი, კიბე, ჯაჭვი, ჯვარი... მსოფლიო ხის ერთგვარ იზოფუნქციურ სიმბოლოებს წარმოადგენენ.

ისე, ხის კულტის არსებობაზე და მასთან დაკავშირებულ რიტუალებზე საქართველოში ბევრ ქართველ მეცნიერთან შეგიძლიათ ნახოთ ინფორმაცია (ჯავახიშვილი, კოტეტიშვილი, ჩიტაია, ბარდაველიძე, აბაკელია, ოჩიაური, კიკნაძე...)

მითოლოგიური მთა სიცოცხლის ხის ტრანსფორმირებულ ვარიანტს წარმოადგენს. იგი მდებარეობს სამყაროს ცენტრში, იმ ადგილას, რომლის გარშემოც კონცენტრირებულია მთელი სამყარო. ორი ერთმანეთთან დაკავშირებული მითოლოგემა მთა - ცა და მთა - ქვედა სამყარო, ბევრი მითოლოგიური პარალელის გასაღებს იძლევა. მთა, როგორც ღმერთების სამყოფელი, ბევრ მითოლოგიაშია გავრცელებული (თუნდაც ოლიმპო ბერძნულ მითოლოგიაში). მითიურ მთასთანაა დაკავშირებული ბევრი მნიშვნელოვანი მითოლოგიური მოტივიც. მაგ. წარღვნა: არარატი - ძველ აღთქმაში, პარნასი -ბერძნულ მითოლოგიაში, ნიცირი - შუმერულ მითოლოგიაში... შუმერულ მითოლოგიაში ღვთაება ენლილს, რომელიც კოსმოგონიური აქტის შემოქმედია და საკუთარი სხეულით განაშორებს ცასა და მიწას ერთმანეთისაგან, ქურ-გალ ეწოდება, რომელიც «დიდ მთას ნიშნავს».[ზ.კიკნაძე «შუამდინარული მითოლოგია»]

კოსმიური მითის კლასიკური ვარიანტია მთა მერუ ინდუისტურ მითოლოგიასა და კოსმოგრაფიაში. იგი სამყაროს ცენტრში მდებარეობს. სამ მწვერვალზე, რომელთაგან ერთი ოქროსია, მეორე ვერცხლის და მესამე რკინის, ცხოვრობენ ბრაჰმა, ვიშნუ და შივა ან, სხვა ვერსიის თანახმად, მწვერვალებზე 33 ღმერთისაგან შემდგარი პანთეონი ცხოვრობს.

მსოფლიო ხის ერთ-ერთ ტრანსფორმირებულ ვარიანტს წარმოადგენს ტაძარი. ტაძრის შენებაში ყველაზე მეტადაა გამოხატული ცისა და მიწის კავშირის იდეა. ტაძრის შენება შესაქმის საკრალურ აქტთანაა გაიგივებული (ტაძრის მშენებელი იმეორებს დემიურგის შესაქმისეულ მოქმედებას). არსებულ ქაოსში გამოისახება პირველი ვერტიკალი «ცამდე აღმართული», რომლებიც განასახიერებენ მსოფლიო ღერძს და ყოველ კონკრეტულ ადგილს დედამიწის შუაგულად, ცენტრად აქცევენ. შუმერულ მითოლოგიაში ზიქურათები ერთგვარ მთის ხატს წარმოადგენდნენ, მაგრამ არა შიშველი მთის, არამედ ტყით დაფარულისას. «ზიქურათის აღწერა-დახასიათებისას ფიგურირებს ორგანული ელემენტი ხე, რომელიც დურ-ან-ქის (კავშირი ცისა და მიწისა) ან დიმ-გალის (დიდი ღერძის) ჰელიოტროპიულ გამოვლენას წარმოადგენს... მსოფლიო ხის ვერტიკალური ზრდის უცვლელობა მკაფიოდაა გამოხატული ნინგიშ-ზიდას სახელში, რომელიც «უფალი მტკიცე ან აღმართი ხისად ითარგმნება». [ზ. კიკნაძე «შუამდინარული მითოლოგია» დასკანერება მეზარება, თორემ წიგნში პიქტოგრამებიცაა მოცემული]

კიბის სიმბოლიკა წარმოდგენილია როგორც კოსმიური ზონების შემაკავშირებელი რამ (სიცოცხლის ხეს ევენქები კიბის სახით გამოსახავენ). მიწაზე, შუასკნელში მდებარეობს მის დასაწყისი. იგი ხან ზეცისკენაა მიმართული (კოსმიური ხის ვარჯი), ხან კი ქვესკნელში ჩადის (ფესვები). ან თუნდაც, იაკობის სიზმარი გაიხსენეთ ძველი აღთქმიდან, როცა ცამდე აღმართული კიბე ესიზმრება, რომელზეც ანგელოზები ადიან და ჩამოდიან.

ჯვარი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიმბოლოა როგორც უმაღლესი საკრალური ფასეულობის ნიშანი. ხილული ცენტრის კონსტიტუირება მასში დამატებით აქცენტს აკეთებს იმაზე, რაც სისტემის უმაღლეს ღირებულებად ითვლება, რაც იერარქიებად ყოფს სამყაროს და ახდენს მის საკრალიზებას - მასში მიმართულებებისა და მათი ურთიერთკავშირების განსაზღვრა. იგი მსოფლიო ხის გეომეტრიულ ვარიანტს წარმოადგენს, ოღონდ, დამატებით ატარებს ანთროპოცენტრული იდეის დატვირთვას.

კოსმიური ხის ერთ-ერთ ექვივალენტად მიიჩნევა აგრეთვე მეფე, სოციალური კოსმოსის ყველა ელემენტის გამაერთიანებელი, რომელიც კოსმიური და სოციალური სტაბილურობის გარანტად არის მიჩნეული. როგორც კოსმოლოგიური სტრუქტურის ცენტრი და მედიატორი, მეფის ფიგურა გაიგივებულია კოსმიურ ხესთან. შუამდინარულ მითოლოგიაში ურ-ნინურთას მეფედ ხელდასხმისას, პანთეონის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ამგვარად მიმართავს მას:

«რჩეულო კედარო, ექურის ეზოს სამკაულო! ურ-ნინურთავ, შუმერის ქვეყანა შენს ჩრდილქვეშ ძრწოდეს, ქვეყნის ჭეშმარიტი მწყემსი იყავ!»

ხშირად ეს სიმბოლოები ერთმანეთის დანამატს ქმნიან - მთაზე აგებული ტაძარი, პირამიდების საფეხურებიანი კედლები, საკრალურ მთაზე გაშენებული წმინდა ტყე (საქართველოს მთიანეთში გავრცელებული მოვლენა იყო), წმინდა ხეზე მიყუდებული კიბე, ცაზე ჯაჭვით დაკიდებული კოშკი (თუნდაც ამირანიანი, ყამარის კოშკიც ჯაჭვითაა ციდან დაკიდებული), მეფე-მეგაღე ზღაპრებში და ა. შ.

ქართველ მთიელთა დროშებზე, სიცოცხლისა და ცნობადის ხეებზე მემრე.

«და აჰა, აღმართულიყო კიბე მიწაზე და ცას სწვდებოდა მისი წვერი. აჰა, ანგელოსნი ღვთისანი ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ მასზე. და აჰა, უფალი იდგა ამ ადგილას და მე არ ვიცოდი». [შესაქმე, XXVIII, 11-19]

არსებობს მსოფლიო ხის სხვადასხვა ვარიანტები, რომლებიც ერთმანეთისაგან შედარებით ვიწრო ფუნქციური დატვირთვით გამოირჩევიან: სიცოცხლის ხე, ნაყოფიერების ხე, ცენტრის ხე, აღსავლის ხე, ციური ხე, შამანური ხე, მისტიური ხე, ცნობადის ხე. შედარებით იშვიათად გვხვდება კოსმიური ხის შემდეგი ვარიანტები: ბოროტების ხე, მიწისქვეშა ხე და სხვ.

იბერიულ-კავკასიურ ხალხთა მითოლოგია.

იბერიულ-კავკასიურ ხალხთა მითოლოგია წარმოადგენს იმ ხალხთა მითოლოგიური წარმოდგენების ერთობლიობას, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილოეთ კავკასიაში და ამიერკავკასიის ნაწილში და საუბრობენ კავკასიური ენების ოჯახში შემავალ ენებზე: ქართველების, ადიღების (ყაბარდოელები, ადიღები, ჩერქეზები), აფხაზების, აბაზინების, ჩეჩნების და ინგუშების (ვაინახები), დაღესტნელების (ავარები, ლეკები, დარგინები, ლეზგინები და სხვ.) და სხვ. ეს მითოლოგიური სისტემები წარმოიშვა უხსოვარ წარსულში იბერიულ-კავკასიურ ხალხთა წინაპარ ტომებს შორის. თავისი განვითარების პროცესში ეს სისტემები სხვადასხვა ზეგავლენას განიცდიდა. განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა მათზე ქრისტიანობამ და ისლამმა იქონია.

კავკასიურ-იბერიული მითების ცალკეული ციკლები თითქმის არ შემონახულა, რადგან დიდ ეპოსებს (ქართული ეპოსი ამირანის შესახებ, კავკასიური ნართების ეპოსი) შეერწყა თითქმის ყველა მითოლოგიური სიუჟეტი და მოტივი. მრავალი წარმოდგენის და სიუჟეტის აღდგენა ხდება

ენოზრივი მონაცემების და სიმღერებში, ცეკვებში, ზეპირ გადმოცემებსა და რიტუალებში გაბნეული მოტივების მიხედვით. ეს მოტივები, რომლებიც კარგავდნენ პირვანდელ კონტექსტს, ზოგჯერ ერწყმოდნენ გვიანდელ რელიგიურ სისტემებს და ქრისტიანული და მუსულმანური კულტის ელემენტებად იქცეოდნენ.

კავკასიურ-იბერიული მითოლოგიის უძველეს პლასტებზე წარმოდგენას იძლევა არქეოლოგია. ენეოლითისა და ადრეული ბრინჯაოს ხანიდან ჩვენამდე მოაღწია საყოფაცხოვრებო და საკულტო დანიშნულების საგნების ფრაგმენტებმა, რომლებზეც გამოსახულია ასტრალური ნიშნები, ჯვრები, კვადრატები, ადამიანთა და ცხოველთა ფიგურები. სხვადასხვა ტიპის სამარხების არსებობა გვაფიქრებინებს უკვე ამ ეპოქაში სიკვდილისშემდგომი სამყაროს შესახებ რთული წარმოდგენების არსებობაზე.

კავკასიელ ხალხთა კოსმოგონიური წარმოდგენების მიხედვით, ხმელეთს მრგვალი ფორმა აქვს და გარშემორტყმულია ზღვით ან მთებით. სამყაროს კიდეზე დგას ცხოვრების ხე, რომელიც ვერტიკალურად აერთებს ცას, დედამიწას და მიწისქვეშა სამყაროს. ჩეჩნების და ინგუშების წარმოდგენების თანახმად, მიწისქვეშა სამყარო ვერტიკალურად შვიდ სხვა სამყაროდ იყოფა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია თითოეული სამყაროს კიდეზე არსებული სოროებითა თუ საიდუმლო გამოქვაბულებით (მოგვიანებით ჩეჩნებსა და ინგუშებში წარმოიშვა ერთიანი მიწისქვეშა სამყაროს გაგება).

კოსმოგონიური წარმოდგენების შემდგომ განვითარებაზე თვალის გადევნება კარგად შეიძლება ენოზრივი მონაცემების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც სამყარო გადამკვეთ კოორდინატებზე განლაგებული ცალკეული სამყაროებისგან შედგება (შდრ. ქართული სკნელი); ვერტიკალურად განლაგდება ზედა სამყარო (ზესკნელი), მიწიერი სამყარო (სკნელი) და მიწისქვეშა სამყარო (ქვესკნელი); ჰორიზონტალურად სამყაროს ცენტრის (სკნელის) წინ მოთავსებულია წინა სამყარო (წინასკნელი), ხოლო უკან - უკანა სამყარო (უკანასკნელი). ზედა სამყარო დასახლებულია ღვთაებებით, ფრინველებით და ფანტასტიური არსებებით, შუა - ადამიანებით, ცხოველებითა და მცენარეებით. ქვედა სამყარო ბოროტი ქტონური არსებების - დევების, დრაკონების, აგრეთვე სიღრმისეული წყლების სამყაროა. სამ ვერტიკალურ სამყაროს (ქართულ მითოლოგიაში) შეესაბამება თეთრი, წითელი და შავი ფერი. წინა სამყაროს - ნათელს და კეთილგანწყობილს, შეესაბამება გაგება აქ, ხოლო მის საპირისპირო უკანა სამყაროს - ბნელს, იდუმალს, ხიფათით და მოულოდნელობებით აღსავსეს - გაგება იქ. ბოროტი უკანა სამყაროს გამო მრავალი ჩვეულებით იკრძალებოდა უკან მოხედვა. ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად განლაგებულ სამყაროთა მთელი ეს სისტემა გარშემორტყმულია ბნელი გარეთა სამყაროთი - გარესკნელით, რომლის იქით არაფერი არ არსებობს და რომელიც მოიაზრება, როგორც გაყინული სიბნელე და უცვლელი მარადისობა.

ვერტიკალურად განლაგებული სამყაროები ერთმანეთისგან ჰაერის სისქით და ხმელეთით გამოიყოფა, ხოლო ჰორიზონტალური - შვიდი (ცხრა) მთით და ზღვით. ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ ღვთაებების და ღმერთკაცებისთვის, ხოლო ადამიანს ასეთი გადასვლა შეუძლია მხოლოდ ღვთაების ნებართვით იერის ცვლის ანუ სიკვდილის გზით (შდრ. ქართული გარდაცვალება), როდესაც სული დროებით ტოვებს სხეულს, მოგზაურობს ღვთაებებთან ერთად ერთი სამყაროდან მეორეში, ხოლო დაბრუნების შემდეგ კვლავ შესახლდება მის სხეულში (ქართ. გახუა მეგრელაური, ინგუშური ბოტკი შირტკა). მოგვიანებით ჩნდება (ალბათ, ქრისტიანობის და მუსულმანობის გავლენით) სამოთხის და ჯოჯოხეთის ცნებები, ფორმდება სიუჟეტები, რომლებიც აღწერს სულის გადასვლას გარდაცვლილთა სამეფოში და ცოდვილთა სასჯელებს.

ყველა სამყაროს ერთმანეთთან აერთიანებს სამყაროს კიდეზე მდგარი მსოფლიო ხე (მისი ვარიანტებია - სვეტი, რომელსაც ეყრდნობა ცარგვალი; კოშკი; ციდან დაშვებული ჯაჭვი; ირემი უზარმაზარი დატოტვილი რქებით, რომლებიც ცამდე აღწევს) მასზე მიბმული ცხოველით (აფხაზთა წარმოდგენით, როდესაც ცხოველი იღვიძებს და განთავისუფლებას ლამობს, ხდება მიწისძვრები). სამყაროთა შორის კავშირი მყარდება აგრეთვე ჯადოსნური ცხოველების, ფრინველების, ფანტასტიური არსებების (გმირთა რაშები, არწივები, თეთრი და შავი ცხვრები, დევები, ქაჯები და ა. შ.) მეშვეობით.

ამ წარმოდგენებს უკავშირდება რწმენა ხის და ტყეების ზებუნებრივი ძალის შესახებ. მრავალი ტომი (აფხაზები, ადიღები, დაღესტნელები) სცემდა თაყვანს ხეებს და სწირავდა მსხვერპლს. ქართულ მითებში ღვთაებები ხშირად ევლინებიან ურჩ ქვეშევრდომებს ხეების სახით.

ჩეჩნების და ინგუშების კოსმოგონიური წარმოდგენა სიცოცხლის წარმოშობას უკავშირებს დედამიწაზე დაშვებულ უზარმაზარ თეთრ ფრინველს. დედამიწა მაშინ წარმოადგენდა ბრტყელ, უწყლო ხმელეთს, მცენარეებისა და ცხოველების გარეშე. ფრინველის უკან გაფრენის შემდეგ მისი ექსკრემენტებისგან წარმოიქმნა წყალი და თესლი, დაღვრილი წყლისგან წარმოიქმნა ზღვები, ტბები, მდინარეები; ქარით გაფანტული თესლით წარმოიშვა სხვადასხვა მცენარე. სხვა ვაინახური მითების მიხედვით მთები, ცხოველები და ადამიანები შექმნა დემიურგმა დიალამ.

კავკასიურ-იბერიულ მითებში შემონახულია ძველი წინაქრისტიანული და წინაისლამური ღვთაებების პანთეონები უზენაესი ღვთაებით სათავეში. თუმცა მითებში უზენაესი ღვთაების გავლენა სხვა ღვთაებებზე ხშირად არ ვლინდება (ისევე, როგორც უზენაეს ღვთაებებს ხშირად უფრო არქაული მითოლოგიური პერსონაჟების ნიშან-თვისებები აქვს შემორჩენილი), რაც ამ წარმოდგენების შედარებით გვიანდელ წარმოშობაზე მიუთითებს. ამასთანავე, უზენაესი ღვთაების ცნებამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა ქრისტიანობის და ისლამის გავლენით. ქართული პანთეონის სათავეში დგას უზენაესი ღვთაება - ღმერთი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ინაწილებს ზოგიერთ ფუნქციას სხვა ღვთაებებთან, არსებითად წარმოადგენს მსოფლიო წესრიგის ერთადერთ დამფუძნებელს და დამცველს, ყოველივე არსებულის მბრძანებელს. იგი იმყოფება მეცხრე ცაზე და მისი ნების გარეშე არაფერი არ ხდება არც მზისქვეშეთში, არც გარდაცვლილთა საუფლოში (ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ღმერთი ასოცირდებოდა ბიბლიურ მამა - ღმერთთან). დანარჩენ ღვთაებებს - ხვთისშვილებს (ღმერთის შვილებს) ლოკალური ღვთაებების - მფარველების და ადამიანთა და უზენაეს ღმერთს შორის შუამავლების ფუნქცია აქვთ. ხვთისშვილთა მეთაურად ითვლებოდა კვირია - ხმელეთის მმართველი, რომელსაც საკუთარი კარავი ანუ სახლეული ჰქონდა. ზოგიერთი მითის მიხედვით, კვირია ითვლებოდა შუამავლად ღმერთსა და დანარჩენ ხვთისშვილებს შორის, რომლებიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იკრიბებოდნენ უზენაესი ღმერთის კართან (დასავლეთ საქართველოს მთის ხალხთა მითებში კვირია ნაყოფიერების ფალოსური ღვთაებაა). აფხაზური პანთეონის სათავეში დგას ანცვა, რომელსაც შერწყმული აქვს ჭექა-ქუხილის და ნადირობის ძველი ღვთაებების, დედა-ღვთაების და სხვათა ნიშან-თვისებები. ადიღეურ მითოლოგიაში პანთეონის მეთაური, დემიურგი და შემოქმედი არის ტხა (სიტყვის წარმოშობა ადიღეური დიგე, ტიგე - მზე, საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად შემოქმედის როლი ეკუთვნოდა მზის ღვთაებას); მოგვიანებით ტხას ფუნქციებმა გადაინაცვლა ტხაშხოსთან. ტხაშხოს კულტმა მიიღო ქრისტიანობის ზოგიერთი ელემენტი, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამის გავრცელების შემდეგ ალაჰის კულტს შეერწყა. ჩეჩნურ-ინგუშურ მითოლოგიაში უზენაესი ღვთაება, დემიურგი არის დიალა. დაღესტანში ერთი და იმავე ფუნქციის მქონე მითოლოგიურ პერსონაჟებს არა აქვთ საერთო სახელი, თითქმის ყველა ხალხს თავისი ღმერთები ჰყავს. პანთეონის სათავეში დგას ზალი (ლეკებთან), ბეჩედი (ავარებთან), გინიში (ცახურებთან), იინიში (რუტულებთან) და სხვა.

კავკასიურ-იბერიული ხალხების მითოლოგიური წარმოდგენებისთვის დამახასიათებელია მზის, მთვარის და სხვა მნათობების პერსონიფიკაცია. ქართულ მითებში მთვარე მამაკაცია, მზე - ქალი; ისინი ხან და-ძმანი არიან, ხან - ცოლ-ქმარი, ხან კი - დედა-შვილი. დაღესტნის მთიელები მთვარეს და მზეს ქალიშვილის და ჭაბუკის იერით გამოსახავდნენ, ამასთანავე ზოგიერთ მითში ისინი და-ძმად გვევლინებიან, ზოგში კი - შეყვარებულებად. აფხაზთა პანთეონში თავდაპირველად შედიოდა მზის ამოსვლის და ჩასვლის ღვთაება ხაიტი, რომელიც დაკავშირებული იყო ცოცხალთა სამყაროსთან, გარდაცვლილთა სამყაროსთან, ზღვასთან. ძველი წარმოდგენებით, ხაიტის საზღვაო სამეფოში მთებიდან უზარმაზარი ხვრელით ჩაედინება ყველა მდინარე. ხაიტის ქალური შესატყვისი - კოდოში, რომლის კულტიც გავრცელებული იყო აფხაზეთის სანაპირო ზოლში და ზოგიერთ მოსაზღვრე ადიღეურ ტომში (მაგ. შაფსუღებში), გამოისახებოდა მისადმი მიძღვნილი ტყეებისა და ცალკეული ხის თაყვანისცემით. მოგვიანებით აფხაზურ პანთეონში შევიდნენ ამრა (მზის პერსონიფიკაცია) და ამზა (მთვარის პერსონიფიკაცია). მთვარის ფაზების წარმოშობის შესახებ მითის მიხედვით, ამრა (მზე) - მშვენიერი ქალია, ხოლო ამზა - მისი ქმარი. ამზას მოსდევს მისი და - ეშმაკი. როდესაც დაეწევა გაქცეულ ძმას, იგი იწყებს მის ჭამას. ამ დროს ჩნდება ამრა, რომელსაც გაუგია უბედურების შესახებ. ის თავისკენ ექაჩება ამზას, ხოლო და - თავისკენ. კამათს ღვთაება გადაჭრის: 15 დღით იგი ამზას ეშმაკს აძლევს (რომელიც ამ პერიოდში თითქმის მთლიანად შთანთქავს მთვარეს), ხოლო 15 დღით - მის ცოლს ამრას. იგი ახერხებს მიუსწროს ამზას სიცოცხლის ბოლოს (როდესაც მთვარე ილევა) და ალერსით და ზრუნვით კვლავ შთაბეროს სიცოცხლე. სავსემთვარეობისას კვლავ ეშმაკი აღიდგენს უფლებებს. არსებობს მთვარეზე ლაქების ახსნის სხვადასხვა ვარიანტი: მეცხვარის მიერ ზევით ასროლილი და მთვარეზე გაბნეული ძროხის ნაკელი; ნართ სასრიყვას ჯოგი, რომელიც მთვარეზე ძოვს.

ქართველთა წარმოდგენით ლაქები მთვარეზე დედის მიერ ცომში მოსვრილი ხელით შვილისთვის სილის გაწვნის კვალია. მრავალი კავკასიური ხალხის რწმენით მთვარის დაბნელება ხდება იმის გამო, რომ მას თავს ესხმის ურჩხული (დრაკონი), რომელიც მის შეჭმას ლამობს; არსებობდა ტრადიცია მთვარის დაბნელების დროს მისი მიმართულებით სროლისა, რათა ეხსნათ იგი.

ინგუშების და ჩეჩნების მითოლოგიაში ციური მნათობებისადმი მიძღვნილი რამდენიმე სიუჟეტი არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით, პერსონიფიცირებული მზე (ან მზის ღმერთი) გელა დილით ზღვიდან ამოდის, ხოლო საღამოს კვლავ ზღვაში ჩადის. როდესაც იგი ჰორიზონტზე ამოდის, მისგან ზღვის ქაფი წვეთავს. წელიწადში ორჯერ (ზუნიობის დროს) დედამისს - აზას სტუმრობს (ზოგიერთი მითის მიხედვით, აზა მზის შვილია, ყოველივე ცოცხალის მფარველი; დაიბადა მზის სხივისგან და წარმოადგენს მზის სხივების მაცოცხლებელ ძალას). ერთ-ერთი მითის თანახმად, მზე და მთვარე ძმები არიან (თუმცა სხვადასხვა დედის შვილები), რომელთაც მუდმივად დევნის მათი ბოროტი და მოჟი, რომელსაც ცაზე თავისი ნათესავები შეუჭამია; როცა იგი მათ დაეწევა, ხდება დაბნელება. სხვა მითი მოგვითხრობს მზისა და სხვა მნათობების წარმოშობის შესახებ. მშვენიერ ქალიშვილს მისდევდა მასზე შეყვარებული სახელგანთქმული ოსტატი-მჭედელი, რომელმაც არ იცოდა, რომ ეს ქალიშვილი მისი და იყო: იგი მას გავარვარებული ოქროს კომბლით მისდევდა მანამდე, ვიდრე ორივენი არ მოკვდნენ. კომბლის ნაპერწკლები ვარსკვლავებად გადაიქცნენ, ჭაბუკი - მზედ, ხოლო ქალიშვილი - მთვარედ. დღემდე ჭაბუკი (მზე) ცდილობს დაეწიოს ცაზე მის შეყვარებულს (მთვარეს).

კავკასიაში გავრცელებულია მითოლოგიური სიუჟეტები მფარველ ღვთაებებზე და ბუნებრივი ობიექტების - მდინარეების, ტბების, ზღვების, მთის მწვერვალების და სხვ. მფლობელებზე, აგრეთვე ნადირობის ღვთაებებზე, რომლის ნებართვის გარეშე მონადირეს არ შეუძლია მოინადიროს რაიმე. არსებობს აგრეთვე ლეგენდები გარეული ცხოველების პატრონ ღვთაებებზე. ისინი ჩუქნიან მონადირეს ნანადირევს, რომლის მოკვლაც მათი ნებართვის გარეშე ეკრძალებათ, ხოლო ურჩი ყოველთვის ისჯება. ნადირობის ღვთაებებს მიეკუთვნებიან ქართული ოჩოპინტრე, დალი, აფხაზური აჟვეიფში, რომელიც ზოგჯერ აერგთან არის გაიგივებული, ადიღეური მეზიტხა, რომელმაც განდევნა ნადირობის ადრინდელი ღვთაება მეზგუაში (ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მისი ფუნქციები ნაწილობრივ დაუშჯერჯიამ აიღო, რომელსაც აგრეთვე წმინდა გიორგის ნიშნები შეერწყა), დაღესტნური აბდალი (ავდალი), ინგუშური ელტა (რომელიც აგრეთვე მცენარეულობის ღვთაებაა) და სხვა.

ნადირობის ღვთაებებთან დაკავშირებული წარმოდგენები ასახულია სანადირო ეპოსში და მითოლოგიურ სიუჟეტებში მონადირეთა შესახებ, რომლებიც მისდევენ რა ნადირთა მფარველ ღვთაებებს, რომელთაც ცხოველის სახე აქვთ მიღებული, მაღალი კლდეებიდან ვარდებიან და იღუპებიან. ეს სიუჟეტები, ისევე, როგორც ხალხური ცეკვებისა და სიმღერების ტექსტები, სრულდებოდა საგაზაფხულო დღეობებზე. მოგვიანებით კავკასიაში სანადირო მოტივები აგრარულ და კოსმოგონიურ წარმოდგენებს შეერწყა. ცეკვა-სიმღერები დაღუპული მონადირის შესახებ, რომლებიც ყოველწლიურად სრულდებოდა ადრეულ საგაზაფხულო დღეობებზე, ეძღვნებოდა ბუნების ნაყოფიერების განახლებას და გამოღვიძებას.

დაღესტნის მრავალ ხალხში სჩანს ტოტემური წარმოდგენების კვალი. ტოტემების როლში გვხვდება დათვი, ძროხა, ძაღლი, ცხენი, თხა, ცხვარი, არწივი. დაღესტნის ხალხთა წარმოდგენებში მნიშვნელოვანია გველის როლი; ერთგან გველი კეთილი სულია, სახლის მფარველი, ხოლო მეორეგან - წყლის, წვიმის და ელვის განსახიერება. ტოტემური წარმოდგენები მოსჩანს ჩეჩნურ-ინგუშურ მითოლოგიაშიც. ერთ-ერთ ზღაპარში უშვილო წყვილს ძროხამ და დედალმა ცხენმა მოუყვანეს შვილები. მშობლებმა ძროხისგან დაბადებულ შვილს მახტატი დაარქვეს, ხოლო ცხენისგან დაბადებულს - პახტატი. მათ გოლიათური ძალა აქვთ და მრავალ გმირობას ჩადიან. სხვა ზღაპარში ადამიანის და დათვის კავშირის შედეგად ჩნდება ჯადოსნური უნარის მქონე გმირი ჩაიტონგი. ჩეჩნებთან და ინგუშებთან ადამიანთა მფარველად გვევლინებიან ფრინველი (ფარა ხაზილგი) და გველი.

მრავალი სიუჟეტი უკავშირდება ელვის და ჭექა-ქუხილის ღვთაებებს, ადამიანთა ბედის და მოსავლის გამგებლებს. ისინი, უზენაესი ღმერთების მსგავსად, ფლობენ ციურ ცეცხლს და დედამიწაზე გზავნიან წვიმას და გვალვას. ქართულმა მითებმა და რიტუალებმა არ შემოგვინახა ელვის და ჭექა-ქუხილის უძველესი ღვთაებების სახელები, რომელთა კულტიც შეერწყა მათი გამომდევნელი ქრისტიანული წმინდანების - ელიას (ილიას), გიორგის და სხვ. კულტს. აფხაზურ პანთეონში ელვის და ჭექა-ქუხილის მბრძანებელია აფი, რომელიც დედამიწაზე ცეცხლოვან ისრებს გზავნის. ადიღებს სწამდათ დიდი ელვისმტყორცნელი ღმერთი შიბლე, რომელიც სულის

ღმერთ ფსატხასთან ერთად პანთეონში ტხას (ტხაშხოს) შემდეგ მოდიოდა. დაღესტანში თაყვანს სცემდნენ ელვის და ჭექა-ქუხილის ღვთაებებს ასს (ლაკეზთან) და არშს (ცახურებთან), წვიმის ღვთაებებს (ზიუვილს ლაკეზთან, გუდილს ტაბასარებთან, გუდის რუტულებთან, გოდეის ცახურებთან, ფეშაფაის ლეზგინებთან). აფხაზები, ადიღეები, ქართველები მეხისგან მოკლულს განსაკუთრებული პატივით კრძალავდნენ, როგორც წესი სიკვდილის ადგილზე. ჭექა-ქუხილთან და ელვასთან დაკავშირებულია მჭედლობის მფარველი ღვთაებები (ქართული პირქუში, აფხაზური შაშვი, ადიღეური ტლეფში). აფხაზები სამჭედლოს ჭექა-ქუხილის ღმერთის - აფის ნამსხვრევად თვლიდნენ.

მთელ კავკასიაში იყო გავრცელებული წარმოდგენები ღმერთსა და ადამიანს შორის შუამავალი ღვთაებების შესახებ, რომლებიც გამოსთხოვდნენ ხოლმე ღმერთს ადამიანთათვის სასურველ ამინდს. რიტუალების დროს ამ ღვთაებების პატივსაცემად ქალები სოფელში მორთული თოჯინებით დადიოდნენ, რომელთაც წყლით რწყავდნენ, ხოლო ცერემონიის დასრულების შემდეგ მდინარეში ყრიდნენ ხოლმე. ითვლებოდა, რომ ეს მსვლელობები შეაჩერებდა გვალვას და კოკისპირულ წვიმებს. ლაზარეს, გონჯოს და სხვებთან ერთად ქართველები თაყვანს სცემდნენ ქრისტიანულ წმინდანებს, რომელთაც საჭირო ამინდი მოჰყავდათ, კერძოდ, გაღმერთებულ ისტორიულ პიროვნებებს. ფალოსური თოჯინებით გამართული რიტუალური მსვლელობები ბევრ რამეში ემთხვევა ძველბერძენი მწერლების მიერ აღწერილ, მოსავლიანობის ღვთაებებისადმი მიძღვნილ დღესასწაულებს. საქონლის ნაყოფიერებაზე ქართველები უზენაეს ღვთაებას (ღმერთს) ევედრებოდნენ, აგრეთვე წმინდა მარიამს და სხვადასხვა სინკრეტულ ღვთაებას, რომლებიც საქონლის მფარველობასთან ერთად აგრარულ ფუნქციებსაც ითავსებდნენ (მაგ. ბოსელი, ბარბალე, ბარბოლი, ქრისტიანული წმინდა ბარბარე, თევდორე, ჭაბუკი, ლამარი და სხვ.) შემონახულია აგრეთვე შინაური ცხოველების და მიწათმოქმედების განსაკუთრებულ მფარველებთან დაკავშირებული სიუჟეტები. დაღესტანში ლეზგინები თაყვანს სცემდნენ მიწათმოქმედების და მესაქონლეობის ღვთაება გუცარს.

კავკასიის სხვა ხალხებთან ეს წარმოდგენები უფრო დიფერენცირებულია. აფხაზები მესაქონლეობის მთავარ ღვთაება აიტართან ერთად თაყვანს სცემდნენ საქონლის, განსაკუთრებით კამეჩების მფარველ ღვთაებას მკამგარიას (აკამგარია, სკამგარია). ადიღეები თაყვანს სცემდნენ ხარების მფარველს - ხაკუსტაშს და ძროხების მფარველს - ფშიშაკს; ამათ გარდა იყვნენ მსხვილი და წვრილი საქონლის მფარველი ღვთაებები ახინი და ამიში. მთელ კავკასიაშია გავრცელებული ლეგენდები საქონლის მფარველი ღვთაების მიერ გამოგზავნილი ძროხის ან ხარის შესახებ, რომელიც ნებაყოფლობით სწირავს თავს მსხვერპლად ამ ღვთაებას. ქართველებში ეს ლეგენდები უკავშირდება სხვადასხვა ღვთაების - თემის მფარველთა და ქრისტიან წმინდანთა კულტს. ქრისტიანული ეკლესია იყენებდა ლეგენდებს ცხოველის შესახებ, რომელიც თვითონ მოდის მსხვერპლად შეწირვის ადგილას. მაგ. ილორის ტაძარში წმინდა გიორგის დღეობაზე სასწაული ხდებოდა: მოდიოდა ოქროს რქიანი ხარი, რომელიც თითქოს დღესასწაულის წინა ღამით თვით წმინდანის მიერ იყო მოყვანილი. ქართული ლეგენდის თანახმად, თავდაპირველად ღვთაება ირემს გზავნიდა. ნებაყოფლობითი მსხვერპლის მოტივი უახლოვდება შესაბამის ანტიკურ და ძველაღმოსავლურ მოტივებს.

კავკასიის მთიელებში ცნობილია მიწათმოქმედების, ნაყოფიერების და მოსავლის ძველი ღვთაებები, როგორებიც არიან აფხაზური ჯაჯა და ანაპა-ნაგა, ადიღეური ტხაგალეჯი, ჩეჩნურ-ინგუშური ერდი, თუშოლი (რომელიც ქართველებშიც არის ცნობილი), დაღესტნური იდორი, კვარა და სხვ. არსებობენ ხელობის მფარველი ღვთაებები (კერძოდ, ქართული ლამარი, აფხაზური ერიში - ქსოვის, საუნაუ - ფქვის და სხვ.)

იბერიულ-კავკასიურ მითოლოგიაში შემონახულია წარმოდგენები კეთილი და ბოროტი სულების, ტყის კაცების შესახებ, რომლებიც მოგვიანებით ქრისტიანობის და ისლამის გავლენით ეშმაკის, შაითანის, იბლისის შესახებ წარმოდგენებს შეერწყა. ჩეჩნურ-ინგუშურ მითოლოგიაში კეთილი სულების - მფარველების როლში გვევლინებიან ტარამები; ბევრია ბოროტი სული - ალმაზები, ხუნ საგი, უბური, ვოჩაბი, გამსილგი. ბოროტ სულთა შორის ბევრი სხვადასხვა დაავადებას განასახიერებს. დაღესტნის ხალხებში შაითანები წარმოადგენენ თმებით დაფარულ ანთროპომორფულ არსებებს გადმოტრიალებული ხელ-ფეხით და ადამიანზე დაბლები არიან. ისინი განცალკევებულად ცხოვრობენ და ისეთივე ცხოვრებას ეწევიან, როგორსაც ადამიანები: ქორწინდებიან, შობენ შვილებს (მძიმე მშობიაროობის დროს დამხმარე ქალს იწვევენ); უყვართ ცხენებით სეირნობა. ზოგჯერ ნაცნობი ადამიანის სახეს იღებენ. ზოგჯერ, თუ ადამიანმა სიკეთე და ზრუნვა გამოამჟღავნა, შაითანი მას მდიდარ ადამიანად აქცევს. ბოროტი შაითანები ცვლიან ახალშობილებს, ხელს კრავენ უფსკრულის კიდეზე მდგომ ადამიანებს, აჩერებენ წისქვილებს და ა.შ. მთის ხალხის რწმენით, ყურანისეული ლოცვა შაითანისგან იცავს. ავარებთან შაითანებს

საკუთარი სახელები აქვთ: იტუ, ტიტუ, ნისკუ და სხვ. შაითანთა სახესხვაობას წარმოადგენენ ვასვასინეკალი (ჯერ კიდევ არდაბადებულ ადამიანს დაავადებებს მოუვლენს), კეხაი (კისერს უმრუდებს ადამიანს, აბნევს მას, უმთავრესად კი საქონელს ერჩის), ჟუნდული (ჩვეულებრივ, იცავს ადამიანს, მაგრამ მის მაწყენარს დაავადებებს მოუვლენს - სახის კრუნჩხვებს, აჯადოებს) და სხვ. ჯინები, რომლებიც დაღესტნურ მითოლოგიაში გვხვდებიან, იყოფიან თეთრ ჯინებად, რომლებიც მფარველობენ ადამიანებს, ხელს უწყობენ გამდიდრებაში (გამდიდრების საიდუმლოს გამამხელელი ადამიანი სასტიკად ისჯება ჯინის მიერ) და შავ ჯინებად, რომლებიც აგიჟებენ ადამიანს. ქართულ მითებში გვხვდება ბოროტი სულები - დევები და ქაჯები, რომლებიც ქვედა სამყაროში ცხოვრობენ.

მითოლოგიური წარმოდგენების განსაკუთრებული პლასტი ვლინდება ეპოსში და ფოლკლორში. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა და აფხაზური ნართების ეპოსი და ქართული ამირანის ეპოსი, წარმოიქმნენ რა უხსოვარ წარსულში, სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ანაბეჭდს ატარებენ. ეპოსსა და მითს შორის საზღვარი ხშირ შემთხვევაში საკმაოდ პირობითია. ეპოსის გმირები ცხოვრობენ სამყაროში, რომლის სივრცე-დროითი მახასიათებლები მითიური სამყაროს შესაბამისი მახასიათებლების მსგავსია. ღმერთები გვევლინებიან გმირების დამხმარეების, მფარველების ან პირიქით მოწინააღმდეგეთა როლში. ნართულ ეპოსში ღმერთები დეზეჩი და ტლეპში ღვთაებრივი მჭედლების ორ თაობას განასახიერებენ. დეზეჩი გავარვარებულ ლითონს ხელით აძლევს ფორმას, ხოლო ტლეპში იგონებს მარწუხებს, უროს, გრდემლს, აკეთებს პირველ ნამგალს. იგი ასევე მკურნალობს ძვლების მოტეხილობებს (აქ ასახულია ლითონის ათვისების ეპოქის დროინდელი უძველესი წარმოდგენები, როდესაც მჭედელი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ, როგორც ღვთაების ყოვლისშემძლე რჩეულს, განასახიერებდა ზებუნებრივ ძალას, რომელსაც ლითონის დამორჩილება შეეძლო). მეორეს მხრივ, ეპოსის გმირები (ამირანი, აბრსკილი, სასრიკვა, სოსრუკო, ნასრენ-ჟაჩე, ბატრაზი, პხარმატი და სხვ.) აღსდგებიან თვით ღმერთის წინააღმდეგ და ცეცხლს მოუპოვებენ ხალხს, რაც მათ ბერძნულ პრომეთესთან ანათესავებს და საშუალებას იძლევა, ისინი კულტურული გმირების რიგში განვიხილოთ.

განასახიერებენ რა კეთილ საწყისს, ეპოსის გმირები ყოველთვის ეწინააღმდეგებიან ბოროტების, სიბნელის და მიწისქვეშა სამეფოს ქტონურ ძალებს, რომლებზეც გამარჯვება კოსმოსის მოწესრიგების სიმბოლოა. თავის საქმეებში გმირები მრავალ ღმერთს სჯობიან, ხოლო ზოგჯერ მათ მოწინააღმდეგედაც გვევლინებიან (ადიღეური სოსრუკო ღმერთებს სასმელს - სანოს წაართმევს და ადამიანებს აძლევს), ებრძვიან მათ და ხშირად იმარჯვებენ კიდეც (უაზირმესი კლავს ბოროტ ღმერთ პაკოს; ნასრენ-ჟაჩე აღსდგება ტხას მბრძანებლობის წინააღმდეგ, რის გამოც ოშხამახოს მწვერვალზე მიაჯაჭვავენ, საიდანაც მოგვიანებით ნართი ბატრაზი ათავისუფლებს).

უმეტეს შემთხვევაში ეპოსის გმირები სასწაულებრივად იბადებიან - უცოდველი ქალწულისგან, ქვისგან, ქალღმერთის და მონადირისგან (აბრსკილი, ამირანი, სასრიკვა, სოსრუკო, სოსკა-სოლსა). ნადირობას კავკასიურ ეპოსში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, იგი წინ უძღვის ყველა მნიშვნელოვან გმირობას.

ეპოსის გმირთა გმირობები განასახიერებენ ბუნების მოვლენებს, ბუნებრივი ციკლების პერიოდულობას, ციურ მნათობთა მოძრაობის როტაციულ ხასიათს. თუმცა თვითონ გმირთა ქმედებების ციკლურობა უკვე დაკარგულია და მხოლოდ სიუჟეტის გარკვეული ელემენტები მიუთითებენ მათ თავდაპირველ ხასიათზე. მიწისქვეშა სამყაროდან მოილტვის ცოცხლად დამარხული ნართი სოსრუკო, ყოველ გაზაფხულზე გაისმის მისი კვნესა; სოსრუკოს მიწისქვეშა სამყაროში ჩასვლის დღეს იღვიძებს ბუნება, მიწა იცილებს ყინულს, ჩნდება წყაროები - სოსრუკოს ცრემლები. ყოველ წელს გვახსენებენ თავს კლდეზე მიჯაჭვული ან გამოქვაბულში გამომწყვდეული გმირები (ამირანი, აბრსკილი და სხვ.). აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ფოლკლორში შემორჩენილია სიუჟეტები გიორგის ყოველწლიური მოგზაურობის შესახებ ქაჯების ქვეყანაში. გიორგი, ამირანის და აშამეზის მსგავსად, იტაცებს მშვენიერ ქალებს, სიყვარულის და ნაყოფიერების ქალღმერთებს (ალბათ, ქაჯების მიერ მოტაცებულთ), ცხრასიმიან ფანდურს და გრდემლს, მოერეკება უზარმაზარ ჯოგს. ქაჯების ქვეყნიდან დაბრუნებისას თან მოაქვს მუსიკალური ინსტრუმენტი - გაზაფხულის სიმბოლო. ამირანი გადაივლის ზღვას და იტაცებს მშვენიერ ყამარს, ზეციურ, მზიურ ქალიშვილს, ღრუბელთა წინამძღოლის შვილს - გაზაფხულის სიმბოლურ სახეს. ამირანს გადაყლაპავს ვეშაპი, რომელიც სიბნელეს განასახიერებს, მაგრამ იგი ვეშაპს გვერდს გაუჭრის და გარეთ გამოდის. ნართები ჩადიან გმირობებს, რომლებიც აბედნიერებენ ადამიანებს და აყვავებენ ბუნებას. ნართი აშამეზი ბატრაზთან და სოსრუკოსთან ერთად მიწისქვეშა სამყაროში ჩადის, რათა დრაკონისგან მშვენიერი ახუმიდა გამოიხსნას და მოსტაცოს ჯადოსნური სალამური,

რომლის დაკვრაც მძინარე ბუნებას აღვიძებს და განდევნის ზამთარს, რომელიც ჩამოწოლილა დედამიწაზე, ვიდრე სალამური დრაკონის ხელშია.

დაღესტანში, სადაც ნართების ეპოსი ფართოდ არ გავრცელებულა (აქ ცნობილია მხოლოდ ცალკეული სიუჟეტები ნართებზე, კერძოდ ნართ ბარხუზე) ეპიკური სიუჟეტები და მოტივები ტიპოლოგიურად ახლოს დგას ამირანის და ნართების ეპოსთან. ლეზგინების ეპოსის გმირი - შარვილი, რომელშიც გაერთიანებულია მითოლოგიური და ზღაპრული ნიშან-თვისებები, უზარმაზარ ძალას ფლობს: გრანიტის კლდეს ჰკვეთს, ასი ათას მეომარს ცვლის, შეუვალია ისრების და ხანჯლებისთვის; მტერი მასთან გამკლავებას მხოლოდ მოტყუების გზით ახერხებს. დაღესტნური ეპოსის ზოგიერთი გმირი ღმერთებს ებრძვის. ლაკების გმირი ამირი აღუდგება ღმერთ ზალს, რისთვისაც მას რკინის ჯაჭვით კლდეზე მიაბამენ. სხვა გმირი (ადამიანი მაჩალ-ლაშიდან) მთაში ყინვისგან გათოშილი ქალიშვილებისთვის ცეცხლს პარავს ღმერთს.

ყველაზე გავრცელებულ სიუჟეტებს შორისაა გმირების ბრძოლა ცალთვალა გოლიათებთან (ამირანი, ნართები; შდრ, ბერძნული ოდისევსის ბრძოლა ციკლოპ პოლიფემოსთან). ანალოგიური სიუჟეტები გვხვდება აგრეთვე კავკასიელ ხალხთა ფოლკლორში.

ქართული ხალხური ლექსი თავფარავნელი ჭაბუკი შეიცავს სიეჟეტს გმირზე, რომელიც ყოველ ღამე გადაცურავს ზღვას თავის შეყვარებულთან შესახვედრად; ქალწული ანთებულ სანთელს ტოვებს ნაპირზე, რათა ჭაბუკს გზა მიასწავლოს, მაგრამ ბოროტი დედაბერის შელოცვით სანთელი ქარიშხლის დროს ქრება. ჭაბუკი ვერ აგნებს ნაპირს და იღუპება. ანალოგიური სიუჟეტები შემორჩენილია ადიღეებშიც. ლეგენდის თანახმად, მშვენიერი ადიუხის სახლი დგას მდინარის ნაპირზე, რომელზეც გადაჭიმულია ტილოს ხიდი. თუ ადიუხის ქმარი სახლში გვიან ღამით ბრუნდება, იგი ფანჯრიდან თავის მანათობელ ხელებს უწვდის, რომელიც უნათებს გზას და ქმარიც ხიდზე ადვილად გადარეკავს ცხენებს. უმადური ქმარი უშლის ადიუხს ხიდის ხელებით განათებას. ბნელი ღამით იგი ვარდება ხიდიდან და იხრჩობა, რის შემდეგაც ადიუხი ცოლად სოსრუკოს მიყვება, რომელსაც მზის ატრიბუტიკა ახასიათებს. ადიუხის მანათობელი ხელები გვახსენებს ძველ მითს განთიადის ქალღმერზე, რომლის ვარდისფერი თითებიც ანათებს დილის ცას. ლეგენდის ქართულ ვარიანტში დაღუპული გმირი მის აქსესუარებთან ერთად (წითელი სამოსი, ანთებული სანთელი, ღამით ცურვა, ტვირთი, რომელიც მიაქვს და საბოლოოდ, სიკვდილი) ქალღმერთის სიყვარულის გამო დაღუპულ ღვთაებებს და გმირებს უახლოვდება.
„სიცოცხლის ხის" შესახებ ქართული მითიც მოგვითხრობს:

„მთაზე ცხრათვალა, ცასწვერმიბჯენილი ციხე დგას. აქ არის ღვთის კარი: ოქროს ტახტზე, ღმერთი ზის. აქვე დგას ქვესკნელში ფესვგადგმული ალვის "ხე". ალვის რტოებზე, თეთრმხრიანი ღვთისშვილები სხედან, ხოლო მის ფესვებში უკვდავების ვეშა-წყარო სჩქეფს. ციხიდან წყარომდე მიწი-მიწ დარანი ჩადის. (დარანი-კლდეში ანუ მიწის ქვეშ შესავლელი).

არსებობს მსოფლიო ხის სხვადასხვა ვარიანტები, რომლებიც ერთმანეთისაგან შედარებით ვიწრო ფუნქციური დატვირთვით გამოირჩევიან: სიცოცხლის ხე, ნაყოფიერების ხე, ცენტრის ხე, აღსავლის ხე, ციური ხე, შამანური ხე, მისტიური ხე, ცნობადის ხე. შედარებით იშვიათად გვხვდება კოსმიური ხის შემდეგი ვარიანტები: ბოროტების ხე, მიწისქვეშა ხე და სხვ.

კოსმიური ხის ერთ-ერთი ვარიანტია სიცოცხლის ხე. იგი თავის თავში მოიცავს სიცოცხლის მითოლოგიზირებულ წარმოდგენებს და აქედან გამომდინარე, თავისი არსით სიკვდილის, ბოროტების ხის პოლარულად განსხვავებულ მნიშვნელობას ატარებს. ხშირია შემთხვევებიც, როცა სიცოცხლის ხე ამბივალენტური სიდიდეა - ორივე ფუნქციის (სიკვდილ-სიცოცხლის) მატარებელი, რაც უბრალოდ იმითაა გამოწვეული, რომ, რომ სიკვდილის ან ბოროტების ხე ნაკლებად არის გავრცელებული არსებულ მითოლოგიებში.

სიცოცხლის ხის სიმბოლიკის საკრალურ მნიშვნელობას სიცოცხლე და უმაღლესი მიზანი - უკვდავება წარმოადგენს. ბევრ მითოლოგიურ სისტემაში აღწერილია სიცოცხლის მატარებელი ელემენტების ეტაპობრივი წარმოქმნის პროცესი (მცენარეები, ცხოველები, ადამიანები). ამის შემდეგ დგება პერიოდი, როცა პირველ ადგილზე გამოდის «კულტურული» შენაძენები (კულტურული გმირი ან ადამიანთა საზოგადოების სოციალური წყობა). სიცოცხლის ძირითადი ნიშანი თავის მსგავსის წარმოქმნასა და გამრავლებაში მდგომარეობს. ყოველ ცალკეულ სიცოცხლეს ოთხი სტადია ახასიათებს - დაბადება, ზრდა, დეგრადაცია და სიკვდილი . მითოლოგიურ და რელიგიურ სისტემებში განსაკუთრებით ხაზგასმულია სიცოცხლის აღმავალი ხაზი - დაბადებიდან ზრდის მაქსიმალურ სტადიამდე - ყვავილობასა და სიმწიფემდე.

მას შემდეგ, რაც ადამიანმა ხეში ხის სულის სხეული კი არა მხოლოდ მისი სამყოფელი დაინახა, გარკვეული წინსვლა მოხდა რელიგიურ აზროვნებაშიც. იმის მაგივრად, რომ ხე განეხილათ როგორც ცოცხალი და მოაზროვნე არსება, ადამიანი მასში ინერტულ, უსიცოცხლო მასას ხედავდა, რომელშიც სახლდება ღვთაებრივი არსება. გილგამეში ხუმბაბას, «კედარის

ურჩხულს», მხოლოდ იმით ძლევს, რომ ზედიზედ მოჭრის შვიდ ჭადარს, რის შემდეგაც გოლიათი სასიცოცხლო ძალას კარგავს. ანალოგიურ ფუნქცია აქვს ჭადარს, რომელშიც ბატა თავის გულს მალავდა, ატისის ფიჭვის და ადონისის ბაღის მსგავსად, საითკენაც მიემართება ღვთაებრივი სიცოცხლე.

თავისთავად, ძალიან საინტერესოა მითი ადონისის დაბადებაზე. ერთ-ერთი ვერსიით, ასირიელი მეფის ტიანტის ასულ მირას (სმირნას), რომელიც აფროდიტემ დასწყევლა, საკუთარი მამა შეუყვარდება. ინცესტის შემდეგ, მეფე სასახლიდან გააძევებს თავის ასულს. გამწარებული მირა სთხოვს ღმერთებს: «ცოცხალმა რომ არ შევურაცხყო ცოცხლები, მკვდარმა მიცვალებულები, განმაშორეთ ორთავ სამეფოს...» ღმერთებს შეეცოდებათ იგი და მას ხედ (მსოფლიო ხედ) აქცევენ, რომლიდანაც ადონისი იბადება.

გადმოცემებში ხშირად გვხვდება სასიცოცხლო სუბსტანციის სხვა მატარებლებიც. მაგ. ნაყოფი - ბრონწეული (მოგვიანებით იგი ვაშლმა შეცვალა), რომელიც უკვდავებისა და ხელდასხმის სიმბოლოდ აღიქმება მკვდრეთით აღდგომის შემდეგ.

მითოლოგიაში ქალი ხშირად მოიაზრება, როგორც ცხოვრების ხის სიმბოლო. ბიბლიური ევას სახელი, რომელიც სიცოცხლის ხის არქეტიპია. ძველებრაულად ევა (IEVE) სიცოცხლეს ნიშნავს. უფრო მეტადაა გავრცელებული სიმბოლო, სადაც სიცოცხლის ხესთან დგას დედური ფუნქციების მატარებელი ქალი-ღვთაება რაც შეეხება სიცოცხლის ხესთან გამოსახულ დედობრივი ფუნქციების მატარებელ ხატ-ღვთაებას, ამ მხრივ მეტად საინტერესოა ხახულის კარედის ერთ-ერთ ფირფიტაზე ალვის ხის (ალვაზე და ძელი ცხოველზე მერე) ფონზე გამოსახული ღვთისმშობელი, რომელსაც ხელში თითისტარი უჭირავს. თითისტარის სიმბოლიკა ორგვარად შეიძლება იქნას გაგებული: ა) როგორც მსოფლიო ღერძის სიმბოლო - ბერძნული მითოლოგიის ღვთაებას, მოირების დედას - ანანკეს, მუხლებზე თითისტარი ედო, რომელიც სამყაროს ღერძთან იყო გაიგივებული. ბ)როგორც ერის მფარველობისა - ქრისტიანულ ტრადიციაში მოირები (ქართული «ბედის მწერლები») მფარველმა ანგელოზმა შეცვალა. გარდა მფარველი ანგელოზისა, რომლებიც კონკრეტულ ადამიანს უკავშირდება, ყველა ერი დაკავშირებულია მაღალი რანგის ღვთიურ არსებასთან (მაგ.მთავარანგელოზთან), რომელიც წარმართავს ერის სულიერ ცხოვრებას და მის მფარველად გვევლინება. ტრადიციის მიხედვით კი საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანადაა მიჩნეული.

სიცოცხლის ხესთან დაკავშირებული სხვადასხვა ტექსტებზე, რომლებშიც ფიგურირებენ: 1. სიცოცხლის მომნიჭებელი ქალური ღვთაება ხეში ან ხეზე; 2. ღვთიური სასმელი (სომა, ამბროზია, უკვდავების წყალი, თაფლი, სისხლი...) ან საკვები (სამოთხის ვაშლები, ჰესპერიდას ოქროს ვაშლები, იდუნის ვაშლები «უმცროს ედაში»), რომელიც ეძლევა მამაკაცური საწყისის მქონე არსებებს სასიცოცხლო ძალების გაძლიერება-განვითარებისათვის; 3. ჰიეროგამიის სხვადასხვა ვარიანტებში, საკრალური ქორწინების აქტებში:

მაგ. შუმერულ მითოლოგიაში გილგამეშმა ქალღმერთი ინანას სარეცელისათვის კოსმიური ხე მოჭრა: «ხის ფესვებში მოუნუსხავი გველი მოკლა, ხის რტოებში ფრთოსანი ანხუდი ბარტყებითურთ შეიპყრო, ხის შუაგულში ქალწულ ლილას სახლი დაურღვია... ...რტონი მისნი განკაფა, წმინდა ინანას ტახტისათვის უბოძა, საწოლისათვის უბოძა».

ხშირ შემთხვევაში, მკვდრეთით აღმდგარი ღმერთის შესამკობად ნახმარი ეპითეტები სწორედ სიცოცხლის ხესთანაა დაკავშირებული: იშთარი და თამუზი (თამუზი შედარებულია თამარისკთან და ტირიფთან), აფროდიტა და ადონისი (ადონისი მსოფლიო ხიდანაა დაბადებული, მის სისხლზე ამოდის ვარდი), იზიდა და ოზირისი (შემხვედრია და ვეღარ ვიპოვნე ოზირისის გამოსახულება ვაზის ლერწმებში, მისი სამარხის ახლოს ამოსული ხე, რომელზედაც ოზირისის სულია ფენიქსის სახით, ოზირისის სახის მწვანე ფერი და მისი სიმბოლო, ლერწმის შეკვრა, რომლებიც ერთმანეთშია ჩადგმული), კიბელა და ატისი (ატისი ჩასახულია ნუშის ან ბროწეულის ნაყოფისაგან), ქრისტე («ამოვა ყლორტი იესეს ღეროდან და მისი ფესვის ამონაყარი გაიხარებს»).

ამასთან, ხშირად აქტუალიზირებულია ქალური იპოსტასი. გაცილებით იშვიათია მამაკაცის გამანაყოფიერებელი ძალის სიმბოლიკა (დიონისე ვაზის მტევნებით ხელში, სხვადასხვა ფალიური სიმბოლოები). გვხვდება მამაკაცური და ქალური საწყისების მატარებელი ხე-სიმბოლოების წყვილიც ან ორი ხისაგან შექმნილი ქალისა და მამაკაცის სიმბოლოები (მაგ. სკანდინავიურ მითოლოგიაში ოდინი პოულობს და აცოცხლებს ქალისა და მამაკაცის ხის პირველსახეს იფანს და ტირიფს. საინტერესოა, ალბათ, რომ ქალისა და მამაკაცის შესატყვისი რუნების ზედდებისას მსოფლიო ხის ერთ-ერთ გავრცელებული ვარიანტი მიიღება.).

კაბალისტიკაში კოსმიური სისტემის აღწერისას გამოიყენება კაბალისტური სიცოცხლის ხე - სეფიროთი. სეფიროთი წარმოადგენს რთულ, მრავალწახნაგოვან სიმბოლოს, რომელიც შედგება ათი მანათობელი სფეროსაგან, რომლებიც, თავის მხრივ, ქმნიან სამ სვეტს და გარკვეული წესით არიან ერთმანეთთან შეერთებულნი 22 არხით ანუ «გზით». აღნიშნული დიაგრამა ერთგვარი «კოსმიური პროექტია», რომელიც იძლევა სამყაროსა და ადამიანის, მათი შესაძლო ურთერთკავშირებისა და დამოკიდებულებების სქემატურ, კონცენტრირებულ აღწერას. (და აქ ეკოს ფუკოს ქანქარა მახსენდება და არც თუ უადგილოდ - რომანის არქიტექტონიკა მთლიანად სეფიროთის სქემას ეყრდნობა.)

სიცოცხლის ხის სიმბოლიკა ხშირად იყო აღრეული ცნობადის ხის სიმბოლიკაში. თავისთავად ცნობადი ხის სიმბოლიკა საკმაოდ ძველია და მან ზნეობრივი ფუნქცია მოგვიანებით შეიძინა. ძველ ეგვიპტურ «მიცვალებულთა წიგნში», არის ეპიზოდი, სადაც მიცვალებულს, რომელსაც ჩიტის სახე აქვს მიღებული ეპატიჟებიან სიკომოროს (?) ნაყოფის საგემებლად, ვინაიდან ყოველი, რომელიც ამ ხის ნაყოფს იგემებს, ღმერთი გახდება; სიკვდილი ადამიანს იმ ღვთიურ სამყაროში აბრუნებს, საიდანაც ის ამქვეყანად მოვლინებისათვის გამოაძევეს. ამ დროს ადამიანი შეიმეცნებს უდიდეს ჭეშმარიტებას თავის ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ.

ძველ ბაბილონში ცნობილი იყო ორი ხე - სიცოცხლის ხე და ჭეშმარიტების ხე. გარკვეული მოსაზრებით მათ რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ შამანის ხეც, რომელზედაც ადეპტები ხელდასხმას ღებულობენ.

გარკვეულწილად, ცნობადის ხის ფუნქციებს ატარებს სკანდინავიური იგგდრასილიც, რომელზედაც ოდინი ცხრა დღის განმავლობაში ეკიდა, რათა რუნების საიდუმლოება შეეცნო. წმინდა ხის ბოდჰის ძირას იჯდა ბუდა შაკიამუნი, როდესაც გასხივოსნდა. ცნობადის ხე უნდა იყოს ინდურ ეპოსში - ბჰაგავატგიტაში - მოხსენიებული ხე აშვათჰაც:

განსაკუთრებით საინტერესო ტიპია ცნობადის ხე, რომლის ნაყოფსაც ხშირად გველი, გველეშაპი ან სხვა ხთონური არსებები, იცავენ. გმირი, იმისათვის რომ იგემოს აკრძალული ნაყოფი და შეიმეცნოს ჭეშმარიტება, მან უნდა გაიაროს გარკვეული გამოცდა (გავიხსენოთ არგონავტების მითი), შეძლოს ხთონური არსებების დამარცხება და მხოლოდ ამის შემდეგ აღწევს იგი სასურველ შედეგს.

ცნობადის ხის სახეცვლილი ვარიანტია დღეს მთელს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული საშობაო ნაძვის ხეც. თავდაპირველად მას ვაშლებით რთავდნენ. მოგვიანებით, ვაშლები სხვადასხვა სახის სათამაშოებმა და მოსართავებმა შეცვალა.

...და აღმოაცენა ღმერთმან ქუეყნისაგან ყოველი ხე შუენიერი ხილვად და კეთილი საჭმელად და ხე ცხოვრებისა საშუალ სამოთხისა და ხე გამომრჩეველი ცნობისა კეთილისა და ბოროტისასა...

[შესაქმე, II, 9).

პირველი ადამიანები ადამ და ევა სწორედ სიცოცხლისა და ცნობადის ხის არქეტიპებს წარმოადგენენ. პირველცოდვის მისტიური აზრიც სწორედ საწყისი არქეტიპებისაგან დაცილებაში მდგომარეობს. ადამმა და ევამ დაარღვიეს უფლის ნება და აკრძალული ხის ნაყოფი იგემეს. ...და აჰა, ადამ იქმნა, ვითარცა ერთი ჩუენთაგანი მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა...

მას შემდეგ, რაც ღმერთმა სამოთხიდან დაუტევა ადამ და ევა ... და განავლინა იგი უფალმან ღმერთმან სამოთხისაგან საშუებელსა საქმედ ქუეყნისა, რომლისაგან მიღებულ იქმნა. და განკაცდა ადამ და დაამკვიდრა იგი წინაშე საშუებელსა სამოთხისასა. და დააწესა ქერუბინი და მოტყინარე მახვილი იქცევისი დაცვად გზისა ხისა ცხოვრებისას. ადამიანი მოკვდავი გახდა და დაეხშო ის ბჭე, საიდანაც ღვთაებრივ სიბრძნეს შეიმეცნებდა.

ძველებრაული ლეგენდის მიხედვით, ადამ სეთს, რომელმაც მოისმინა და გაიგო რა ადამისაგან პირველცოდვის შესახებ, 40 დღე იმარხულა, მარხვის დასრულების შემდეგ მას გამოეცხადა ანგელოზი უფლისა და მისცა მას რტო სიხარულისა. სეთმა იგი ადამს მიუტანა, რომელმაც მასში ცნობადის ხის რტო ამოიცნო. დარგო სეთმა ყლორტი და ამოვიდა ხე, რომლის სამი ტანი ერთმანეთში იყო გადახლართული (რიცხვი სამი უფლის სამ იპოსტასზე მიგვანიშნებს).

სიცოცხლის ხისგანაა გაკეთებული მოსეს კვერთხიც. ...და იყო ხვალისაგან და შევიდეს მოსე და აარონ კარვად საწამებლისა, და აჰა ესერა კუერთხი იგი აჰრონისი განედღებული იყო სახლსა ზედა ლევისსა: და მოეღო ფურცელი და გამოეღო ყუავილი და გამოსცა ნიგოზი. [რიცხვთა.

შუა საუკუნეებში ძველი აღთქმის სიუჟეტებზე შექმნილ მიდრაშიმში მოსეს კვერთხის წარმოშობაზე ამგვარადაა მოთხრობილი: მე (მოსემ) ვკითხე მას (ციფორას ან სეფორას, არ ვიცი ზუსტად) საიდანაა აქვს მას (იოთორს) ეს კვერთხი? მან მიპასუხა: ეს ის კვერთხია, რომელიც უფალმა შაბათ საღამოს შექმნა, სამყაროს შექმნის შემდეგ (აქაც, ამ ლეგენდაში დაცულია შესაქმისეული თანმიმდევრობა – სამყაროს შექმნის შემდეგ უფალი ქმნის კვერთხს, რომელიც

მსოფლიო ხის ერთ-ერთი სიმბოლოა). უფალმა იგი პირველ ადამიანს გადასცა (იგულისხმება ადამ სეთი), მან გადასცა ენოქს, იმან ნოეს, ნოემ სემს, სემმა აბრაამს, აბრაამმა იაკობს. იაკობმა კვერთხი ეგვიპტეში მოიტანა და თავის შვილს, იოსებს გადასცა. როცა იგი მოკვდა, ეგვიპტელებმა კვერთხი მისი სახლიდან გამოიტანეს და ფარაონს მიართვეს. ფარაონის გული კვერთხის დანახვაზე სურვილით აენთო, მოიპარა იგი და თავის სახლში წაიღო. ამ ხეზე ამოკვეთილი იყო ღმერთის სახელი და ათი უბედურება, რომელსაც ღმერთი თავს დაატეხდა ეგვიპტეს. უამრავი დღე და უამრავი წელი იდო ეს კვერთხი მამაჩემის სახლში, სანამ მან ერთხელ ხელში არ აიღო იგი, გავიდა ბაღში და მიწაში ჩაარჭო იგი. როდესაც ის (მამაჩემი) კიდევ გავიდა ბაღში, რათა მოეტანა კვერთხი, მან დაინახა, რომ კვერთხი გაყვავებულიყო».

აქ ჩნდება ერთი საკურადღებო პარალელიც ამირანის თქმულების ერთ-ერთ ვარიანტთან. როდესაც ამირანი და ღმერთი ებრძვიან ერთმანეთს, ღმერთი სამჯერ იმეორებს საკრალურ აქტს - მიწაში ჩაარჭობს თავის კვერთხს, რომელიც უცბად ღრმად გაიდგამს ფესვებს. ამირანი ორჯერ დაეჭიდება და მოგლიჯავს ხეს, მესამედ კი ვერა. მხოლოდ ამის შემდეგ მიაჯაჭვავს ღმერთი ამირანს კლდეზე. კვერთხი თავად ღმერთმა უბოძა მოსეს. ...და მოიღო მოსე კუერთხი იგი ღმრთისამიერი ხელითა თვისთა [გამოსვლათა, IV, 21]. კვერთხის გველად ქცევის მომენტიც არ არის შემთხვევითი. და შევიდეს მოსე და აჰრონ წინაშე ფარაოსა და მსახურთა მისთა და ყვეს ეგრე, ვითარცა უბრძანა მათ უფალმან, და მიაგდო აჰრონ კუერთხი იგი წინაშე ფარაოსა და წინაშე მსახურთა მისთა და იქმნა იგი ვეშაპ [გამოსვლათა, VII, 10].

მოგვიანებით კვერთხი, ზედშემოხვეული გველით ხელდასხმისა და ინიციაციის სიმბოლო ხდება. ამგვარი კვერთხი ჰერმესის (მერკურის) უცვლელი ატრიბუტია, რომელის მეშვეობით მას შეეძლო არა თუ უბრალო მიკვდავნი, არამედ თავად ღმერთებიც დაეძინებინა და სურვილისამებრ გაეღვიძებინა. ჰერმესი ერთგვარი შუამავალია სიკვდილ-სიცოცხლეს შორის. მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სწორედ მიცვალებულთა სულების გადაყვანა იყო ჰადესში. კადუცეუსი ასკლეპიოსის (ლათინიზებული ვარიანტით – ესკულაპეს) ატრიბუტიცაა (შურეს დიად ხელდასხმულნში. რამას ციკლში, სადაც აღწერილია რამას მიერ ჭირის ფითრით განკურნების ეპიზოდი, მოხსენიებულია რამას ერთ-ერთი ზედწოდება «Aesc-beylhopeე», რომელიც ნიშნავს ხსნის იმედი ტყეში იმალება. შურეს აზრით, სწორედ ამ სახელიდან შექმნეს ბერძნებმა მოგვიანებით ასკლეპიოსი.)

სიცოცხლის ხისგანაა გამოთლილი ის სვეტიც, რომელიც სოლომონის ტაძრის ლეგენდაში გვხვდება. სოლომონს სურდა ძელი ტაძარში სვეტად გამოეყენებინა (კოსმიური ხის კიდევ ერთი იზოფუნქციური სიმბოლო - სვეტი, საყრდენი, რომელსაც ზეციური სამყარო ეყრდნობა), მაგრამ ვერ შეძლო. ძელი მდინარეზე გადეს და იგი ხიდის (ხე მაინც არ კარგავს თავის საკრალურ ფუნქციას, იგი ჰორიზონტალურ სიბრტყეშიც «ხიდის» მოვალეობას ასრულებს) მოვალეობას ასრულებდა სანამ საბას (შიბას) დედოფალმა არ ნახა და მისგან ჯვარი არ გააკეთებინა. ლეგენდის მიხედვით სწორედ ამ ჯვარზე ევნო იესო ქრისტე.

როგორც ვხედავთ, ბიბლიური სიცოცხლის ხემ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა და მან ჯვრის სახე მიიღო. სტრუქტურულად და ქრონოლოგიურადაც იგი წარმოადგენს შუალედურ სიმბოლოს მსოფლიო ხესა და ადამიანს შორის, როგორც ორივე მათგანის გეომეტრიული გამოხატულება.

თავისთავად ჯვრის სიმბოლო უძველესია. მოგვიანებით იგი სიკვდილ-სიცოცხლის უნივერსალური სიმბოლო ხდება. კაცობრიობის ისტორიაში ქრისტეს იმპულსის შემოტანამ და გოლგოთის მისტერიამ გარკვეულწილად შეცვალა ეს არქეტიპი. ის მისტიური აქტი, რომელიც პირველცოდვისას მოხდა (ევასა და ადამის დაშორება საწყისი არქეტიპებისაგან, რომელიც მარადიული სიცოცხლისა და უკვდავებისაგან დაცილებას ნიშნავს) მეორდება, ოღონდ პირიქით. ჯვართან დაკავშირებული ძირითადი მითოლოგემა უკავშირდება ადამიანს და ღმერთკაცს, რომელიც კვდება, რათა ჯვარზე სიკვდილით საუკუნო სიცოცხლე მოიპოვოს. ჯვრის სიმბოლოს ამგვარი ორმაგი ორიენტაცია ხსნის მასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ არსს - არჩევანის გაკეთების უნარი და უფლება სიკვდილსა და სიცოცხლეს, ბედნიერებასა და უბედურებას, სიხარულსა და მწუხარებას შორის. ამ ნებელობითი არჩევანის დატვირთვა აქვს ქრისტეს ჯვარცმასაც.

ჯვარზე გაკვრით აღსრულდა უდიდესი მისტერია კაცობრიობის ისტორიაში. მაქსიმალური საკრალური დატვირთვა გააჩნია იმ დროსა და ადგილს სივრცეში, სადაც და როდესაც ხდება მისი აღმართვა. ორი ეპოქის გადაკვეთაზე, ჯვარი - სიცოცხლის ხის სიმბოლო - ერთგვარი შემობრუნების წერტილის, ახალი ეპოქის დასაწყისზე მიგვანიშნებს ადამიანის მიმართებაში ზეციურ სამყაროსთან.

იახსარი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების (ფშავ-ხევსურეთი) მითოლოგიაში ღვთაება ხვთისშვილთა (ღმერთის შვილთა) რიგიდან. სხვა ხვთისშვილებისგან განსხვავებით, იახსარი ზეციურ მოციქულად ითვლებოდა, რომელიც სვეტის ან ჯვრის სახით წარმოსდგებოდა. იახსარს თაყვანს სცემდნენ, როგორც ბოროტ ძალებთან - დევებთან, ქაჯებთან, ეშმაკებთან და სხვ. მებრძოლ ღვთაებას, რომელიც იცავს როგორც მისი მფარველობის ქვეშ მყოფ ადგილს, ისე ყველა ადამიანს, ვინც შველას ითხოვს. ხალხური რწმენის მიხედვით, იახსარი განდევნის ბოროტ სულებს სულიერად დაავადებული ადამიანისგან და უბედური შემთხვევით (მეხის დაცემა, ზვავში მოყოლა და ა. შ.) გარდაცვლილთაგან. ამ ფუნქციების გამო და ასევე მოსახლეობის მიგრაციის შედეგად იახსარის კულტმა ფართო გავრცელება ჰპოვა აგრეთვე თუშეთში, მთიულეთში, გუდამაყარში, ერწო-თიანეთში და სხვა რაიონებში. იახსარს უკავშირდება გამარჯვება დევებზე, რომლებიც ავიწროებდნენ ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობას, ბილწავდნენ მათ სალოცავებს, პატივს ჰყრიდნენ მათ ქალებს, კლავდნენ ბავშვებს. ამით შეწუხებულმა მთიელებმა თავიანთ ღვთაებებს მიმართეს და სთხოვეს დახმარება დევების განდევნაში. ღმერთის კართან სათათბიროდ შეკრებილმა ხვთისშვილებმა უზენაეს ღმერთს დევების დასჯა სთხოვეს. წინამძღოლის ასარჩევად ღმერთმა ხვთისშვილთა ძალა გამოსცადა. შეჯიბრში იახსარმა და კოპალამ გაიმარჯვეს, რომლებიც ჩაუდგნენ კიდევაც ლაშქრობას სათავეში. მათ გაანადგურეს დევების ჯარი, მოკლეს მათი გოლიათები მუზა და ბეღელა. ამის შემდეგ დევები უხილავნი გახდნენ და სამუდამოდ მიატოვეს მათი მიწები. ზემოთ ვირია ქართულ მითოლოგიაში ღვთაება. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა წარმოდგენით კვირია ლოკალური სათემო ღვთაებების - ხვთისშვილთა წინამძღოლია, უზენაეს ღმერთსა და ადამიანებს შორის შუამავალი და სამართლის შემოქმედი. მისი ეპითეტებია კარავიანი და ხმელთმოურავი. კვირიას საპატივცემულოდ ეწყობოდა დღესასწაულები კვირიცხოვლობა, ხალარჯობა ღამისთევით, მსხვერპლის შეწირვით და საკულტო ნადიმებით. დღესასწაულების დროს მწვანე ტოტებით ქოხებს აშენებდნენ.

დასავლეთ საქართველოს მთიელებში კვირია ბუნების ნაყოფიერების მამაკაცური ღვთაებაა. მას ეძღვნებოდა ადრეული საგაზაფხულო დღესასწაულები, რომლებიც რვა ცალკეულ რიტუალს შეიცავდა. დღესასწაულთა დროს აშენებდნენ თოვლის კოშკს, აწყობდნენ მეზობელ სოფლებს შორის შეჯიბრებებს, მღეროდნენ ჰიმნებს, თამაშდებოდა სცენები, რომლებშიც თვალნათლივ მოსჩანდა ღვთაების ფალოსური ბუნება. დასავლეთ საქართველოს მთიელთა ცალკეულ სიმღერებში კვირია აგრეთვე უზენაეს ღვთაებად გვევლინება, რომელიც ზეცას და ზეციურ წყალს განაგებს. კვირიას ჰიმნს გვალვის დროს მღეროდნენ, რომ წვიმა მოსულიყო.

კოპალა ქართულ მითოლოგიაში ხევსურთა ლოკალური ღვთაებაა ხვთისშვილთა რიგიდან. ხალხური ეტიმოლოგია მის სახელს კომბალიდან აწარმოებს. კოპალა იახსართან ერთად ებრძვის დევებს და ამარცხებს მათ. მითის ზოგ ვარიანტში კოპალა ერწყმის იახსარს ერთ პერსონაჟად ან მის ორეულად გვევლინება (ამ შემთხვევაში კოპალა ხევსურული, ხოლო იახსარი ფშავური ღვთაებაა). კოპალას მთავარი სალოცავი ლიკოკის ხეობაში, კარატის მთის მწვერვალზე დგას. ხევსურთა რწმენით, კარატის ჯვრის თაყვანისცემა იცავს წყალში დახრჩობისგან და ზვავში მოყოლისგან, მას უკავშირდება მოჯადოებულთა და სულიერად დაავადებულთა განკურნება და სხვა.

მამბერი ქართულ მითოლოგიაში მგლების მბრძანებელია. თაყვანს სცემდნენ სვანები და დასავლეთ საქართველოს სხვა მთიელები. როდესაც მამბერი კმაყოფილი იყო ადამიანებით, იგი მგლებს პირს უკრავდა, ხოლო განრისხების ჟამს, პირიქით, საქონელზე მიუშვებდა ხოლმე მათ.

ძალიან საინტერესოა საუბარი იმ სოლარულ ნიშნებზე, რომლებზეც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი სხვა თემებში - ის აშკარად ანატოლიური წარმოშობისაა. ალბათ საუბარი სვასტიკა და ბორჯღალოზე.

ნაწილიანი – ქართულ მითოლოგიაში ადამიანი ან ცხოველი, რომელსაც ბოძებული აქვს ღვთაებათა წმინდა ნიშნები (ნაწილები). ცის ან მზის ღვთაება მას უბოძებს ჯვარს ან მზის გამოსახულებას, მთვარის ღვთაება - მთვარის ნიშანს და ა.შ.

ნაწილიანებმა უნდა დამალონ მათი წილები, რომლებიც, როგორც ითვლებოდა, განლაგებულია მათ ბეჭებქვეშ მანათობელი ნიშნის ან სანთლის სახით. ნაწილიანის შესახებ წარმოდგენები, სავარაუდოდ უხსოვარ წარსულში წარმოიშვა; ეს დასტურდება არქეოლოგიური მასალით, რომელიც გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანას ეკუთვნის: ბრინჯაოს ქამრებზე ასახულ მითოლოგიურ სცენებში ფიგურირებენ ადამიანები ასტრალური ნიშნებით მხრებზე და ბარძაყებზე. ნაწილიანის კულტი ასახვას ჰპოვებდა ასტრალურ ღვთაებებთან ბავშვთა ზიარების რიტუალებში. სავარაუდოდ, ნაწილიანის შესახებ წარმოდგენებს უკავშირდება მეფეთა და დიდგვაროვანთა სამოსზე და აღჭურვილობაზე

ასტრალური სიმბოლოების აღბეჭდვის ტრადიცია, რაც თითქოს მათაც ნაწილიანის კატეგორიას აკუთვნებდა.

ფშავლების წარმოდგენით ლაშარის ჯვრის მუხა ზეცასთან ოქროს შიბით (ოქროს ჯაჭვი) იყო დაკავშირებული, ანგელოზები ჩამოდიოდნენ და ხის კენწეროზე სხდებოდნენ ხოლმე. ზურაბმა ფშავი რომ ააოხრა, რა თქმა უნდა ამ მუხის მოჭრაც სცადა, (რომ ფშაველებს ხატის ყმობისთვის თავი დაენებებინათ და მისი ყმები გამხდარიყვნენ). მაგრამ ხეს რამდენჯერაც ცული დაარტყეს იმდენჯერ ნაფოტი უკან ეწებებოდა. მაშინ ერთმა ფშაველმა, გვარად აფციაურმა უღალატა თავისიანებს, და ზურაბ ერისთავს უთხრა, რომ ხის ტანზე კატის სისხლი წაესვათ. (ანგელოზები მოშორდებიან და ხესაც ადვილად მოჭრითო), ასე მოჭრეს ხე, მაგრამ ფშავლებმა არ მოითმინეს ეს ამბავი და დაამარცხეს ზურაბი.

რაც შეეხება ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებს, აქაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საკრალურ ხესა და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებს. საქართველოს სხვადასხვა მხარეში წმინდა ხედ ითვლებოდა: მუხა, ცაცხვი, ვაზი, ტირიფი, ალვა, იფანი...

წარმართი ქართველები თაყვანს სცემდნენ მუხას. მათი წარმოდგენით, მუხა მოიაზრებოდა როგორც ნაყოფიერების, სიუხვის, ბარაქის, ჯანმრთელობის სიმბოლო. კოტეტიშვილის აზრით, ზოგადად მუხა უკავშირდება ღრუბელთა და ჭექა-ქუხილის ღვთაებას, როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში (იტალია, გერმანია, საბერძნეთი) , ვერა ბარდაველიძის აზრით კი – მზის ღვთაებას.

არგონავტების მითში ოქროს საწმისი მუხაზეა ჩამოკიდებული (ამ მხრივ საინტერესო საინტერესო პარარლი ჩნდება ხეთურ მითთან თელიფინუს შესახებ - მოკვდავი და აღორძინებადი ღვთაების - თელიფინუს წინ - ეიას წმინდა ხეს დგავენ, რომელზედაც ცხვრის ტყავს ჰკიდებენ (საკრალურ საწმისს), საწმისი კი ნაყოფიერების, გამრავლების, დღეგრძელობის და ყოველივე სიკეთის სიმბოლოა.). ვ. კოტეტიშვილს მიაჩნია, რომ ეს გარკვეული საკრალური აქტი იყო. «იგივე მნიშვნელობა აქვს დღემდე შემორჩენილ წესს საღვთო მუხებზე (ცაცხვზე, იფანზე) ჯიხვის თუ ირმის რქების მიკვრას, ფერადი ნაჭრების ჩამოკიდებას, ღაზლის ძაფის ჩამოკიდებას.

მუხის კულტის კვალი ჩანს ქართულ ხალხურ სიმღერებში, უძველეს თქმულებებსა და ზღაპრებშიც. მუხა, როგორც უკვე აღვნიშნე, ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მომნიჭებელ ძალად იყო მიჩნეული. ეს მოტივი კარგად ჩანს ლექსში მამლი მუხასა: მუხა წონწილებს, წონწილებს, მამლი მუხასაო, წონწილებს და წაიქცევა, მამლი მუხასაო, მუხისა ნადგომსა ძირსა, მამლი მუხასაო, შიგაც რომ წყალი დგებოდა, მამლი მუხასაო, იქაც რომ თევზი ჩნდებოდა, მამლი მუხასაო, იმასაც ხომ დაჭერა უნდა, მამლი მუხასაო, რითა და რითა შენ, ბიჭო, მამლი მუხასაო, რითა და მოსეს ბადითა, მამლი მუხასაო ...ჩიტი ღობეზე შემოჯდა, მამლი მუხასაო, იძახდა ქიშმიშობასა, მამლი მუხასაო ღმერთმან ყველანი მოგასწროთ, მამლი მუხასაო აღდგომა-ქრისტეშობასა, მამლი მუხასაო.

ლექსში საინტერესოა თევზის გაჩენის მომენტიც. აქ თევზი შემთხვევით არაა მოხსენიებული. თევზი, ისევე, როგორც მუხა ძველ მითოლოგიაში გარდაცვლილი და მკვდრეთით აღმდგარი ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლოა (ბევრ სხვა ქვეყნებში თევზი ხელახალი დაბადების სიმბოლოა). შემთხვევითი არ არის მისი კავშირი ქრისტესთანაც. ადრეულ ქრისტიანულ ლიტერატურაში იესო ქრისტე პირდაპირაა მოხსენიებული თევზად, ხოლო ქრისტიანები მეთევზეებად. (ქრისტე პეტრეს და ანდრიას ეუბნება «მომყევით მე და ადამიანის მებადურებად გაქცევთ».) რიტუალური ნაწილის კვინტესენციას წარმოადგენს მისი დასარული, სადაც კრისტალიზებული სახით არის მოცემული ლექსის არსი. გიორგი ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში გამოკვეთილად საუბრობს სიცოცხლის ხის ჩანაცვლებაზე ნაყოფიერების მომნიჭებელი ძალით - თევზით.

საქართველოში წმინდა ხეთა შორის ყველაზე უფრო გავრცელებული მუხისა და ცაცხვის თაყვანისცემა იყო - აღნიშნავს ვერა ბარდაველიძე. ქართული გადმოცემა მოვგითხრობს, რომ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიის ადგილზე ძველად მდგარა უზარმაზარი წმინდა მუხა, რომელსაც ხალხი თაყვანს სცემდა. მეფის გაქრისტიანების შემდეგ მუხა მოუჭრიათ და მის ადგილზე ჯერ ხის, შემდეგ კი ქვის ეკლესია აუშენებიათ.

მარტვილის ეკლესიის დაარსების ლეგენდის მიხედვით, დღევანდელი მარტვილის ეკლესიის ადგილას წმინდა მუხის ხე მდგარა, რომელთანაც პირველშობილი ვაჟები მიჰყავდათ და სწირავ¬დნენ (ამგვარი მსხვერპლთშეწირვის რიტუალზე ლაპარაკობს ესაია: რომ გახურებულხართ მუხებს შორის, ყოველი ხემხვივანის ქვეშ, ბავშვთა დამკვლელნო ხევებში, კლდეთა ნაპრალებში (ესაია 57:5), სადაც ფრეზერის აზრით, აღწერილია მოლოქისადმი ბავშვების მსხვერპლად შეწირვის ჩვეულება, როდესაც, მოკლული ბავშვის სისხლს უსვავდნენ

წმინდა მუხას, ან სისხლი რამენაირი ფორმით მიჰქონდათ შესაწირავად). მოგვიანებით ეს სასტიკი რიტუალი ღორების მსხვერპლთ¬შეწირვით შეცვლილა, ხოლო I საუკუნეში, გადმოცემის მიხედვით, ეს ხე ანდრია პირველწოდებულს მოუჭრევინებია და მის ადგილზე მარტვილის სახელით ცნობილი ეკლესია აუშენებიათ.

მუხისა და ცაცხვის თაყვანისცემაზე მეტყველებენ გეოგრაფიული ტერმინებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია «რკონი» და «ჭყონდიდი». ეს უკანასკნელი მეგრულად «დიდი მუხის სალოცავს ნიშნავს». რკონის ღვთისმშობლის ეკლესიის მახლობლად ცაცხვის ხეა, რომელიც წმინდა ხედ ითვლება (ხო იყავით წასულები ცოტა ხნის წინ). მაგრამ სახელწოდება «რკონი» მიგვანიშნებს იმაზე, რომ აქ ცაცხვზე ადრე მუხის თაყვანისცემა უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

მუხასთან ერთად დიდ თაყვანს სცემდნენ ცაცხვს, იმერეთში ცაცხვის შეშად მოჭრა და მისი შეშად ხმარება დიდი ცოდვა ყოფილა. იმ ადგილებში კი, სადაც ეკლესია არ იყო, მის მაგივრობას ცაცხვის ხეები სწევდნენ.

ხელშეუხებელი და შეუვალი იყო ფშავში სამლოცველო ხატების ადგილზე გაშენებული წმინდა ტყეები. სვანეთში კი გვხვდება ასწლოვანი ხეებით დაფარული ადგილები, იქიდან ნაფოტის გამოტანაც კი ღვთის რისხვას იწვევდა, მოავლენდა უჩვეულოდ მსხვილ სეტყვას. სვანეთში ასეთ წმინდა ხეებად ითვლებოდა ფიჭვისა და ნაძვის ხეები, მათთვის შესაწირავიც კი მიჰქონდათ და იქვე ლოცულობდნენ (საკრალურ ხეთა ჩამონათვალში არსად, არც ერთ წყაროში არ შემხვედრია წიფელა. თუმცა, რაჭაში, სოფელ შქმერის ზემოთ მინახავს ასეთი წმინდა ტყე – წიფლის უზარმაზარი ხეებით დაფარული მომცრო გორაკი, რომელსაც იქაურები ქოლოსს (!?) უწოდებენ).

ბარდაველიძეს მიაჩნია, რომ ხეებთან და ხევნარ-ტყესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული წმ.გიორგისა და ღვთისმშობლის სახელები. ამას ადასტურებდა ქართული გადმოცემები და ლეგენდები. ისინი პირდაპირ მიუთითებენ წმინდა მუხის კავშირს წმინდა გიორგის კულტთან. ერთი გურული ლეგენდის თანახმად, მას შემდეგ, რაც XVII ს-ში ლეკებმა გურია დაარბიეს და დაანგრიეს წმ.გიორგის სახელობის ეკლესია, სოფლის მცხოვრებლებმა წმ.გიორგის ხატი მუხაზე იპოვეს და რამდენჯერაც სხვა ადგილზე გადაიტანეს, იმდენჯერ დაუბრუნდა წმინდა ხეს. შემდეგ ხალხმა მოჭრა ხე და მის ადგილზე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ააგო.

მარადმწვანე ურთხელის კულტი საქართველოს სხვადა¬სხვა კუთხეში არსებობდა. ეს ხე თითქმის ყველგან გვხვდება სხვადასხვა სახელწოდებებით. სამეგრელოში არსებობდა დღესასწაული - ურთხაობა, რომელიც გაზაფხულზე ტარდებოდა. რიტუალის შესასრულებლად მაღალ ურთხელს ირჩევდნენ, ხესთან შესაწირავით მიდიოდნენ და ლოცულობდნენ. ლოცვაში «წმინდა ხედ» მოიხსენიებოდნენ და შესთხოვდნენ საქონლის გამრავლებას, უხვ მოსავალს, ბედნიერებას, ავი თვალისაგან დაცვას. თავისთავად, საკმაოდ საინტერესოა ურთხაობის რიტუალი (ისევე როგორც სხვა რიტუალები ჩემთვის), თუმცა ამ რიტუალების ცალ¬ცალკე აღწერა ბევრ დროსა და ადგილს მოითხოვს. თუ დაგაინტერესებთ ვინმეს, მიგითითებთ მერე წყაროებს. ერთზე შევჩერდები მარტო. სამეგრელოში ურთხელს შვილების გამრავლებასა და გამარჯვებას შესთხოვდნენ. ამ რიტუალს ოჯახის დედა ასრულებს. ხესთან მოჰქონდათ მჭადის ფქვილისა და ღერღილისაგან გამომცხავარი კვერები, რასაც ურთხელის წიწვს ურევდნენ, კვერებს აცხობდნენ როგორც შვილების, ისე ხის სახელზეც და ლოცულობდნენ. თუ ბავშვი თან არ ახლდა დედას, მაშინ მას ურთხელის ტოტი სახლში მოჰქონდა და ავადმყოფი ბავშვის ოთახის კარზე დაამაგრებდა. ერთი კვირის შემდეგ კი ადრიანად მივიდოდა ხესთან და კვლავ შესთხოვდა ხეს ბავშვის ჯანმრთელობას. ლოცვით ხეს დაჩოქილი შემოუვლიდა. შემდეგ ნახშირიანი ხელით ხეს ჯვარს დაუსვამდა და შუბლს მაგრად მიადებდა, რომ ჯვრის გამოსახულება გადასვლოდა, სახლში დაბრუნებული კი ბავშვს მიადებდა შუბლს მაგრად, რომ ჯვრის გამოსახულება აღბეჭდილიყო.

ურთხელის კულტის ნაკვალევი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნო¬გრაფიულ ყოფაშიც ვლინდება. ურთხელი წმინდა ხედ იყო მიჩნეული ფშავში. მისი ხელის ხლება და მოჭრა სასტიკად იკრძალებოდა. მას სალოცავთან ახლოს რგავდნენ. ის დაკავშირებული იყო მიცვალებულის კულტთანაც. ფშავში გავრცელებული წეს-ჩვეულების თანახმად, თუ ვინმე უგზო-უკვლოდ იკარგებოდა, მის სახელზე მოჭრიდნენ მის სიმაღლე ურთხელს და რიტუალის გათვალისწინებით და ყველა წესის დაცვით დაკრძალავდნენ.

კოსმიური ხის გამოვლინება ჩანს ქართულ ორნამენტშიც. ამ მხრივ აღსანიშნავია «სიცოცხლის ხის» მოტივის არსებობა ლაზური ტიპის სახლის შემკულობაში, რომელიც შეისწავლა გიორგი ჩიტაიამ. ეს მოტივი ხშირად გვხვდება ლაზურ ორნამენტში, როგორც ბუხრის შემკულობის ხის ნაწილებში, ასევე ბუხრის კამარებზე. მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სიცოცხლის ხის მოტივი წარმოდგენილია სწორედ ოდაში და არა სხვაგან. ოდის აუცილებელ

ატრიბუტს ბუხარი შეადგენდა, რომელიც საოჯახო კულტის ცენტრს წარმოადგენდა და ისევე როგორც კერია, წმინდა ადგილად ითვლებოდა. მკვლევარი სიცოცხლის ხის მოტივს უკავშირებს არა მარტო ცეცხლსა და კერას, არამედ მიცვალებულის (წინაპრის) კულტსაც. ისე, ცნობისათვის, ძალიან საინტერესო წიგნია. აღარა მაქვს, თორემ არ დაგზარდებოდით და დავასკანერებდი რაღაცეებს.

ჩვენს მიერ განხილულ მაგალითებში საკრალური ხე უკავშირდება რა ერთის მხრივ ცეცხლსა და კერიის კულტს, მეორეს მხრივ მიცვალებულთა კულტს. ის წარმოადგენდა ამაღორძინებელ, გამანაყოფიერებელ და მაცოცხლებელ ძალას.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ სიცოცხლის ხის ეს სიუჟეტი მრავლად მოიპოვება საფლავის ქვებზეც. იმერეთსა და ქართლში, ჩიტაიას აზრით, ის უშუალოდ დაკავშირებულია მიცვალებულის კულტთან. მის არსებობა მიცვალებულთა კულტში გამართლებულია შემდეგი შეხედულებებით - საიქიოს სააქაოდ გაგრძელებად წარმოდგენა.

ძალიან საინტერესო მოტივები ვნახე ნელს თუშეთშიც. ძველ ომოლში, ერთ[ერთ კოშკში მუზეუმი გაუხსნიათ, სადაც, ძველი საფლავის ქვებზე ნაპოვნი სიუჟეტების ასლები შეგიძლიათ ნახოთ. მართალია ამ ასლების გვერდით უცნაურ რაღაცეებსაც წააწყდებით (მაგ. ერთმანეთის ქვეშ ლამაზი კალიგრაფიით მიწერილი რომელიღაც ხვთისშვილის გამონათქვამი, იუნგის ციტატა არქეტიპების შესახებ და ნაწყვეტი შტაინერის რომელიღაც წიგნიდან), მაგრამ ეგ არაფერი - მოტივები მართლა საინტერესოა და არც ის ვიცი ჩართულია თუ არა უკვე რომელიმე გამოცემაში.

აბაკელია საკრალური ხის სიმბოლოებს საქართველოში სტატიკურ და მობილურ სიმბოლოებად აჯგუფებს. [ნ.აბაკელია, მითი და რიტუალი ქართულ კულტურაში] სტატიკურ სიმბოლოთა რიცხვს მიეკუთვნება დედაბოძი, რომელიც საცხოვრებელისათვის (თავის მხრივ, საცხოვრებელი თავისი კამარითა და კერიით, მიკროკოსმოსს ეთანადება) საყრდენს წარმოადგენს და მსოფლიო ხის ფუნქციას ასრულებს. დედაბოძთან, კერიასთან სრულდება საკრალური ხის სიმბოლიკასთან დაკავშირებული მრავალი რიტუალი, საახალწლო, საქორწილო და ა.შ., რომლებიც ჩვენთვის საინტერესოა. დედაბოძი ასევე მარადიულობის სიმბოლოცაა.

ჟინი ორთას რიტუალში მკაფიოდაა გამოხატული მსოფლიო ხისა და მასზე ჩამოკიდებული შეწირული ფრინველის სიმბოლიკა. რიტუალი ზაფხულში ტარდებოდა: ოჯახის უფროსი (მამაკაცი) საიდუმლოდ ასრულებდა ლოცვას ტყეში, ხეების ქვეშ. რიტუალისათვის მას სახლიდან მიჰქონდა დანა, შეშა, წყალი, ცეცხლი, ორი მჭადის კვერი და ერთი მამალი. მამალს ტყავს აძრობდა (ბუმბულიანად და ფრთებიანად) და ჰკიდებდა ხის წვერზე. ლოცვის დასრულების შემდეგ, მამაკაცი უხმობდა თავის ვაჟიშვილებს. ისინი ერთად წვავდნენ და შეექცეოდნენ სამსხვერპლო მამალს. თუ ერთი წლის მანძილზე მეხი მოკლავდა ცხოველს, ეს ჟინი ორთას რისხვას მიეწერებოდა.

საკრალური ხის სიმბოლო ნათლად ჩანს ლეჩხუმში დადასტურებულ რიტუალში ბატონების მისართმევი ხის ტოტის სახით, რომელიც წარმოადგენდა აყვავებულ ხის ტოტს, მორთულს სხვადასხვა ფერის ბაფთებით, ხილით, წითელი კვერცხებით, ფრინველების შეღებილი გმოსახულებებით და სხვა. რიტუალს ხვამლობა ეწოდებოდა. ხვამლობა, რომელიც ქრისტიანულ სულთმოფენას ესადაგება, მოძრავი დღესასწაული იყო. ამ დღეს ყველა ასრულებდა ლოცვას, სახლში დააბრუნებდნენ ტაბლას და ნიგვზის ხის ქვეშ გავიდოდნენ. აქ სრულდებოდა სახვამლობო რიტუალი. ლოცულობდა ოჯახის უფროსი ქალი, რომელიც აანთებდა ერთ სანთელს, კაკლის ხის ქვეშ მიყვანილ ბავშვებს თავზე სპეციალურად ამ დღისათვის დაკლულ და შემწვარ წიწილას შემოატარებდა და დალოცავდა. სახვამლობო კაკლები ეკუთვნოდა ოჯახს, უბანს, გვარს, სოფელს, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ხველა-სახადისათვის იყო შეწირული. [ნ. აბაკელია, კოსმოლოგიური სიმბოლოები დასავლეთ საქართველოში.

სიცოცხლის ხის ვარიანტის მობილურ სიმბოლოს წარმოადგენს საქორწილო რიტუალებში ფართოდ გავრცელებული «მაშხალა» ან «ჩირაღდანი» (მრავალტოტიანი ხის ფორმის საგანი, რომელზედაც ჩამოკიდებულია ხილი, ჩურჩხელები, ყვავილები, პურის ცომისაგან გამომცხვარი ადამიანის და ცხოველების ფიგურები, მთლიანად მოხარშული ქათამი, რომელსაც თავზე ბუმბულს უტოვებდნენ), ჯვრის პური (ზოომორფული ფიგურებით შემკული გამომცხვარი პური, რომელსაც მექორწილეებს მიართმევდნენ.). ი. სურგულაძე ერთმანეთს უკავშირებს ჩირაღდანის თავზე ბუმბულშერჩენილი ქათმის ჩამოკიდების წესსა და ჩიჩილაკზე გაპუტული შაშვის ჩამოკიდების ტრადიციას. მისი აზრით, ორივე შემთხვევაში რიტუალურმა საგანმა და მოქმედებამ შეინახა მათში დაცული ღვთაებრივი ხის სახე, რომელზედაც მითიური ფრინველები ბუდობენ.

ჩიჩილაკში, ისევე როგორც სიცოცხლის ხის სიმბოლოში, საინტერესოა ორი ყვინჩილას გამოსახულება. რელიგიის ისტორიიდან ცნობილია მაგალითები, როდესაც საკრალურ ხეზე

ჰკიდებენ არა მარტო შეწირულ ფრინველს, არამედ ზოგადად სამსხვერპლო ცხოველის ტყავსაც (ზემოხსენებული თელიფინუს მითი, არგონავტების მითი).

სიცოცხლის ხესთანაა დაკავშირებული ქართველ მთიელთა დროშები. თ.ოჩიაურის მიხედვით, სამკადრეო ჯვართან სალაპარაკო სპეციალური ტერმინოლოგიით დროშას ალვის ტანი ეწოდებოდა, რაც ნათლად მიუთითებს ამ საკრალური საგნის კავშირს ღვთაებათა კარზე ამოსულ ან ღვთაებათა საბრძანისის მითიურ ხესთან. წმინდა ხეებს უკავშირებს საკულტო დროშებს ვერა ბარდაველიძეც.

დროშა მთიელთა სლოცავებში მთავარ საკულტო შენობაში დარბაზში ან ბეღელში იყო დასვენებული. არსებობდა აგრეთვე სპეციალური ნაგებობა დროშათა საბრძანისი კოშკი, სადაც დროშა დაშლილ მდგომარეობაში ინახებოდა და მასთან მისვლა ყველას არ შეეძლო. თვითონ ხევისბერსაც განწმენდის (წმინდაობის) შემდეგ შეეძლო ამა თუ იმ დღეობისთვის აეწყო დროშა, რომელიც შედგებოდა ხის ტარის, ლითონის ბუნიკის, ფერადი სამკადროებისა და ბანბალაკებისაგან. აწყობილი დროშის გატანა უკვე შესაძლებელი ხდებოდა და ის ადგილი, სადაც მას ხევისბერი დაჰკრავდა ნაკურთხად ითვლებოდა და იქ შესაძლებელი ხდებოდა რიტუალის ჩატარება. ფშავ-ხევსურთა დროშები ქალურ საწყისთან იყო დაკავშირებული.

დროშა, მართალია, ხელში მამაკაცს უჭირავს, მაგრამ ქალური წარმომავლობის საგნებითაა აგებული. მის შექმნაში ქალის ხელი მონაწილეობს. დროშას ებმის ქალთაგან შენაწირი - ბეჭედი, ყელსაბამი, შიბი, და რაც მთავარია, საკადრისები (სამკადროები, იგივე მანდილი). მანდილი დროშის ძირითადი ელემენტია და იგი გვხვდება დროშაზე ჯვარის ნიშნად და ქალზე პატივის ნიშნად». ფშავ-ხევსურთა წარმოდგენებში დროშა ხალხის წინამძღოლი, გაფანტული საყმოს შემკრები და მის გამაერთიანებელია. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქალები საკადრისებს წმინდა ადგილზე მდგარ ხეებზეც აბნევდნენ, რომელიც უზარმაზარ უძრავ დროშად წარმოგვიდგება. აღსანიშნავია, რომ ქსნის ხეობაში შესამოსელს (თავშალს, ყელსახვევს, რომლითაც ქალები ხატის ტერიტორიაზე მდგარ ხეებს ამკობდნენ) დროშას უწოდებდნენ. [ზ. კიკნაძე, «ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა»].

ასევე ღვთაების სამყოფელს წარმოადგენს ლაშარის მუხა. ლაშარის ბერმუხა არა მარტო ღვთაების სადგომად გვევლინება, არამედ სიცოცხლის ხის მოტივსაც უკავშირდება, - აღნიშნავს თინა ოჩიაური. მთაზე დგას მუხა, მუხაზე კიბეა შედგმული, კიბის თავში ღვთისშვილია, რომელიც შიბით, საკიდით არის გამობმული ცას. ღვთისშვილი ამ გზით მიდის საყმოს მიერ შეწირული ძღვენით მორიგე ღმერთთან. მას თან მიაქვს შემონაბენი, ლოცვა-ვედრება, სასოება თუ საკმევლად სუბლიმირებული საკლავის სისხლი. ღვთისშვილი შუამავალია ცასა და მიწას შორის, ის არის ის შიბი, რომელიც სამყაროს და მორიგე ღმერთს ერთმანეთს უკავშირებს. „ბებერსა ლაშარის ჯვარსა ხმელ გორზედ ედგა ბერმუხა წვერს ება შიბი ოქროსი ზეცას ავიდის კიბითა სულძაღლმა ერისთვიშვილმა ამოუბრუნა ძირითა» ხატისა და ბერმუხის უვნებლობა მთელი ტომისა და ერის ბედნიერებას ნიშნავდა. ხოლო მუხის მოჭრა და შიბის ცაში აკეცვა უბედურების მომასწავებელი იყო.

როგორც ანდრეზები გადმოგვცემენ, მთაში საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვა შესაძლებელი გამხდარა მას შემდეგ, რაც ღვთისშვილებს ჯვრის სახელით ბრძოლა გაუმართავთ ადგილობრივ დევ-კერპებთან და ღვთის შეწევნით, ერთიანად გაუწყვეტიათ ისინი. (ალ.ოჩიაური). სწორედ მას შემდეგ, რაც წმ.გიორგის დევ-კერპთაგან გაუწმინდავს ქვეყანა, მნიშვნელოვანი სასწაულს უჩენია თავი: გიორგის გადმონავალზე ხე ალვად ამოსულიყო.

ჯვრით დევ-კერპებზე გამარჯვებისას ცისა და მიწის შემაერთებელი ხის აღმოცენებას უნდა მოესწავებინა სამყაროული წესრიგის აღდგენა, ღვთისშვილთა მიერ განწმენდილ-განახლებული წუთისოფლის ღვთიურ საწყისთან შეკავშირება, ანუ რელიგიის დასაბამი. ალვის ხე საყმოს არსებობისა და ძლიერების ბურჯია. სანამ ის დგას, ცისა და მიწის, ღვთისა და საყმოს კავშირი უწყვეტია. მისი მოჭრა და ოქროს შიბის** ცაში აკეცვა ზეციურ სამყაროსთან კავშირის გაწყვეტას, კოსმიური წესრიგის დარღვევას ნიშნავს. ლაშარის მუხისა და ხმალას ალვის ხის ანდრეზები ტრაგიკულმა სულისკვეთებამ შექმნა. ღვთისშვილი მისტირის წარსულს, როცა მუხა იყო ოქროს შიბიც და საყმოს შესაწირავიც მისდიოდა მორიგე ღმერთს, ანუ იყო კავშირი, რელიგია - შიბი, მაგამ შიბი გაწყდა. [ზ.კიკნაძე ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა].

«ალვის ხე გადააქციეს, ძირ არ გაწირეს წვერია, შიბ გაწყდა ცისკენ წავიდა, წიოდა, როგორც გველია და დედამიწის ამ ადგილზე გაწყდა ცისა და მიწის კავშირი - რელიგია. შიბი, როგორც ჯვარჩენის ნიშანი, რელიგიის სიმბოლოა. მისი გაწყვეტა და ცაში აკეცვა ცისა და მიწის კავშირის, რელიგიის გაწყვეტას მოასწავებს. სიტყვა რელიგია - კავშირის აღდგენა, ისევე როგორც ებრაული ბერით (კავშირი, რომელსაც თარგმნიან აღთქმად) ეტიმოლოგიურად ხომ იმასვე ნიშნავს, რა ფუნქციაც შიბს აკისრია.

ოჩიაურის აზრით, ხეთა თაყვანისცემასთან უნდა იყოს დაკავშირებული ხევსურთა სახლის თავხეც, რომელსაც კეზი ეწოდება. კეზი ძალიან მსხვილი ხეა და ძირს ბოძები უდგას. იგი მთელ სახლს ამაგრებს და ამიტომ სახლის მთავარ საყრდენად თვლიდნენ. ამბობენ, რომ ყველა სახლს ჰყავს თავისი მეკეზისწვერე ანგელოზი და მას შესთხოვენ ოჯახის დაფარვას ბოროტებისაგან.

შიბი, როგორც ჯვართჩენის ნიშანი გვხვდება თქმულებაში კოპალას სალოცავის დაარსების შესახებ. კარატის წვერზე, საძოვარზე, მწყემსებს, ახალგაზრდა ქალსვაჟს, წივილი და ჟღარუნი შემოესმათ. დაინახეს, როგორ დაეშვა ციდან თასი და ვერცხლის ჯაჭვი. ქალმა შიბი აიღო, ვაჟმა – თასი, იმავ ადგილას ჩაფლეს მიწაში და პატარა კოშკი ააშენეს. ჯაჭვის მეორე ნახევარი დაბლა ლიქოკში დაუმარხავთ და იქაც გაუმართავთ სალოცავი [თ. ოჩიაური. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოში].

მღვდელი გიორგი სხილაძე – პარიზის წმ. საბას სახელობის საკათედრო ტაძრის ქართული სამრევლო

ინტერვიუ გაზეთ „გუშაგს“ (გაგრძელება)

17. კითხვა: ძვირფასო მამა გიორგი, პირველ რიგში აგვიხსენით, რას ნიშნავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის ტიტული „უწმიდესი და უნეტარესი", ეკლესიის წესდებით რისი აღმნიშვნელია იგი და როგორ თვლით, პატრიარქი, რომელიც თავისი სიტყვით და საქმით ყოველ ნაბიჯზე არღვევს წმიდა ეკლესიის სამართლის განწესებებს, შეიძლება თუ არა, რომ იწოდებოდეს ამ ტიტულით და სცოდავს თუ არა ადამიანი, ერისკაცი იქნება ის თუ სასულიერო პირი, ვინც ასეთ პატრიარქს ამ სასულიერო ტიტულით — „უწმიდესად და უნეტარესად" მოიხსენიებს?

პასუხი: მოგეხსენებათ, რომ ქრისტეს ადრინდელ მორწმუნეს „წმინდანს" უძახდნენ (მოგვიანებით მას ანტიოქიაში ეწოდა „ქრისტეანი" ანუ ქრისტეს მიმდევარი. ეს უწყება შემონახულია „ახალი აღთქმის" მეხუთე წიგნში „საქმე წმიდათა მოციქულთა", **11: 26)**, ხოლო მაცხოვარი თავის პირველივე ქადაგებაში, რომელიც მთაზე წარმოთქვა, ცხრამხრივ ასახელებს, თუ როგორი ადამიანია ნეტარი. წმინდანთა და ნეტართა შორის ცოდნით, სიწმინდითა და ცხრავე ნეტარების საქმეში გამოვლინებით გამორჩეულს აკურთხევდნენ სასულიერო პირად და სასულიერო პირთა შორის უაღრესად გამობრწყინვებულს სახელდებდნენ უწმინდესად და უნეტარესად. სწორედ, ასეთს ირჩევდნენ ეკლესიის მეთაურად და ეს წოდებაც აქედან მოდის. რა თქმა უნდა, ამ ტიტულის მატარებელმა ყველანაირად უნდა გაამართლოს ეს, მართლაც, უწმიდესი ზედწოდება და ამისდა მიხედვით, არავის, თვით ურწმუნოსაც კი, არ უნდა გაუძნელდეს მასზე ამის წარმოთქმა. ჩვენში „მუშაობს" ასეთი ფსიქოლოგიური განწყობა: რამდენადაც, საქართველოს წარსულში (კომუნისტურ ხანამდე) თითქმის ვერ ვიპოვნით უღირს კათალიკოსს ან პატრიარქს, ქართველს ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლისადმი, საერთოდ, როგორც ასეთის — ამ ინსტიტუტის, საკათალიკოსო ტახტისადმი, გასაგები მიზეზების გამო, ერთობ მოწიწებითი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა და თუ ვინმე კარგად არ იცნობს ან რჯულს, ან რომელიმე უღირსი პირველიერარქის მოღვაწეობას, ეს განწყობა ვრცელდება ამ უკანასკნელზეც. დღევანდელი ადამიანი, პირველ რიგში, იმით სცოდავს, იმას რომ არ იკვლევს, რა არის ნამდვილი სიწმინდე და ნეტარება. ხოლო ვინც ამაში კარგად გაერკვევა, თვითონვე მიხვდება, ვინ როგორ უნდა მოიხსენიოს. შეგვიძლია, საზოგადოდ შევნიშნოთ: ვერც უწმინდური ერი იგუებს უწმინდეს მამამთავარს და ვერც წმინდა — უწმინდურს.

18. კითხვა: ჩვენ, ერის ხალხი, მრევლი, სახარების კითხვისას, წმიდა მამათა წიგნებისა და საეკლესიო კანონების გაცნობისას, რასაც ვიგებთ და ვსწავლობთ, სრულიად საწინააღმდეგოს ვხედავთ დღევანდელ ეკლესიაში ნებისმიერი იერარქიის საფეხურზე მყოფ სასულიერო პირთა ქადაგებებიდან და ქმედებებიდან. განგვიმარტეთ, თუ შეიძლება: თუკი ღმერთი ერთი არსებობს და მისი ჭეშმარიტებაც ერთია ამქვეყნად, რომელი სხვა „ღმერთების" რელიგიათა ლიდერების სიყვარულს, ტოლერანტობას, მათთან მეგობრულ და უსიტყვო თანაარსებობას გვასწავლის დღევანდელი ქართული ეპისკოპატი და სინოდი (რომელიც **34** ეპისკოპოსს წარმოადგენს) და რა კანონიკურ შეფასებას მისცემთ კავკასიის მუსლიმთა ლიდერის მიმართ ამ ეპისკოპოსთა საჯარო სიყვარულისა და ძმობის გამოხატულებას; და ასევე, განგვიმარტეთ, წარმოადგენს თუ არა ეს ეკუმენიზმის ერესის საჯარო ქადაგებასა და დამკვიდრებას მართლმადიდებელ ერში სიტყვით თუ საქმით?

<u>პასუხი</u>: სიყვარულიც სწორად უნდა გვესმოდეს და არ უნდა გავაიგივოთ არც ღვთის სიყვარული სამშობლოსა და საკუთარი თავის სიყვარულთან და არც ღვთის მტრების სიყვარული სამშობლოსა და პირადი მტრების სიყვარულთან. ხილულ-უხილავი სამყაროს უფალი ღმერთი — ქრისტე გვეუბნება, რომ „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი" (და არა ჩემნი) და „აკურთხევდით მაწყევართა თქვენთა" (და არა ჩემთა)-ო! მის ნურც ამ სიტყვებს დავივიწყებთ: „რომელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს" (მ., **12: 30**). მამულის მტრების შესახებ კი შესანიშნავად გამოთქვა ქართულმა გენმა: „სამშობლოს არვის წავართმევ; ნურც ნურვინ შემეცილება. თორემ, ისეთ დღეს დავაყრი, მკვდარსაც კი გაეცინება!". სხვა საკითხია არამართლმორწმუნეს მიჩნევა „მოწყალე სამარიტელად" ანუ მოყვასად, როცა ის სიკეთეს უანგაროდ გიკეთებს. დიახ, თქვენს მიერ მოტანილი მაგალითები წარმოადგენენ არა მხოლოდ ეკუმენიზმის, არამედ უფრო უარესის — პან-ეკუმენიზმის ერესის ქადაგებასა და დამკვიდრებას, რადგან არაქრისტეანთა მიმართ სიყვარული ნიშნავს სწორედ ნამდვილი ღმერთის რწმენაში მათ მოქცევას და არა მათთან უსიტყვო თანაარსებობასა და „მეგობრობას". იმ ქვეყნად, მარადიულ სამყოფელში ისინი იქნებიან ჩვენი მოსაყვედურე, მამხილებელი და გამსამართლებელნი, თუკი ჩვენ ამ ქვეყნად მათ არ ვამცნობთ ჭეშმარიტ რჯულს.

<u>19.კითხვა</u>: ეკლესიის ისტორია არის სარწმუნოებისთვის თავდადებულ მოწამეთა, აღმსარებელთა ისტორია. დღევანდელ იერარქიას რომ ვუსმინოთ, უფალი, მისი წმიდა მოციქულები და წმიდა მამები, როდესაც შეჩვენებას გადასცემდნენ მწვალებლებს, ყველაზე ექსტრემისტები, შეუწყნარებლები ყოფილან, ხოლო ესენი კი უფალზე და მოციქულებზე მეტად ტოლერანტები და შემწყნარენი; და ან რატომ დასდეს წმიდა გიორგიმ და სხვა წმიდანებმა თავი და რატომ ამხელდნენ კერპებს — ეცხოვრათ მშვიდობიანად და მათაც არავინ დასჯიდა სიკვდილით! გთხოვთ, კომენტარი გაუკეთოთ ილია მეორეს ეპისტოლეს ამ ორ პუნქტს:
1 — „შემწყნარებლობა დღესაც ჩვენი უმთავრესი თვისებაა, — ესაა ჩვენი არჩევანი. სწორედ ჩვენი რაინდული და ტოლერანტული ბუნების გამო იყო ... რომ წმიდა მიწაზე მუსულმანთა გაბატონების შემდეგ, **XIII-XIV** საუკუნეებში, იერუსალიმის მაჰმადიანი მმართველები ქრისტიანთაგან მხოლოდ ქართველებს აძლევდნენ უფლებას, გაშლილი დროშებით, ცხენზე ამხედრებულნი, ბაჟის გადაუხდელად შესულიყვნენ წმიდა ქალაქში და მაცხოვრის საფლავის კლიტეთა მფლობელნიც ქართველები ყოფილიყვნენ. ჩვენ ეს პატივი ომით არ მოგვიპოვებია. იგი იყო ქართული დიპლომატიის შედეგი, რასაც საეკლესიო ურთიერთობებიც განაპირობებდა".
2 — „სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ეკლესია დღესაც ცდილობს, შეასრულოს ე. წ. „სახალხო დიპლომატის" მისია და იყოს მშვიდობის დესპანი იმ რთულ სიტუაციებში, რომელშიც საქართველოს თანამედროვე პირობებში უწევს ყოფნა. ამით იყო განპირობებული ჩვენი ჩასვლა მოსკოვში. ეს არის მიზეზი არაბულ ქვეყნებში ჩვენი მომავალი ვიზიტისაც. რელიგიურ ლიდერებთან ღია და გულთბილი შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობაშიც ანალოგიურ დამოკიდებულებას იწვევს და მათში საქართველოსადმი კეთილგანაწყობა ჩნდება".

<u>პასუხი</u>: წმ. პავლე მოციქული ღვთის ბრძანებას რომ გამოთქვამს, ვისაც არ უყვარს უფალი იესუ ქრისტე, ანათემა („მარანათა") მასო, ეს სიყვარულის სახელით მოვაჭრეთა (სინამდვილეში — ჭეშმარიტებისა და მოყვასის მომულეთა) მიერ უსიყვარულობად აღიქმება. მაგრამ ვის სდებენ ამაში ბრალს, წმ. პავლეს, რომელიც უფალს ევედრება, ოღონდ ჩემი ერი ცხონდეს და მე მათ მაგივრად ჯოჯოხეთში შთამაგდეო თუ თავად უფალს, რომელიც არის შემოქმედი სიყვარულისა და თვითონ სიყვარული? ასეთებს სიყვარული კბილების გამოჩენა ანუ მსახიობური ღიმილი ჰგონიათ. ან განა დაუმსახურებელი ქებაა სიყვარულის გამოხატულება? როდესაც ეკლესიის პირველი პირი გარყვნილი ფილმის „სიყვარული ვენახში" გადამღებსა და მისნაირებს მიმართავს, „თქვენა ხართ მნათობნი საქართველოისანი, თქვენ გადაარჩინეთ საქართველო"-ო, ეს სიყვარულია თუ მკრეხელობა?

როცა ქრისტეანი მუსულმანს ხვდება, ნავთობისა და წყლის ბიზნესზე კი არა, სიცოცხლის წყალზე ანუ ცხონებაზე უნდა ესაუბროს. მაგალითისთვის გავიხსენოთ წმ. ილარიონ ქართველის (ახალი) ცხოვრებიდან: ერთ დღეს იგი გამოემშვიდობა თავის სულიერ ძმებს და გაემართა თურქი ფაშას შეგონება-სამხილებლად, რადგან ეს უკანასკნელი ქრისტეანებს სიკვდილით სჯიდა; მისგან თვითონაც იგივეს ელოდა, მაგრამ როცა მღვდელმონაზონმა მისი მხილება დაასრულა, რწმენის სიმტკიცითა და სიტყვიერებით მოხიბლულმა ფაშამ მისი დასაჩუქრება და მონასტერში გაშვება ბრძანა... წმ. ილარიონი თვითონ იყო იმერეთის უპირველესი დიპლომატისა და უკანასკნელი მეფის — სოლომონის სულიერი მოძღვარი და სამეფო დიპლომატიასაც კი ჭეშმარიტებაზე მაღლა არ აყენებდა. მეორე მაგალითი მისი მოღვაწეობიდან: ერთხელ, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა, სწორედ დიპლომატიური მოსაზრებით, ათონის მთის მონასტრებს დაავალა ინგლისის ელჩის (არამართლმადიდებლის) კვეთის საიდუმლო ლოცვაში („პროსკომიდია") მოხსენიება (ასეთთა

მოხსენიება მხოლოდ პირად ლოცვაში შეიძლება). ქართველი მოძღვარი პატრიარქის არასწორ ბრძანებას არ დაემორჩილა და სხვებსაც იგივე მოუწოდა. როცა მასთან მივიდა ერთი ბერძენი მღვდელი და განუცხადა, მე ვასრულებ ჩვენი ეკლესიის მეთაურის კურთხევას და ელჩს ვიხსენებო, წმ. ილარიონმა მას სასჯელად მღვდელმოქმედების შეჩერება დაადო. ის კი, როცა დანარჩენ მღვდელთა ნებართვით მაინც სცადა წირვის აღსრულება, ლოცვის დასაწყისშივე უეცრად მოკვდა... ეს ამბავი შიშის ზარივით მოედო ყველა მონასტერს და ქართველი მღვდელ-მონაზვნის სახელი და გავლენა (ავტორიტეტი) კიდევ უფრო გაიზარდა. ასე ესმოდათ ჩვენს სახელოვან წინაპრებს დიპლომატია, ასე იხვეჭდნენ უფლებებსა და პატივს (რაც სრულიად საპირისპიროა სულხან-საბა ორბელიანის „დიპლომატიისა").

ჯერ კომუნისტური და შემდეგ, ე. შევარდნაძის ნეო-კომუნისტური ხელისუფლება საპატრიარქოს უყურებდა, როგორც რელიგიის სამინისტროს და პატრიარქს — როგორც რელიგიის მინისტრს და აქედან გამომდინარე, მას პოლიტიკურ დავალებებს აძლევდა. ასეა ეს, სამწუხაროდ, დღევანდელი ნეო-კომკავშირული ხელისუფლების მხრიდანაც.

20.კითხვა: ასევე, განსაკუთრებულად საინტერესოა, მოვისმინოთ თქვენგან შეფასება საქართველოს მართლმადიდებელ პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას საქართველოში გადასვენებასთან დაკავშირებით, რადგან მას ხომ იმ უმაღლესმა სამღვდელო იერარქიამ აუგო წესი და დაასაფლავა, რომელმაც მისი დამხობა და გაძევება დიდი ზეიმით აღნიშნა; მერე მის დამამხობლებს — სამხედრო საბჭოს და ა. შ. გვერდიდან აღარ მოშორებია და ყველა იმ ბოროტ საქმეს, რაც კი საქართველოს წინააღმდეგ მაშინდელმა კრიმინალებმა ჩაიდინეს, ლოცვა-კურთხევით განამტკიცებდა.

გთხოვთ, ამ ყოველივესთან დაკავშირებით თქვენი შეფასება გააცნოთ მართლმადიდებელ ერს, საქართველოში იქნება ეს თუ მის საზღვრებს გარეთ.

პასუხი: სამწუხაროდ, ვეთანხმები ამ შეფასებას, რაც თქვენს მიერ დასმულ კითხვაში უკვე იკითხება. ბევრ საეროსაც კი, ვისაც პირდაპირ თუ ირიბად ხელი გარეული აქვს ზვიადის სისხლში, სინდისი ეყო, რომ მის გადმოსვენებაზე არ მისულიყო. ჯერ, საქართველოში მისი ასეთი სახით შემოსვენება რას ჰგავდა? ვითომ, ვიღაც რიგითი მოქალაქე სადღაც ჭყლეტაში შემთხვევით მოყვა და მთავრობამ ოჯახს, შუაღამისას, ქურდივითა და ავაზაკივით შემოუსვენა... სად იყო ის სახელმწიფო პატივი, რომელიც ასეთ შემთხვევებში სახელმწიფო საზღვართან მიეგება ხოლმე ხელისუფლებისაგან პრეზიდენტს და თანაც, პირველს? რა, მართლა მოღალატე და ეკლესიის მტერი იყო, როგორც ამას საქ. საპატრიარქო ავრცელებდა? მაშინ, მთაწმინდაზე რატომ დაკრძალეს, ან საერთოდ, წესი რატომ აუგეს?

ამ ყველაფრის მნახველს, შეუძლებელი იყო, არ გაგხსენებოდა მაცხოვრის მრისხანე სიტყვები, თვალთმაქც მწიგნობრებსა და ფარისევლებს რომ ეუბნებოდა: ვაი თქვენ, რომ ამკობთ მართალთა საფლავებს!

იერარქიიდან მათ, ვინც სახელმწიფო გადატრიალებაში პირდაპირ თუ ფარულად მიიღეს მონაწილეობა, ჯერ საერო კანონების წინაშე უნდა აგონ პასუხი (რაც უმაღლეს დანაშაულად — სამშობლოს ღალატად სახელ-იდება და შესაბამის სასჯელს ითვალისწინებს) და შემდეგ, საეკლესიო სასამართლომ უნდა შეაფასოს მათი ეს და წმინდად სარწმუნოებრივი „მოღვაწეობა". ეს კი, შესაძლოა, მოხდეს, თუ ქართველი ერი გამოფხიზლდა.

21.კითხვა: ამ ბოლო დროს გაძლიერდა კათოლიციზმის ერესის ქადაგება შემდეგი, ძალიან დიდი, საცდურით, რომ კათოლიკე მღვდლები ახდენენ დიდ სასწაულებს, კურნავენ მძიმე სენით შეპყრობილ ადამიანებს; რომ კათოლიკურ ხატებს — უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა — ნახატებს სდით მირონი, ცრემლები და ა. შ. ამით ხალხს არწმუნებენ კათოკიციზმის მწვალებლობის ჭეშმარიტებაში. ეს რწმენაში გაუცნობიერებელ მართლმადიდებლებში მართლაც იწვევს გაორებას, მაგრამ არ ჩანან სასულიერო პირები, რომ განუმარტონ ადამიანებს, თუ რა დამღუპველ, „სიმონ მოგვისეულ" ცრუსასწაულებთან აქვთ საქმე. გთხოვთ, თქვენი სასულიერო-ავტორიტეტული განმარტებით გაარკვიოთ ხალხი ამ საკითხში.

პასუხი: მორწმუნე რომ სასწაულს არ უნდა გამოეკიდოს, ამას თვითონ უფალი გვაფრთხილებს: „ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულს ეძიებს". მით უფრო, თუ ეს სასწაული სექტანტური სამყაროდან მოედინება, ფრთხილად უნდა ვიყოთ და არასწორი დასკვნები არ უნდა გამოვიტანოთ. ერთ-ერთ კათოლიკურ ანუ პაპისტურ ტაძარში ხდება ასეთი სასწაული: იქ იმყოფება ჭურჭელში ჩასხმული წმინდანის სისხლი, რომელიც მისი ხსენების დღეს დუღილს იწყებს ხოლმე. მაგრამ ეს სასწაული ადასტურებს არა იმას, რომ კათოლიციზმი ანუ პაპიზმი სწორი სარწმუნოება — მართლმადიდებლობაა. არამართლმადიდებლურ ტაძრებში მრავლადაა თავმოყრილი ნამდვილ წმინდანთა ანუ კათოლიციზმისა თუ სხვა განხეთქილების წარმოშობამდე მსოფლიო ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილ მორწმუნეთა წმ. ნაწილები და ჭეშმარიტი სასწაულებიც სწორედ მათთან არის დაკავშირებული.

22.კითხვა: ტელე და ბეჭდვით მედიასივრცეში ფართოდ შუქდება საქართველოს საპატრიარქოს სამღვდელოების ბოჰემური ლაღობა-გატაცებანი; კინო-ფილმების პრეზენტაციებზე,

ოპერისა და ბალეტის კონცერტებზე ხშირად ჩნდებიან ეპისკოპოსები, ნახულობენ ფილმებს, ესწრებიან კონცერტებს, საპატრიარქო ხომ კონსერვატორიის კლასიკური მუსიკის „სულიერი ტკბობის" მცირე დარბაზად ხშირად გადაიქცევა ხოლმე, სადაც ცნობილ მსახიობებს ხშირი ვიზიტი უხდებათ... ასევე, სამსახიობო სიმპოზიუმები, ფორუმები ეპისკოპოსებს ხშირად მასპინძლობს. თუ შეიძლება, განგვიმარტეთ, — თუკი წმიდა მოციქულთა განწესებები მსახიობებს ზიარების უფლებას არ აძლევს, სანამ არ დაუტევებენ თავის ცოდვილ პროფესიას, საპატრიარქოს ეპისკოპოსები რა კანონით ხელმძღვანელობენ, როდესაც მხატვრული კინო-ფილმების ჩვენებებზე ესწრებიან (თუნდაც, ეს ფილმები ქრისტეზე იყოს გადაღებული — ასე ხომ როკ-კონცერტები, თეატრალური წარმოდგენები მრავლად არის ქრისტეზე...)?

<u>პასუხი</u>: უფალი თავის ჯვარმცმელ მღვდელმთავრებს საყვედურობდა, რომ ღვთის სჯული დაუტოვებიათ და კაცთა მოძღვრებებს ასწავლიან. დღეს საქართველოს ეკლესიაშიც უმეტესად ხელმძღვანელობენ არა საღვთო, არამედ კაცის მოძღვრებით; ეს კაცი გახლავთ სწორედ უწმინდესად და უნეტარესად წოდებული კათალიკოს-პატრიარქი, რომელმაც რეჟისორ-მსახიობებისადმი მიმართული ჩვენს მიერ ზემომოყვანილი სიტყვები წარმოთქვა სწორედ მისი ლოცვა-კურთხევით მოწყობილ საღამოზე, სადაც უხამს ცეკვა-სიმღერებთან ერთად სულიერადაც და ესთეთიკურადაც გულისამრევი წარმოდგენები იმართებოდა და ერის სულიერი მამა ამას დარბაზიდან ტაშს უკრავდა... მოგეხსენებათ, ეკლესია მნათობებს, საზოგადოდ, წმინდანებს უწოდებს, მაგრამ ქართულმა ეკლესიამ ამ ზედწოდებით — „საქართველოს მნათობი" — თავისი დიდმოწამეობისა და გამორჩეული ღვაწლის გამო ძველთაგანვე განსაკუთრებულად შეამკო კახეთის დედოფალი ქეთევანი, რომელიც ქრისტეანობის დაცვისათვის ვნებამდე იმას კი არ განიცდიდა, რომ ღმერთისათვის ტანჯვა ელოდა (ეს მას, როგორც ყველა წამებულს, ახარებდა), არამედ რცხვენოდა, რომ წამების წინ საჯაროდ გააშიშვლებდნენ ქალთა და კაცთა თვალწინ... განა, შეიძლება, მნათობად მოვიხსენიოთ მსოფლიო ეკლესიის ეს უდიდესი წმინდანი ქალიც და ვთქვათ, მსახიობი ქალიც, რომელიც ყმაწვილ ქალ-ვაჟთა ქორწინებამდელ „მეგობრულ" კავშირს ანუ სიძვას ტელევიზიით ქადაგებს? დიახ, ეს ცნობილი ქალბატონიც ბრძანდებოდა ხსენებულ საღამოზე მათ შორის, ვისაც კათალიკოსმა სიტყვასიტყვით, ვიმეორებთ, „მნათობნი საქართველოისანი" უწოდა!

<u>23.კითხვა</u>: კიდევ მრავალი კითხვა გვაქვს თქვენთან იმ უამრავ დარღვევებზე, რასაც საქართველოს ეკლესიაში ვხვდებით. ბუნებრივია, ამას ერთი ინტერვიუ ვერ დაიეტევს, მაგრამ ერთ, მეტად საშინელ ამბავსაც, გვსურს, ადგილი დავუთმოთ. ამბობენ, რომ ზნეობრივად გახრწნილი მღვდლები (მათ შორის, სოდომისტი), არა მხოლოდ მღვდლები, არამედ ეპისკოპოსებიც მომრავლდნენ საქართველოს ეკლესია-მონასტრებში და განმკითხველი არავინ არის, რამაც წარსულშიც და დღესაც დიდად შეუწყო ხელი სექტებში ხალხის გადაბირებას. რა ინფორმაციებს ფლობთ თქვენ, შეეფერება თუ არა ეს სიმართლეს და შემოსულა თუ არა თქვენთან ამ საკითხზე მრევლიდან საჩივრები?

<u>პასუხი</u>: შესაძლოა, ჯერ კიდევ ახალგაზრდას სჭირდებოდეს იმის განმარტება, რომ კაცის კაცთან (და ქალის ქალთან) მრუშობა, როგორც ბუნების საწინააღმდეგო ქმედება, ღვთის წინაშე წარმოადგენს ცოდვას, რომელსაც წმ. მოციქული პავლე სახელდებს, როგორც „სათქმელადაც კი სამარცხვინოს". ეს დაცემა უფალს ყველაზე მეტად სძაგს და ასეთებს შეუნანებლობის ანუ გამოუსწორებლობის შემთხვევაში უსასტიკესად სჯის ამ ქვეყნად თუ არა, მარადიულ ცხოვრებაში მაინც. მან ამ ცოდვაში ჩავარდნილი სოდომის, გომორისა და მასთან, კიდევ, სამი ქალაქის მკვიდრნი (ერის ხალხი) ცეცხლოვან-გოგირდოვანი წვიმით ამოწყვიტა (რასაც თანამედროვე არქეოლოგიაც ადასტურებს) და რა უნდა იყოს იმაზე უფრო საძაგელი და საშიში, რომ ამ უწმინდურობამ ეკლესიაშიც შეაღწიოს? სამწუხაროდ, ამ საკითხზე თქვენს შეშფოთებას არცთუ უმნიშვნელო საფუძველი გააჩნია. საქ. საპატრიარქოში, რატომღაც, თვლიან, რომ ამ და სხვა მძიმე ცოდვას სასულიერო პირი თუ მოინანიებს, სასულიერო პირადვე შეუძლია დარჩენა, რაც მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობასა და საღ აზრს ეწინააღმდეგება. ან თუნდაც, ასეთი სინანული სად ჩანს? თვითონ საპატრიარქოს ზოგიერთ ქვეშევრდომთა ცილისმწამებლობა გვაიძულებს, გავიხსენოთ, რაც მოხდა თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩვენი სტუდენტობის ჟამს: სწავლა ახალი დაწყებული გვქონდა, როცა ჩვენმა ერთ-ერთმა ჯგუფელმა შენიშნა, რომ სემინარია-აკადემიის რექტორმა (ეპისკოპოსმა) მას თვალი „დაადგა"... როცა ეს შეიტყო, ამით გაკვირვებულ-აღშფოთებული სამი სტუდენტი საქმის გამორკვევის მიზნით შევიდა რექტორთან, რომელსაც ამ ამბის გახმაურების შეეშინდა და ამის პირობად ორ მათგანს (19 და 21 წლის სტუდენტს) რექტორობიდან გადადგომის ხელწერილი იქვე დაუწერა: „1988 წ. 23 დეკემბერს სამუდამოდ ვტოვებ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორის თანამდებობას, თანახმად აღნიშნული სასწავლებლის სტუდენტთა მოთხოვნისა. თუ აღნიშნული ხელწერილი იქნება დარღვეული, მიცემულ ვიქნე სისხლის სამართლის პასუხისგებაში" (მამათმავლობა მაშინ, ჯერ კიდევ ისჯებოდა), ხელმოწერა, ბეჭედი, მინაწერი: „ხელწერილი ჩემს მიერაა დაწერილი, რასაც ვამოწმებ" (ისევ

ხელმოწერა). როგორც ჩანს, აქ იმუშავა შემდეგმა გარემოებამ: „სექსუალურად გარყვნილი ადამიანების ემოციური მერყეობა და ზნეობრივი ხრწნა განაპირობებს იმას, რომ ისინი, როგორც წესი, ვერ უძლებენ გამოცდილი გამომძიებლის ზეწოლას და პირველივე დაკითხვისას ყველაფერს ფქვავენ" (გრინბერგ კორის ნაშრომში მოყვანილი ამერიკის სენატის დასკვნიდან ჰომოსექსუალისტთა შესახებ). ამ დროს, როგორ უნდა მოქცეულიყო ეკლესიის მეთაური? თქვენ მეტყვით: სტუდენტებს შეხვდებოდა და სინამდვილეს დაადგენდა. მაგრამ ამის ნაცვლად ოთხივენი გარიცხეს სასწავლებლიდან „სტუდენტისათვის შეუფერებელი საქციელის" (პედ-საბჭოს გადაწყვეტილებაში ასე ეწერა) გამო, ხოლო ის ეპისკოპოსი მოგვიანებით დააწინაურეს და დღეს არქიეპისკოპოსად გვევლინება...

დიახ, ხალხის დიდი ნაწილი სამღვდელოებაზე მართლაც დაბრკოლებულია ამ და მსგავსი, უზნეო შემთხვევების გამო.

24.კითხვა: ფიქრობთ თუ არა, რომ ეროვნული ხელისუფლების აღდგენის შემთხვევაში საჭიროა, კანონიერმა ხელისუფლებამ დაუყონებლივ მოიწვიოს ახალი „რუის-ურბნისის კრება" და საეკლესიო სამართლით მკაცრად გასამართლდეს სჯულის დამრღვევი სამღვდელოება? ან რაში ხედავთ გამოსავალს?

პასუხი: ილია მეორეს ყურმოჭრილი თუ სულმოჭრილი „მორჩილები" გვეუბნებიან, რომ ქართული ეკლესია, კი, განსაწმენდია, მაგრამ ჯერ ამის „ჟამი არ დამდგარა". ჩვენ ვეკითხებით: დასჯის ჟამი თუ არ დგება, დაწინაურების ჟამი როგორღა დგება? არადა დაჯილდოვება სამღვდელო კი არა, საერო ზნეობისთვისაც მიუღებელთ: თამბაქოს მწეველთ, ნარკომანებსა და მრუშებს. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ: მსოფლიო ეკლესიის ისტორიას არ ახსოვს, ეპისკოპოსს (ბერს) ეპისკოპოსობაში (ბერობაში) ცოლი მოეყვანოს, ბავშვები გაეჩინოს და არათუ არ განეკვეთოთ, დაეწინაურებინოთ. ეს მოხდა დღევანდელ ქართულ სინოდში. ასევე, მღვდელ-მონაზონი ვიღაცასთან შვილს აჩენს, ეს ყველამ იცის და მაინც მღვდლობას აგრძელებინებენ; იქვე, სხვა მღვდელი ამბობს, მას თუ არაფერს ეუბნებიან, იგივეს მეც გავაკეთებო და ა. შ. მოკლედ, სუფევს განუკითხაობა და საერთოდ, თვითრჯული აზროვნება. „რუის-ურბნისის" დარი კრების გამართვა არის, პირადად, ჩვენი ოცნება, აგერ, უკვე, ოცი წელია, მაგრამ ასეთი კრების გამართვას მარტო წმ. დავით აღმაშენებლის საფლავთან ფიცის დადება კი არ ჰყოფნის, ამისთვის ასეთი მეფის (ხელისუფლის) ღვთისმოშიშება და შემართებაა აუცილებელი. ამას დღევანდელი, ცრუღირებულებებს ადევნებული ხელისუფლება ვერ და არ შეძლებს.

25. კითხვა: ძვირფასო მამა გიორგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ეკუმენისტური ეკლესიის იერარქია შევარდნაძის ანტიეკლესიური ხელისუფლების მეგობრობიდან მშვენივრად შეეწყო დღევანდელ ხელისუფლებასაც, რომელმაც გაუგონარი სისასტიკით დაარბია გლდანის ანტიეკუმენისტური ჭეშმარიტი ეკლესია, დააპატიმრა მისი წინამძღვარი მ. ბასილი მკალავიშვილი და აი, უკვე, მესამე წელია, ციხიდან არ უშვებს.

გვინდა, ასეთი კითხვა დაგისვათ: მაშინ, როდესაც იეღოველების და სხვა სექტის წარმომადგენლები ანგრევდნენ ქართულ ტაძრებს, აგროვებდნენ ხატებს და ცეცხლში საჯაროდ წვავდნენ, ღვთისმშობლის და მაცხოვრის ხატებს თვალებს თხრიდნენ და საშინლად შეგინებულსა და შეურაცხყოფილს ქუჩებში ყრიდნენ... (და ვინ მოსთვლის, კიდევ, მათ იმ დანაშაულს, რასაც ისინი, თურმე, საქართველოში სჩადიოდნენ), მათგან არც ერთი არ მიუციათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ხოლო მართლმადიდებელი მღვდელი კი კონტრაბანდული სექტანტური ლიტერატურის დაწვის გამო ციხეში უზით. რა შეფასებას მისცემთ ამ ხელისუფლებასთან საქართველოს საპატრიარქოს ასეთ დიდ მეგობრობას? დღეს საქართველოში ყველა ყველაფერს აპროტესტებს და მართლმადიდებელი მღვდელი კი ციხეში რომ იტანჯება, პირადად თქვენსა და ემიგრაციაში მყოფ კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა გარდა, ამაზე პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული. როგორ ფიქრობთ, განარისხებს თუ არა ეს ღმერთს, რომლის ხატმაც გლდანის ტაძრის დარბევის წინ იტირა და გარდა იმ სასჯელებისა, რასაც დღეს საქართველო განიცდის, მოსალოდნელია თუ არა უფრო დიდი სასჯელები ჩვენს ერზე მართლამადიდებლობის საქმის ასე უკანა პლანზე გადაწევისა და ასეთი გულგრილობის გამო?!

პასუხი: გლდანის ტაძრის დარბევის ნახვისას **1989** წლის **9** აპრილის კადრები მოგვაგონდა და სხვაობა ის იყო, რომ მაშინ ყველას, ერთად, მტერი გვებრძოდა. მ. ბასილი თითქმის ყველამ გაწირა. მისგან შექმნეს საფრთხობელა და მასზე გააბატონეს დამცინავი განწყობა, როგორც არაელიტარულ მღვდელზე. ავიწყდებათ კია, რომ სწორედ ელიტარულებმა მოითხოვეს მაცხოვრის ჯვარცმაც. ჩვენშიც განა ე. წ. ელიტამ არ მოაწყო ძმათამკვლელი პუტჩი? ავიწყდებათ, რომ ელიტარული გულითა და სულითაც უნდა იყო და არა — მხოლოდ გონებით. სულით ელიტარულობა სიწმინდისა და სიმართლისაკენ ლტოლვაა. დღეს იმდენად აშინებს და სძულს ადამიანთა უმრავლესობას სიმართლე, რომ სიმართლის თქმა ჩამორჩენილობად და სიგიჟედ ითვლება. საპატრიარქოს ვინც სიმართლე უთხრა, ყველა ეკლესიის მტრად გამოცხადდა. ეკლესიის მტრის წინააღმდეგ ბრძოლა კი საპატიო საქმეა და

ისე გამოიყენა ხალხის ეს ზოგადი განწყობა ხელისუფლებამაც, რომ სხვათა — სიმართლის მთქმელ მორწმუნეთა თუ ურწმუნოთა დასაშინებლად დასაჯა ასე სასტიკად გლდანის მრევლი. ამ საშინელებამდე ხატი კი არა, ქვანი რომ არ ატირდნენ, არ გვიკვირს?! ჩვენი საზოგადოება გასაგებ, მაგრამ არა საპატიო მიზეზთა გამო სულიერად იმდენად დადამბლავებულია, რომ მშვენივრად ეგუება, ქვეყნის დამაქცევარი ხელისუფალი აგარაკზე ეჯდეს და მართალია, არაშეუმცდარი, მაგრამ მღვდლურად მაინც პატიოსანი კაცი — საკანში.

სასჯელის ღირსნი ღვთის წინაშე, მეტ-ნაკლებად, ყველანი ვართ, მაგრამ არ დავივიწყოთ, რომ ერი და სახელმწიფო, მომეტებულად, ეკლესიის მსახურთა და ხელისუფლების ცოდვათა გამო ისჯება და დაისჯება. თუ მართალი არ არის ის გარყვნილება, რასაც თითქმის ყველა დღევანდელი ხელისუფლების პირველ პირზე ყვება, ეს ერთი უბედურებაა — ხალხის დიდი ნაწილი ცილისწამების ცოდვაში ყოფილა; ხოლო, მიუხედავად ყველაფრისა, მიჭირს დაჯერება და თუ ეს სიმართლეს შეეფერება, ყოველწამს ღვთის რისხვის მოლოდინში უნდა ვიყოთ ერიც და ბერიც.

26.კითხვა: მსურს, ასეთი შეკითხვა დაგისვათ: რას ნიშნავს წმინდა პავლე მოციქულის ღვთაებრივი სწავლება: ,,ყოველი სული დაემორჩილოს უმაღლეს ხელმწიფებას... ხელმწიფების მოწინააღმდეგენი ეწინააღმდეგებიან ღვთის დადგენილებას" და აქედან გამომდინარე, განვიმარტეთ, ღვთის დადგენილების წინააღმდეგ განხორციელებული რა დანაშაული იყო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების სამხედრო გადატრიალებით დამხობა და რა სასჯელს განუწესებს ღმერთი ასეთ დამნაშავეთ?

პასუხი: აქ მოციქული საუბრობს ხელმწიფებაზე (ხელისუფლებაზე), როგორც ასეთზე და არა ხელმწიფეზე (ხელისუფალზე). რამდენადაც, ქვეყნად არსებული უფროს-უმცროსობა (იერარქია) დადგენილია ზეციური წყობის შესაბამისად, ჩამოვთვალოთ, როგორ განლაგებულან ზეცაში გონიერი ძალები: სერაბიმნი, ქერუბიმნი, საყდარნი, უფლებანი, ძალნი, ხელმწიფებანი, მთავროობანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი. ეკლესიის სწავლებით, **VI** (ხელმწიფებანი) და **VII** (მთავრობანი) საფეხურის უხორცო ძალებს, რომელთა მორჩილებასაც გულისხმობს წმ. პავლეს ხსენებული სიტყვები, აქვთ ღვთისგან ბრძანება, ამოირჩიონ, განაგონ, დაადგინონ და დაიფარონ ქვეყნიური ხელმწიფენი და ხელისუფალნი (ამას ვეძახით ჩვენ განგებას). მაგრამ ამ უკანასკნელთ (ისევე, როგორც ყოველ ადამიანს) ღვთისგან მიცემული აქვთ თავისუფალი ნება და თუკი ისინი ემორჩილებიან ზეციურ ხელმწიფებასა და მთავრობას (რომელნიც, თავის მხრივ, ემორჩილებიან ღმერთს), მაშინ, ადამიანის მიწიური მმართველობისადმი მორჩილება იგივეა, რაც ზეციური მმართველობისადმი და საბოლოო ჯამში, ღვთისადმი მორჩილება. აი, ასეთ მორჩილებას გულისხმობს, სწორედ, მოციქული პავლეც და პეტრეც, როცა ის სხვა მოციქულებთან ერთად სინედრიონს განუცხადებს: ,,მორჩილებაი ჯერ-არს ღმრთისაი უფროის, ვიდრე კაცთაი" (საქმე: 5, 29). ვინც არასწორად განმარტავს თქვენს მიერ მოყვანილ სიტყვებს და ფიქრობს, რომ მოციქული აქ ნებისმიერი ხელისუფლის მორჩილებას ქადაგებს, მაშინ, რა გამოდის — წმ. პავლემ თვითონვე არ შეასრულა თავისი სიტყვები, როცა ხელისუფლების აკრძალვისდა მიუხედავად ქადაგებდა ქრისტეანობას, რისთვისაც მას რომში თავი მოჰკვეთეს?! განა, ყველა მოციქული, მოწამე და აღმსარებელი რიგითი მოქალაქეების მიერ კი არა, ხელისუფლების მიერ არ ისჯებოდა და ისჯება?! დიახ, ასე განმარტავენ ხელმწიფება-ხელმწიფისადმი მორჩილებას წმ. იოანე ოქროპირი და ღირსი ისიდორე პელუსიელი. ასევე, უნდა განვასხვავოთ, ამ ქვეყნიურ ხელისუფალთ რაში დავემორჩილოთ და რაში — არა. ჩვენ მათ უნდა დავემორჩილოთ მხოლოდ იმაში, რაშიც თვით ისინი უფალს ემორჩილებიან. ასე, რომ ჯერ ის უნდა გავარკვიოთ, ხელისუფალნი რაში ემორჩილებიან ღმერთს და რაში — არა.რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, როგორც ცნობილია, ზვიად გამსახურდია ბავშობიდანვე იყო მორწმუნე და ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე ცდილობდა კომუნისტების მიერ დაკეტილი ეკლესია-მონასტრების გახსნასა და უღირსი მსახურებისაგან ქართული ეკლესიის განწმენდას. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მან უფრო ქმედითად გააგრძელა ღვთისმსახურებითი საქმიანობა. აქედან გამომდინარე, იმთავითვე ცხადი იყო, რომ მისი დამხობა სიკეთეს ვერ მოგვიტანდა; მით უფრო — ძალადობრივი გზით. მართალია, ის არ იყო ღვთისგან ცხებული მეფე, მაგრამ იყო კონსტიტუციურად ერისგან არჩეული მაინც და არაფერი დაუშავებია ისეთი, რის გამოც ღირდა სისხლის ღვრა მის გასაძევებლად. ვთქვათ, ის თავს ვერ ართმევდა თავის თანამდებობას! საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი ხელისუფლება რატომღა დაამხეს; ისინიც ხომ ხალხის უმრავლესობისაგან იყვნენ არჩეულნი?! განა, არ იცოდნენ, რომ ხელისუფლების ძალადობრივი გზით გაძევება ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობით სამშობლოს ღალატის მუხლით ისჯება და უმაღლეს განაჩენს ითვალისწინებს?! ამავე დროს, ყველა ის, ვისაც მონაწილეობა აქვს მიღებული ამაში, ღვთისგან მსჯავრდებულია, როგორც ძმათა მკვლელი და შეუნანებლობის შემთხვევაში, ცხადია, იმ ქვეყნად კაცის მკვლელთა გვერდით მოხვდება.

27.კითხვა: ეკუმენისტი სამღვდელო იერარქია, ძალიან ხშირად, ისეთ ქადაგებებს აქვეყნებს პრესაში, რომ ცდილობს, გაამართლოს ღვთისმბრძოლ

ხელისუფლებასთან მშვიდობიანი თანაარსებობა; რომ საჭიროა ყველანაირი ხელმწიფების მორჩილება; და გვიმტკიცებს ამას პავლე მოციქულის ამ სწავლებიდან გამომდინარე: „არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღვთისაგან, ხოლო არსებულნი ღვთის მიერ არიან დადგენილნი".

რას გულისხმობს პავლე მოციქული ამ სწავლებაში; შეიძლება თუ არა, ჩაითვალოს ღვთისგან დადგენილ ხელმწიფებად ლენინის, სტალინის, შევარდნაძე-ჯაბა იოსელიან-კიტოვანის და ახლა, ბოლოს, მ. სააკაშვილის ხელისუფლება?

პასუხი: აი, როგორ განმარტავს ზემოხსენებული ღირსი მამა თქვენს მიერ მოტანილ სიტყვებს თავის წერილში დიონისესადმი: „პოელიკს სწერდი შენ: რას ნიშნავს ეს: „არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღმრთისაგან? და ეკითხებოდი: ნუთუ, ყოველი უფროსი ღვთისაგან ინიშნება? — და გეტყვი ამის შესახებ: ვგონებ, შენ ან არ წაგიკითხავს პავლეს გამონათქმები ან ვერ გაგიგია ისინი. პავლეს არ უთქვამს, რომ არ არსებობს უფროსობა, თუ არა ღმრთისაგან, არამედ განსჯის თვით უფროსობაზე და ამბობს: არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღმრთისაგან. ეს იგივეა, რომ ხალხს ჰყავს უფროსობა: ერთნი უფროსობენ, ხოლო მეორენი ცხოვრობენ მათი უფროსობით — ეს არ ხდება უბრალოდ და შემთხვევით, ისე, რომ ხალხი ტალღების მსგავსად ეტაცებოდეს აქეთ და იქეთ, არამედ პავლეს სიტყვების თანახმად ეს არის ღვთის უდიდესი სიბრძნის საქმე. აკი, უმეთაურობა ყველგან ყველაფერზე საშინელია და ის ხდება მიზეზი არევ-დარევისა და მოუწესრიგებლობისა. ასევეა სხეულში: თუმცა, ის არის ერთი მთლიანი, მაგრამ მასში ყველაფერი არ არის თანაზომიერი, არამედ ერთნი უფროსობენ და სხვები ემორჩილებიან. ამიტომ, უფლება გვაქვს, ვთქვათ, რომ თვით საქმე, ვგულისხმობ ხელისუფლებას, ე. ი. უფროსობასა და მეფის ძალაუფლებას, დაშვებულია ღვთისაგან, რომ საზოგადოება არ დარჩეს მოუწყობელი. მაგრამ თუკი ვინმე უკეთურმა უკანონოდ ჩაიგდო ხელთ ძალაუფლება, მაშინ, არ ვამტკიცებთ, რომ ის ღვთის მიერაა დადგენილი, არამედ ვამბობთ: მასზე დაშვებულია, რომ ან გადმოანთხიოს მთელი თავისი ბოროტება, როგორც ფარაონმა და ამ შემთხვევაში, ხალხმა იტვირთოს უმძიმესი სასჯელი, ან გონს მოაგოს ისინი, ვისთვისაც საჭიროა სიმკაცრეც, როგორც ბაბილონის მეფემ გონს მოაგო იუდეველნი" (წმ. ისიდორე პელუსიელი, თხზულებანი, მ. 1860წ. ნაწილი II).

ღმერთი როგორც გვეუბნება: „არა კაც-ჰკლა!", მაგრამ უშვებს ანუ ბოლომდე ხელს არ უშლის კაცისკვლას, ასევე, გვეუბნება, რომ არაფერი მივიტაცოთ (მათ შორის, ძალაუფლებაც), მაგრამ უშვებს ამას, რომ მკვლელმაცა და მტაცებელმაც ადრე თუ არა, გვიან მაინც პასუხი აგოს, თუ ეს ცოდვა სინანულის ცრემლებითა და შესაბამისი საქმეებით ამქვეყნადვე არ ჩამოირეცხა. ასე, რომ რამდენადაც ღვთის ნება ზოგჯერ მისი სურვილია და ზოგჯერ — მისგან დაშვება, ჩვენ, რა თქმა უნდა, მისი სურვილი უნდა ვეძიოთ და ამოვიცნოთ, რომ ვიყოთ ღვთის ნასურვებნი და არა — მხოლოდ დაშვებულ-მიშვებულნი. ხომ გახსოვთ: „ურჩი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება ვნებასა!". ზოგჯერ პატრონიც აუშვებს ხოლმე თავის ცხენს, მაგრამ არა იმიტომ, რომ სხვას წიხლი ჰკრას. როგორც მოციქული ამბობს: „ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია" **(1 კორ. 10, 23).**

28.კითხვა: დღეს ერმა დაივიწყა ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების ცეცხლითა და მახვილით დამხობა და თანაც, იმდენად, რომ ძმათა სისხლის მღვრელ სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილე დამნაშავეებთან პოლიტიკურ ასპარეზზე გაერთიანებულ ოპოზიციას ტაშს უკრავს, ხოლო ამ ოპოზიციურ გაერთიანებაში ზვიად გამსახურდიას შვილ კონსტანტინეს ვხედავთ „პუტჩის" მომწყობ ბრალდებულებთან, განსაკუთრებით, გამოკვეთილ სახელმწიფო დამნაშავე-აქტივისტ გოგა ხაინდრავას გვერდით. გთხოვთ, განგვიმარტოთ, არის თუ არა ასეთი გაერთიანება ღვთიური და აპატია თუ არა ცოცხლებში გოგა ხაინდრავას, თენგიზ სიგუას, თენგიზ კიტოვანს (მიცვალებულებში ზურაბ ჟვანიას, ჯაბა იოსელიანს, სერგო ორჯონიკიძეს, ლენინს, სტალინს და სხვებს) ღმერთმა ჩადენილი ბოროტება; ხოლო თუ ღმერთს არ მიუტევებია, შეუძლია თუ არა ადამიანს, ასეთი რამ მეორე ადამიანს აპატიოს?

პასუხი: დავიწყოთ წყეული ლენინ-სტალინით! როგორც ცნობილია, რამდენიმე ათეული წლის წინ ერთ მოღვაწე დედას, რომელიც ლენინისათვის ლოცულობდა, ამ უკანასკნელის სული უფალმა გამოუცხადა და უთხრა: უთხრი მას, რომ მკვდრეთით აღვადგენ სამი დღის განმავლობაში, ოღონდ მთელს ქვეყანას აუწყოს, რომ შესცოდა, რაც მოიმოქმედა და შეინანოს! მოისმინა თუ არა ლენინის სულმა ეს უწყება, — არასოდესო, აღმოანთხია და საზარელი ხმებით გაუჩინარდა ჯოჯოხეთის ფსკერისაკენ. სტალინზე კი შეგნებულად არის გავრცელებული ხმები, რომ მან მოინანია **1943**წ-ს, გახდა მორწმუნე და მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება ეკლესიის საკეთილდღეოდ იღვწოდა... ჯერ ერთი, მას მხოლოდ პირადი ცოდვები არ ჰქონდა და სახალხო ბოროტებანი სახალხოდვე უნდა მოენანიებინა და გადამდგარიყო. სინამდვილე კი, სამწუხაროდ, სხვას გვეუბნება: მაგალითად, ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივან სუსლოვს **1947**წ-ს მიუთითებდა, რომ „არ უნდა დაგვავიწყდეს ხალხში ათეისტური პროპაგანდა". იპოდიაკონი ნ. სავჩენკო: „ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ შკაროვსკის ცნობათა მიხედვით, იმ **14 447**

ტაძრიდან, რაც **1949** წ. **1** იანვრისთვის იყო შემორჩენილი, სტალინმა გახსნა **1300**-ზე ცოტათი მეტი და ეს იმ დროს, როცა გერმანული ჯარისგან დაპყრობილ მიწებზე **10 000**-ზე მეტი გაიხსნა. ამას გარდა, **1948** წ-დან **1953**წ-მდე (მის გარდაცვალებამდე — მღვდ. გ. ს.) არცერთი ეკლესია არ გახსნილა, მაშინ, როცა **700**-ზე მეტი დაკეტვას დაექვემდებარა. თუ ამ ასეულობით ეკლესიას მივუმატებთ იმ ასეულებს, რომლებიც **1945**წ-მდე ყოფილ დაპყრობილ, მაგრამ წითელი ჯარისგან ,,განთავისუფლებულ" მიწებზე დაიხურა, გამოვა, რომ **1943**წ-დან **1953**წ-მდე სტალინის მიერ უფრო მეტი ეკლესია იქნა დახურული, ვიდრე გახსნილი. ასევე, სტალინს დამსახურებად ვერ ჩაეთვლება გამოშვების დაწყება ,,ჟურნალ მოსკოვსკოი პატრიარხიი"-სა და გახსნა სასულიერო სასწავლებლებისა. იმ წლების ,,ჟ. მ. პ." (,,ჟურნალ მოსკოვსკოი პატრიარხიი" — მღვდ. გ. ს.) გადავსებულია ,,ღვთივდადგენილი", ,,ღვთისრჩეული", ,,ღვთივგბოძებული, გენიალური უმაღლესი ბელადის", ,,ყველა ადამიანის იდეალის", ,,სოციალური სამართლიანობის ბურჯის", ,,მომავლის წინასწარმეტყველური ხედვის" მქონესა და ა. შ. სადიდებლებით. მოსკოვის საპატრიარქოს იმდროინდელი საკრებო განჩინებები და წერილები წარმოადგენენ აპოკალიფსის უპირველეს აღსრულებას: ,,თაყვანის-სცეს ვეშაპსა მას, რომელმანცა მისცა ხელმწიფებაი იგი მხეცსა მას; და თაყვანის-სცეს მხეცსა და იტყოდეს: ვინ არს მსგავს მხეცისა მის? ვინ შემძლებელ არს ბრძოლად მისა?" (,,გამოცხადება": 13, 4). ასევე, სრულიად გაუგებარია რედაქციის (ალმანახი ,,პრავოსლავიე ილი სმერტ!"-VII — მღვდ. გ. ს.) აღფრთოვანება, გამოწვეული ადგილობრივი ეკლესიების წინამძღოლთა და წარმომადგენელთა **1948**წ. კრების გადაწყვეტილებებით. აი, საბუთები, მოთავსებულნი შკაროვსკის წიგნში ,,რუსული მართლმადიდებელი ეკლესია და საბჭოთა სახელმწიფო **1943-1964** წლებში": რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბწოს მოხსენება სრულიად რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) ცენტრალურ კომიტეტში **14. 02. 47** და საბჭოს თავმჯდომარე გ. კარპოვის (სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გენერალი — მღვდ. გ. ს.) ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილი წერილი საშუალებას გვაძლევენ, დავინახოთ, რომ კრების ყველა გადაწყვეტილება ამ მოვლენამდე წელიწადნახევრით ადრე იყო დაგეგმილი და შთაგონებული სულაც არ იყო სულიწმინდით, არამედ ღმერთის წინააღმდეგ მებრძოლი ბოლშევიკური პარტიის ინტერესებით" (,,ვერტოგრად-ინფორმ", **7 (40), 1998;** პარიზი, **2001:** ,,საეკლესიო" სტალინიზმი — სერგიანული ,,ეკლესიოლოგიის" მეტასტაზი).

სამწუხაროდ, ლენინ-სტალინის მსგავსად არც მათ პირდაპირ თუ ,,მოკრძალებულ" მოწაფეებს შეუნანებიათ იმჟამად თუ ამჟამად. უნანელ ადამიანს კი, რა თქმა უნდა, ღვთისგან არ მიეტევება. ხოლო ვისაც ღვთისგან არ მიტევებია, მას სხვა, ბუნებრივია, ვერ მიუტევებს — სხვის ვალს მოვალეს გარდა ვინ გააუქმებს?!

თქვენ განსაკუთრებით გამოჰყავით გ. ხაინდრავა, რომელზეც შეგვიძლია, ვთქვათ შემდეგი: მას ნამდვილად ახასიათებს ვაჟკაცური თვისებები, მაგრამ თუნდაც დადებითი მუხტი თუ სწორი მიმართულებით არ წარიმართა, უარყოფითად იქცევა და გაქცევს უარეს შემთხვევაში ბარაბად, ხოლო უკეთეს შემთხვევაში — ბარ-კოჰბად. ის და მისი სამეგობრო რომ ეროვნული ხელისუფლების გვერდით დამდგარიყო, შესაძლოა, ის სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალება რუსეთის ფედერაციასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ვერც მოეხერხებინათ, ყოველ შემთხვევაში, ქართველთა ხელით. სამწუხაროდ, ჩვენთვის დამახასიათებელი სიამაყე და ურთიერთგაუტანლობა გვღუპავს პიროვნულადაც და ეროვნულადაც. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ გადაიკიდა მტრად ეს კაცი დღევანდელმა ხელისუფლებამ მაინც? ნუთუ, მხოლოდ იმიტომ, რომ მთავრობიდან მხოლოდ მან გაბედა და გამოესარჩლა უმოწყალოდ მოკლულ ბიჭებს?! იმ სახელმწიფო დანაშაულის საჯარო აღიარება, რაც მან სამხედრო დამნაშავეთა გვერდზე დგომით ჩაიდინა, მის ვაჟკაცობას მხოლოდ დაამშვენებს.

<u>29.კითხვა</u>: ასევე, გაუკეთეთ კომენტარი, შეიძლება თუ არა ილაპარაკოს მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ სამოქალაქო სამართლის უზენაესობაზე, მაშინ, როდესაც საკუთარი ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობებზე ჰყავდა დადგენილი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების სამხედრო გადატრიალებაში ბრალდებული ორი გამოჩენილი სახემწიფო დამნაშავე: ზურაბ ჟვანია და გოგა ხაინდრავა, ხოლო „პუტჩის" მომწყობი ლიდერი-დამნაშავე ციხის მაგივრად კრწანისის რეზიდენციაში უზით?!

<u>პასუხი</u>: საქართველოს ჰყავს კონსტი-ტუციურად კანონიერი ხელისუფლება — **1990**წ. **28** ოქტომბერს არჩეული პარლამენტი (უზენაესი საბჭო) და პრემიერ-მინისტრი, რომლებიც დღემდე იდევნებიან. ეს მათ უნდა დანიშნონ არჩევნები და სწორედ ამ გზით მოსული ხელისუფლება იქნება სამართალმემკვიდრე ეროვნული ხელისუფლებისა; წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც დღევანდელი ხელისუფლებაა არალეგიტიმური (ისევე, როგორც მისი წინამორბედი — „რევოლუციით" ჩამოგდებული), უკანონო იქნება ის ხელისუფლებაც, რომელიც არსებულის მიერ დანიშნული არჩევნებით მოვა, რადგან კანონიერი ხელიუსუფლების

წარმომადგენელნი ცოცხალნი და იურიდიულად მოქმედნი არიან.

30. კითხვა: მძიმე გადასატანია ის მოვლენა, რომ მ. სააკაშვილის სახით უღვთოობა აირჩიეს ისეთი ღვთისმოყვრე პრეზიდენტის მიმდევარმა მასებმა, როგორიც ზვიად გამსახურდია იყო; ხოლო ახლა ტელეკომპანია „იმედზე" ვნახეთ, ზვიად გამსახურდიას როგორ ადარებდა მ. სააკაშვილს ერთი ქალბატონი (თუ არ მეშლება, ეკატერინე ხერხეულიძე). გთხოვთ, განმარტება მოგვცეთ: ნუთუ, შეიძლება ზვიად გამსახურდიას შევადაროთ ისეთი ღვთისმბრძოლი, რომელმაც მძიმე ტექნიკით შეანგრია გლდანში არსებული ტაძრის კარები და მღვდელი ციხეში გამოამწყვდია? გთხოვთ, თქვენი აზრი მოგვახსენოთ, ამ ქალბატონის სახით და საერთოდ, ზვიად გამსახურდიასა და მ. სააკაშვილის მსგავსებას ვინც ამტკიცებს, რა სულიერ დაბრმავებასთან გვაქვს, ასეთ შემთხვევაში, საქმე?

პასუხი: ლომს ვეფხვიც ჰგავს და კატაც. ნეტავ, რომელ მსგავსებას გულისხმობენ — ვეფხვისა ლომთან თუ კატისა ვეფხვთან?!

31. კითხვა: გთხოვთ, განმარტება მოგვცეთ — მართლმადიდებლობასთან მიმართებაში რა ორგანიზაციებია ევროსაბჭო, ,,გა. ერ. ო." და ,,ნატო." და რატომ არიან ისინი დღეს, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით, საქართველოს ბედით ასე ძლიერ დაინტერესებულნი და თანაც, იმდენად, რომ ისეთ ძლიერ სახელწიფოს, როგორიც რუსეთია, ოპოზიციაში უდგანან; მაშინ, როდესაც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის საკითხში ყველა, რუსეთთან ერთად, ერთსულოვანი შეთქმულებით გაერთიანდა; გახსოვთ, ალბათ, ე. შევარდნაძეს მილოცვა მილოცვაზე მისდიოდა ზვიადის („ჩაუშესკუ") დიქტატორული რეჟიმის დამხობაზე, ამერიკიდან დაწყებული, ვაცლავ ჰაველით დამთავრებული; ხედავთ თუ არა ამაში მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მასონურ-გლობალისტურ შეთქმულებას?

პასუხი: თქვენს მიერ ჩამოთვლილი პოლიტიკურ-სამხედრო დაწესებულებები წარმოადგენენ იმ იარაღებს, რომლებითაც ბატონობენ და მსოფლიოს იპყრობენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. გავიხსენოთ, რატომ მაინცდამაინც მართლმადიდებლურ ქვეყანაში ,,გაიმარჯვა" ღმერთმებრძოლმა რევოლუციამ და შემდეგ, მისი ხელით, ძირითადად, მართლმადიდებელი ერები (საქართველო და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები) დაიპყრეს?! — სატანა, რა თქმა უნდა, ცდილობს, სწორედ ღვთის სწორად მადიდებელი ხალხები ჩაიგდოს ხელთ, თორემ, არამადიდებელი და არასწორად მადიდებელი ისედაც მის ბადეშია გახვეული. თქვენს მიერ ხსენებული ძალები, კარგა ხანია, აღარც მალავენ, რომ ამყარებენ ,,მსოფლიოს ახალ წესრიგს", რაც წარმოადგენს მათ მიერ შედგენილი პირამიდის მწვერვალს, რომლის სათავეშიც ტახტს დაუდგამენ წყეულ ანტიქრისტეს. ამ დაგეგმარებასა და სვლა-გეზში არ ჩაჯდა თქვენს მიერ ხსენებული ხელისუფლება, რომლის მართლმადიდებლურ-ეროვნული პოლიტიკაც შეფასდა ,,დინების საწინააღმდეგო ცურვად" და განაჩენიც ამის გამო გამოუტანეს.

მღვდელი მამა გიორგისგან ინტერვიუ აიღო იოსებ ღუდუშაურმა

შეხვედრა ჯოჰარ დუდაევთან

1991 წლის 27 ოქტომბერს მივლინებული ვიყავი გროზნიში ქართული დელეგაციის შემადგენლობაში, ჩეჩნეთის პრეზიდენტის არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსით. ჩვენ ჯგუფში შედიოდნენ უზენაესი საბჭოსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები.

გროზნიში სადღესასწაულო განწყობა სუფევდა. საარჩევნო უბნებთან ხალხის რიგები იდგა. მათ შორის ბევრი იყო მოხალისე მეომარი. ეს განწყობა ჩვენც გადმოგვედო. იყო შეგრძნება იმისა, რომ ხდებოდა რაღაც უჩვეულო, დიადი და რომ რუსულ ურჩხულთან ბრძოლაში ჩვენ მარტო არ ვიყავით. როდესაც გებულობდნენ, რომ საქართველოდან ვიყავით, სიხარულით გვესალმებოდნენ, მხარზე ხელს გვირტყამდნენ, მადლობას გვიხდიდნენ. „- ჩვენ ხომ ძმები ვართ, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ!“ - იძახდნენ ისინი. უკვე შუადღისთვის ცხადი გახდა, რომ ჯოჰარ დუდაევი ძალიან დიდი უპირატესობით იმარჯვებდა.

საღამოს გვაცნობეს, რომ ახლად არჩეულ პრეზიდენტს ჩვენთან შეხვედრა სურდა. მის კაბინეტს მივაშურეთ. რიგორც კი დაგვინახა, მკვირცხლად წამოდგა, ხელი მძლავრად ჩამოგვართვა და ჩვენი შთაბეჭდილებებით დაინტერესდა. ცხადია, ჩვენი აღტაცება გამოვხატეთ. შემდეგ თავად მოგვმართა: „- ზვიად კონსტანტინეს ძე, ჩემი დიადი(„ველიკი“) მასწავლებელია. ის არის კავკასიის ახალი შამილი. ჩვენ ერთად დამპყრობლისაგან გავათავისუფლებთ კავკასიას, შევქმნით დამოუკიდებელ სახელმწიფოებს გამჭვირვალე საზღვრებით!“

ისე ლაპარაკობდა, თითქოს სამხედრო ბრძანებებს გასცემდა. სიტყვებს გამოთქვამდა მკაცრად, გამოკვეთლიად. თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა.

ჩვენ ვთხოვეთ, რომ დამკვირვებლის მანდატზე ავტოგრაფი დაეტოვებინა.

ჩემს საბუთზე ასეთი წარწერაა:

„27.10.91.
ჯოჰარ დუდაევი.
გულწრფელი მეგობრობის გრძნობით.“



Пол. Д. Дудаева
Замаев И. - 22-14-80
Избирком - 22-35-47
Резиденция - 22-76-45

NOXČUN RESPUBLIKA
NOXČUN XALQHAN KONGRESAN
GHULLAQDARAN KOMITET

ИСПОЛКОМ ОБЩЕНАЦИОНАЛЬНОГО КОНГРЕССА ЧЕЧЕНСКОГО НАРОДА
28. 10. 91.

EXECUTIVE COMMITTER OF THE CHECHEN PEOPLE'S NATIONAL CONGRESS
г. Грозный

М.П. УДОСТОВЕРЕНИЕ №102
наблюдатель

ИСПОЛКОМ ОБЩЕНАЦИОНАЛЬНОГО КОНГРЕССА ЧЕЧЕНСКОГО НАРОДА УПОЛНОМАЧИВАЕТ Кикнадзе Нодар ОСУЩЕСТВЛЯТЬ КОНТРОЛЬ ЗА ВЫПОЛНЕНИЕМ РЕШЕНИЙ КОНГРЕССА ЧЕЧЕНСКОГО НАРОДА, НАПРАВЛЕННЫХ НА ДЕМОКРАТИЗАЦИЮ ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКОЙ ЖИЗНИ.

ПРЕДСЕДАТЕЛЬ ОРГКОМИТЕТА ОКЧР Д. АХМАДОВ

27. 10. 91.

მეცნიერული ხედვები, აზრები, კონცეფციები

მცირე ქვეყნების რაციონალური ადგილი პოლიტიკაში და მსოფლიო უსაფრთხოება

ვაჟა კაკაბაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ინჟინერ–გეოლოგი,
საქართველოს საინჟინრო
აკადემიის წევრ–კორესპოდენტი

ანოტაცია:

პოლიტიკურად დაძაბულ თანამედროვე გარემოში ქვეყნებს შორის კოლექტიურ უსაფრთხოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით კი ისეთი მცირე სახელმწიფოსათვის, როგორსაც საქართველო და მოლდოვა წარმოადგენს, რომელიც გარეშე ძალებზე დიდადაა დამოკიდებული და მისი, როგორც მცირე ქვეყნის პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენდეს საკუთარი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება; ამდენად, ამ ქვეყნისათვის დიდ მნიშვნელობას იძენ ისეთი თეორიების სიღრმესიული ანალიზი, როგორიცაა კოლექტიური სარგებლიანობის თეორია და, ასევე, „რაციონალური არჩევანის“ მოდელის ფარგლებში შექმნილი თეორიები, ამასთან ვთავაზობ ჩემს მიერ შემუშავებულ თეორიას „მომავლის უსაფრთხოების თეორიას“, რომელიც აგებულია სახელმწიფოთა ინტერესთა დაკმაყოფილების პრინციპებზე. „მომავლის უსაფრთხოების“ თეორია მოიცავს 2015 წელს პოლონეთის საერთაშორისო კონფერენციაზე წარმოდგენილ დოქტრინის ძირითად არსს:

Main determinants of doctrine of retaining of independence of former USSR republics (Georgia, the Ukraine).

შესავალი:

ოცდამეერთე საუკუნის პოლიტიკოსები პირველები არ იყვნენ ვინც მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენების მეცნიერული შესწავლა და გააზრება სცადეს. ჯერ კიდევ თუკიდიდე (471-400 ძ.წ., ათენი) თავის „ისტორიაში” აღწერს და იყენებს ისეთ ცნებებს, როგორებიცაა ძალთა ბალანსი, მოკავშირეობა, დიპლომატია, სახელმწიფო სტრატეგია, გამალებული შეიარაღება, ძლიერებისა და სისუსტის აღქმა და სხვა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ომის წარმოშობის მიზეზების კვლევას. პელოპონესის ომის (V ს. ძვ. წ.) მაგალითზე იგი დაასკვნის, რომ ამ ომის დაწყება განაპირობა შიშმა ერთი სახელმწიფოს მხრიდან მეორის ძლიერების განუხრელი ზრდის გამო. თუმცა ასეთ შიშს, როგორც ომების წარმოშობის მიზეზს, იგი არა იმდენად ადამიანის ბუნებას უკავშირებს, რამდენადაც სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის ხასიათს. კერძოდ კი იმას, რომ მსოფლიოში არ არსებობს

ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, რომელიც თანაბარ წესებს გაავრცელებდა საერთაშორისო ურთიერთობაში მონაწილე ყველა სუბიექტის მიმართ. ეს უკანასკნელი მიდგომა თანამედროვე პოლიტიკოსების კვლევაში არ ჩანს, მართალია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოყალიბდა ისეთი თეორიები რომლებიც დიდ პრაქტიკულ დატვირთვას ატარებს მაგრამ მაინც მოწყვეტილია იმ რეალობას რაც გამოთქმულია თუკიდიდეს - ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, რომელიც თანაბარ წესებს გაავრცელებდა საერთაშორისო ურთიერთობაში მონაწილე ყველა სუბიექტის მიმართ - ამ დებულებაში.

პოლიტიკური რეალიზმის თეორია, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა. მისი კლასიკოსები, ძირითადში, ამერიკელი მეცნიერები ჰ. მორგენთაუ, რ. ნიბური, ჯ. ქენანი, ჰ. ქისინჯერი და სხვები არიან [12; 14]. ამ მკვლევარების აზრით პოლიტიკა, ისევე, როგორც მთლიანობაში საზოგადოება, ობიექტური კანონებით იმართება, რომლის ფესვებიც ადამიანის უცვლელ ბუნებაშია და მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოს ძლიერება შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება: გეოგრაფიული მახასიათებლები, ბუნებრივი რესურსები, ეკონომიკური პოტენციალი, მოსახლეობა, მთავრობა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო ძლიერებაა. მათ ამ მოსაზრებას ვეთანხმები მაგრამ რუსეთის ფაქტორის არსებობის პირობებში მიმაჩნია, რომ თუკიდიდეს დებულება და ამ დებულებაზე აგებული ჩემი მოსაზრება უფრო რეალურია, რამეთუ მიმაჩნია, რომ პოლიტიკა ავტონომიურია ეკონომიკის, ეთიკისა თუ ადამიანის ცხოვრების სხვა სფეროებისაგან. ამიტომაც პოლიტიკის სფეროში ქმედებების შეფასება არ უნდა დაიწყოს არა საყოველთაო ზნეობრივი ნორმებისა და წესების თანახმად არამედ უნდა მოხდეს, პოლიტიკური შედეგიანობის მიხედვით და შემდგომში უნდა მოხდეს ზნეობრივი ნორმების დანერგვა ანუ პოლიტიკა უნდა გამომდინარეობდეს არა იქიდან, თუ რა უნდა იყოს, არამედ რეალური მდგომარეობიდან, იქიდან, რაც არის. დაახლოებით იგივეს ამტკიცებს პ. ციგანკოვი, მაგრამ ის რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებიდან გამომდინარეობს. ასევე უნდა აღინიშნოს ჯ. ქენანის დებულება, მას მიაჩნია:

,,საერთაშორისო სისტემა იერარქიული ხასიათისაა, ანუ მასში დიდი სახელმწიფოები ბატონობენ, ხოლო პატარა სახელმწიფოების სუვერენული სტატუსი სრული უაზრობაა და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, პატარა ქვეყნები ერთმანეთთან ომით მსოფლიო მშვიდობას დიდ ზიანს მიაყენებენ“. მაშასადამე ჩემი თეორია კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

ძალიან საყურადღებოა რ. გილპინის აზრი, რომელიც ეხება მცირე ქვეყნების უსაფრთხოებას და გამომდინარე იქიდან, რომ მცირე სახელმწიფოს არ შეუძლია თავისი ყველა ეროვნული ინტერესი დაიკმაყოფილოს, ამიტომ იგი მათ სხვადასხვა კომბინაციებს ირჩევს .

ძირითადი პოლიტიკური თეორიების მოკლე შინაარსი: მსოფლიოში არაერთი პოლიტიკური თეორია არსებობს, რომელიც განსხვავებული კუთხით ცდილობს ამა თუ იმ საერთაშორისო პოლიტიკური მოდელის უპირატესობის დასაბუთებას. ჩემი მოსაზრებით მათ შორის უნდა გამოვარჩიოთ სტრუქტურული ძალთა წონასწორობის თეორია, ეკონომიკური დამოკიდებულების თეორია და საფრთხის წონასწორობის თეორია. სტრუქტურულ ძალთა წონასწორობის თეორია ძირითადად ცნობილ სტრუქტურულ რეალისტს ქენეთ უოლცს უკავშირდება და ნეორეალიზმის თეორიული სკოლის ფარგლებში მოიაზრება. აღნიშნული თეორიის საბოლოო ფორმით ფორმულირებას უოლცი ახდენს 1979 წ. თავის წიგნში ,,საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“. მეორე თეორია (ეკონომიკური დამოკიდებულების თეორია) ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობას უსვამს ხაზს. ამ თეორიის მხარდამჭერი მეცნიერები ცდილობდნენ ემპირიულად გადაემოწმებინათ აღნიშნული თეორიების ვარაუდების რელევანტურობა და დაესაბუთებინათ, რომ ეკონომიკურ ფაქტორებს საერთაშორისო პოლიტიკაში პოზიტიური როლის შესრულება შეეძლოთ, რაშიც უდავოდ ვეთანხმები თუმცა თავად ვარაუდების რელევანტურობა აკნინებს ამ თეორიის მნიშვნელობას. მესამე თეორია (საფრთხის წონასწორობის თეორია.), ძირითადად აგებულია ამერიკელ მეცნიერის სტეფან უოლტს მიერ. ამ მეცნიერმა აღნიშნული თეორია ძალთა წონასწორობის თეორიის დაშვებების გადამოწმების გზით შექმნა. აღნიშნული თეორია, რომელიც, მიუხედავად იმისა რომ რეალიზმის

პარადიგმის ფარგლებში რჩება, უფრო მეტი საერთო პოსტკლასიკურ ან ნეოკლასიკურ რეალიზმთან აქვს, ვიდრე სტრუქტურულ რეალიზმთან (ნეორეალიზმთან). რაც მის პრაქტიკულ მნიშვნელობას ამცირებს, რამეთუ ძალთა წონასწორობის თეორია სახელმწიფოს ძლიერების ძირითად ინდიკატორებად ეყრდნობა ისეთ გაზომვად ცვლადებს, როგორიცაა: სამხედრო შესაძლებლობები, მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა, მოსახლეობის რაოდენობა და ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც შესაძლოა ხელს უწყობდეს, ან აფერხებდეს სახელმწიფოს მიერ საკუთარი სამხედრო შესაძლებლობების საერთაშორისო სისტემაში პროექციას და ამავდროულად სტრუქტურული ძალთა წონასწორობის თეორია ძლიერების შეფასებისას ეყრდნობა არა აბსოლიტურ კრიტერიუმებს.

ანალიზი: ზემოთ მოცემული თეორიებიდან ყურადღებას იმსახურებს ეკონომიკური დამოკიდებულების თეორია. ამ თეორიის თანახმად, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ შორის პოლიტიკური ურთიერთობების ხასიათს და ტრაექტორიას. თეორიის მთავარი არგუმენტია, რომ როდესაც ერთი სახელმწიფო მნიშვნელოვნად არის მეორე სახელმწიფოზე ეკონომიკურად დამოკიდებული, ანუ ადგილი აქვს ასიმეტრიულ დამოკიდებულებას ეკონომიკურ ურთიერთობებში, მაღალია ალბათობა, რომ პირველი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოსათვის მისაღებ საგარეო პოლიტიკას გაატარებს, ამის მაგალითია რუსეთის საზღვრებთან არსებული მცირე სახელმწიფოები და მათ შორის საქართველო და მოლდავეთი. იგივე შეიძლება ითქვას რუსეთსა და ევროკავშირს შორის არსებული ურთიერთობების ანალიზის საფუძველზე. ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიის თანახმად ეკონომიკური დამოკიდებულება დაქვემ-დებარებულ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ თავისუფლებას უზღუდავს და დამოკიდებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკას მარტივად პროგნოზირებადს ხდის. ეს არის მიტმასნების პოლიტიკა, რომელიც კარგად ჩანს პოსტ-საბჭოთა სივრცეში მყოფ ქვეყნების ქცევაში. მაგალითად: მილერი თვლის, რომ რაც უფრო მეტად არის რომელიმე პოსტ-საბჭოთა ქვეყანა რუსეთზე დამოკიდებული, მით უფრო მეტად ეცდება იგი მიეტმასნოს რუსეთს. მილერის აზრით, სახელმწიფოების ამგვარ არჩევანს ეკონომიკური და პოლიტიკური გათვლები განაპირობებს. თუ რუსეთზე ეკონომიკურად დამოკიდებული ქვეყნები რუსეთისთვის არასასურველი საგარეო პოლიტიკის გატარებას შეეცდებიან არსებობს საფრთხე, რომ რუსეთი გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ბერკეტებს „ურჩი" სახელმწიფოს დასასჯელად, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნას „ურჩი" სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას. შესაბამისად, მილერის არგუმენტის თანახმად, მმართველი პოლიტიკური ელიტები, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაა, ეცდე-ბიან არ გაატარონ რუსეთისთვის მიუღებელი საგარეო პოლიტიკა და საკუთარი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები კრემლის ხედვებთან თავსებადი გახადონ. ეკონომიკური დამოუკიდებლობის ყველაზე უფრო ძლიერი ინდიკატორია ენერგეტიკული დამოკიდე-ბულება: ამ შემთხვევაში, ძირითადად იგულისხმება ისეთი ენერგეტიკული რესურსები როგორიც არის ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია და ნავთობი. ეს სწორედ ის რესურსებია, რომელიც ქვეყნის ეკონიმიკის და მისი ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და რაც უფრო მაღალია ერთი ქვეყნის ენერგეტიკული დამოკიდებულება მეორე ქვეყანაზე, კერძოდ საქართველოს და მოლდავის რუსეთზე, მით უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ ეს ქვეყნები მიტმასნების სტრატეგიას აირჩევს, ამიტომ დასავლეთის ქვეყნებმა ეს პრობლემა უნდა მოუხსნან საქართველოს და მოლდოვას. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს ალტერნატიული ბაზრების არსებობის ფაქტორი, რამაც შესაძლოა ევროპის ქვეყნები დატოვოს რუსული ენერგორესურსების გარეშე და მაშინ ჩნდება ბევრი კითხვა. როგორც ვხედავთ ამ გარემოების არსებობა პირდაპირ განსაზღვრავს თუ როგორი ეფექტი შეიძლება გააჩნდეს სავაჭრო და ენერგეტიკული დამოკიდებულებას თუ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა ჩაანაცვლოს ერთი ბაზარი მეორეთი. მაშასადამე, გამოდის, რომ უფრო სუსტი სახელმწიფო კავშირში შეიძლება შევიდეს იმ სახელმწიფოსთან რომელიც ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის მას. მაგრამ, ამასთან საყურადღებოა მიჩელ შიიჰენის შეხედულება: „სახელმწიფოები კავშირში არ შედიან მხოლოდ

ძლიერების წინააღმდეგ. აუცილებლად უნდა არსებობდეს საფრთხის აღქმა“. და მართლაც: დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის ამერიკის ძლიერება 1945 წლიდან აღარ იწვევდა მათში შიშს, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი აგრესიული ქმედებებით საფრთხეს უქმნიდა მათ, ამჟამად კი რუსეთი, რომელიც საბჭოთა-კავშირის პოლიტიკური მემკვიდრეა. როგორც ვხედავთ ვითარება არ შეცვლილა. მაშასადამე სახელმწიფოს სიძლიერე კი არ წარმოქმნის საფრთხეს არამედ თავად საფრთხე ქმნის საფრთხეს და მის პროვოკაციას ახდენს, ისეთი ფაქტორები როგორიცაა: ძლიერება - რაც უფრო დიდია სახელმწიფოს ძლიერება პოტენციურად მით უფრო დიდი საფრთხის შემცველია იგი სხვა ქვეყნებისათვის. როდესაც სახელმწიფოს შედარებითი ძლიერება იზრდება, სხვა სახელმწიფოებმა შესაძლოა ეს საფრთხედ აღიქვან. შესაბამისად, სახელმწიფოს შედარებითი ძლიერების ზრდამ შესაძლოა დაბალანსებისა და კავშირის ფორმირების ტენდენციას შეუწყოს ხელი. ასე რომ, ძალთა ბალანსის თეორია ბოლომდე მცდარი არ არის, თუმცა, არასრული კი არის. ძლიერება მხოლოდ ერთ-ერთი და არა მაინცდამაინც ყველაზე მნიშვნელოვანია იმ ფაქტორებს შორის, რაც დაბალანსების ტენდენციას ზრდის. უოლტი მიიჩნევს, რომ ძლიერება საფრთხის აღქმაში მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია. მე, დავამატებდი: მაგრამ არა აუცილებელი. ამასთან უნდა აღვიშნო, რომნ ძლიერება მართალია არა ყველაზე მნიშვნელოვანი, თუმცა საჭირო ფაქტორია საფრთხის გასაზომად. და, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ: ძლიერი, მაგრამ არა აგრესიული ქვეყანა შეიძლება საფრთხეს არ წარმოადგენდეს, ისევე როგორც აგრესიული, მაგრამ სუსტი ქვეყანა მცირე საფრთხეა. თუმცა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გავით-ვალისწინოთ, თუ სუსტი ქვეყანა ვის მიმართ არის აგრესიული. თუ სუსტი ქვეყანა ემუქრება დიდ სახელმწიფოს (რაც ძალიან იშვიათად ხდება), მაშინ მუქარის ობიექტი მას დიდ საფრთხედ არ მიიჩნევს. თუმცა, თუკი სუსტი ქვეყანა მისსავე საპირწონეს (სუსტ ქვეყანას) ემუქრება, მაშინ ამ უკანასკნელმა შესაძლოა იგი დიდ საფრთხედ აღიქვას, მითუმეტეს თუ მას (აგრესორს) ზურგს უმაგრებს ძლიერი სახელმწიფო, მსგავსი ვითარებაა შექმნილი საქართველოს და მოლდავას შემთხვევაში. საფრთხის წონასწორობის თეორიის მთელი არგუმენტი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ ძლიერების ცვლადზე დაყრდნობით შეუძლებელია საფრთხის შეფასება. რადგანაც ძლიერება სახელმწიფომ ორი განსხვავებული მიზნით შეიძლება გამოიყენოს: დაემუქროს სხვა სახელმწიფოს, ან არ დაემუქროს, სწორედ აქ იკვეთება იმ დამატებითი ფაქტორების მხედველობაში მიღების აუცილებლობა, რომელიც საფრთხის ადეკვატურად გაზომვის საშუალებას მოგვცემს, ასეთია გეოგრაფიული სიახლოვე: სახელმწიფოები, რომლებიც ახლოს მდებარეობენ, პოტენციურად უფრო დიდ საფრთხეს ქმნიან, ვიდრე სახელმწიფოები, რომლებიც შორსაა, საქართველოსათვის და მოლდოვასათვის. ასეთი სიახლოვე რუსეთია და ეს საფრთხე გაორმაგებულია. მაშასადამე, ეკონომიკური დამოკიდებულება და გეოგრაფიული სიახლოვე ქმნის საფრთხეებისა და ასევე მიტმასნების პოლიტიკის შესაძლებლობების გარკვეულ პირობას, რომელიც კონფლიქტური ან თანამშრომლობითი ურთიერთობების განმაპირობებელი ხდება ან არ ხდება, რაც წარმოქმნის განზრახვათა სისტემებს. მაგალითად აგრესიული განზრახვები დაბალანსდებიან სხვა სახელმწიფოების მხრიდან. განზრახვების შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია მოკავშირეების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და ის ვითარების შესაბამისად იცვლება ამდენად ის უნდა განვიხილოდ როგორც ცვლადი ფუნქცია. რომელიც გამოსახავს ერთი სახელმწიფოს (მცირე) დამოკიდებულებას მეორე (აგრესიული) სახელმწიფოზე. და, თუ ძლიერი სახელმწიფო „B” და მცირე სახელმწიფო „S” ერთმანეთთან დაკავშირებულია ისე, რომ „B”-ის ყოველ გადაწყვეტილებას ეთანხმება „S” გარკვეული მდგომარეობა, მაშინ „S”-ს ეწოდება „B”-ს დამოკიდებულს, ანუ „B” არის დამოუკიდებელი, ხოლო „S” დამოკიდებული ცვლადი და მათ შორის დამოკიდებულება შეიძლება ასე გამოისახოს S=F(B). ჩემს მიერ წარმოდგენილი დამოკიდებულების ფუნქცია (ფორმულა) უფლებას მაძლევს ჩამოვაყალიბო მომავლის უსაფრთხოების თეორია. მომავლის უსაფრთხოების თეორია ითვალისწინებს ამჟამინდელი ეკონომიკური კეთილდღეობის დათბობის საფუძველზე მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ანუ ეს თეორია ითვალისწინებს რა S=F(B)-ის ფუნქციურ დამოკიდებულებას, ამბობს, რომ დამოკიდებლობის დანგრევის, ანუ დამოუკიდე-

ბლობის მისაღწევად აუცილებელია ფუნქციური დამოკიდებულების დაშლა თანაბარ ფუნქციურ დამოკიდებულებებად. პრაქტიკაში ამ თეორიის განხორიელება დამოკიდებულია ისეთ სახელმწიფოების ნებაზე, როგორიცაა იაპონია, აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. ამ თეორიის მთავარი მამოძრავებელი არსია აბსოლიტური ეკონომიკური ბლოკადა რუსეთს, და მოწოდება ამ მოძრაობაში ისეთი ქვეყნების ჩართვის, როგორიცაა გერმანია და სხვა ევროპის ქვეყნები, ასევე: თურქეთის, ირანის და ჩინეთის. ამგვარი კოალიცია შექმნის კოლექტიური სარგებლიანობის საფუძველს, სახელდობრ: ისეთი მცირე სახელმწიფოები, როგორიცაა მოლდოვა, საქართველო, პოლონეთი, აზერბაიჯანი, ფინეთი და ბალტიის ზღვისპირა ქვეყნები შეძლებენ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას და ინტიგრირებას რუსეთის გავლენის გარეთ არსებულ კოალიციურ სისტემაში. ასევე, ტერიტორიებს დაიბრუნებენ იაპონია და ჩინეთი. აშშ, გაიმაგრებს პოლიტიკურ პოზიციებს აფრიკისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, განიმუხტება დაძაბულობა აშშ-სა და ირანს შორის; ირანი თავისუფლად გაყიდის თავის ენერგორესურსებს ევროპის ქვეყნებში, თურქეთი მოაგვარებს ქურთების პრობლემას, დიდი ბრიტანეთი შეღავათიან პირობებში მიიღებს გაზს, საფრანგეთი, გერმანია და სხვა ევროპის ქვეყნები არ იქნებიან დამოკიდებული რუსეთის გაზზე და, ყოველივე ეს წარმოქმნის სამართლიანობის პრინციპზე აგებულ გაერთიანებათა სისტემის პირამიდას, რომლის შესასვლელი ღია იქნება უკვე მორჯულებული რუსეთისათვისმ ანუ მივუახლოვდებით თუკიდიდეს მოსაზრებას, რომ აუცილებელია: ,,ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, რომელიც თანაბარ წესებს გაავრცელებდა საერთაშორისო ურთიერთობაში მონაწილე ყველა სუბიექტის მიმართ. ევროკავშირი ამგვარ ინსტიტუს არ წარმოადგენს.

ზემოთ მოცემული თეორიის არ განხორციელების შემთხვევაში გარდაუვალია მსოფლიო ომი, რაც შექმნის ქაოსს და ადამიანის მოდგმის არსებობას შეუქმნის საშიშროებას, ან მსოფლიოში ყველა გარუსდება და ეს უკანასკნელი წარმოშობს ხალხთა დაპირისპირებას (ვინაიდან ერები არ იარსებებენ), დაიწყება კლანური დაპირისპირება,
რაც მსოფლიოს მიიყვანს კლანურ გაერთიანებასთან, შედეგი: ქაოსური ომი.

<u>დასკვნა:</u> რეალიზმი პოლიტიკურ მეცნიერებაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიდგომაა, რომლის მიხედვით ძირითადი სუბიექტი სახელმწიფოა, ძირითადი მამოძრავებელი იდეა - სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები, განმსაზღვრელი ფაქტორი – ძალა (სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური), ხოლო ძირითადი რეგულატორი - ძალთა წონასწორობა, რასაც ემორჩილება საერთაშორისო სამართალი და მორალი.

<u>მინიშნება:</u> პოლიტიკური რეალიზმი ამტკიცებს, რომ ქვეყნების საგარეო პოლიტიკა განისაზღვრება მათი მოწოდებით, მიაღწიონ ოპტიმალურ ძალაუფლებას (გავლენას). შესაბამისად, ქვეყნები ყოველთვის განსაზღვრავენ ეროვნულ ინტერესებს ძალაუფლების ოპტიმიზაციის პირობებში. სახელმწიფო დონეზე ეს შეხედულება ხსნის, რომ ყოველ ქვეყანას აქვს გავლენის ბუნებრივი გეოპოლიტიკური სფერო, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს პოტენციალს.

<u>რეზიუმე.</u> წარმოდგენილ სტატიაში განხილულია ის ძირითადი პოლიტიკური თეორიები, რომლებიც ნათლად ხსნიან მცირე ქვეყნების პოლიტიკური უსაფრთხოებას და წარმოდგენილია ამ თეორიების პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობა. ასევე სტატიაში შემოთავაზებულია მომავლის უსაფრთხოების თეორია და ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ცვლადი ფუნქცია, რომელიც გამოსახავს ერთი სახელმწიფოს (მცირე) დამოკიდებულებას მეორე (ძლიერ) სახელმწიფოზე და მათ შორის დამოკიდებულება გამოისახება შემდეგი თანაფარდობით: S=F(B). ჩემს მიერ წარმოდგენილი დამოკიდებულების ფუნქცია (ფორმულა) უფლებას მაძლევს ჩამოვაყალიბო მომავლის უსაფრთხოების თეორია. მომავლის უსაფრთხოების თეორია ითვალისწინებს ამჟამინდელი ეკონომიკური კეთილდღეობის დათბობის საფუძველზე მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას ანუ ეს თეორია ითვალისწინებს რა S=F(B)-ის ფუნქციურ დამოკიდებულებას, ამბობს, რომ დამოკიდებლობის დანგრევის ანუ დამოუკიდებლობის მისაღწევად აუცილებელია ფუნქციური დამოკიდებულების დაშლა თანაბარ ფუნქციურ დამოკიდებულებებად.

მ ა რ ა დ მ ო ს ა გ ო ნ ა რ ნ ი

გიორგი (გია) მაისაშვილი
(1962-2018)

2018 წლის 26 თებერვალს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გიორგი მაისაშვილი აშშ-ში გარდაიცვალა.

ჩვენს რიგებს გამოაკლდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წევრი, ცნობილი ეკონომისტი, საზოგადოებ-რივი მოღვაწე და პოლიტიკოსი, ღირსეული მამულიშვილი გიორგი მაისაშვილი.

1985 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1990 წელს გახდა მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ წევრი. მონაწილოეობა მიიღო საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" საარჩევნო პროგრამის ეკონომიკური ნაწილის შემუშავებაში, რითაც დიდი წვლილი შეიტანა 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პირველი მოწვევის უზენაეს საბჭოში საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" მიერ 250 მანდატიდან 155 მანდატის მიღებაში. იყო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ერთგული თანამებრძოლი, ქვეყნის ბედნიერი მომავლისთვის დაუცხრომლად მზრუნავი. მან თანამოაზრეებთან ერთად შექმნა ეკონომიკური კონცეფცია პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდისთვის“, რომლის განხორციელებაც ეროვნულმა ხელისუფლებამ 1991-1993 წლების ტრაგიკული მოვლენების გამო ვერ მოასწრო. ამის შემდეგ, მაისაშვილი აშშ-ში გადასახლდა.

1993 წელს სტენფორდის უნივერსიტეტში(აშშ) გაიარა სპეციალური კურსი. 1997 წელს დაამთავრა ჯონ ფ. კენედის სახელობის ჰარვარდის სამთავრობო სკოლა.

მუშაობდა ენერგეტიკულ კომპანია ენრონში, სადაც კორპორაციის რისკის ანალიზის განყოფილებას ხელმძღვანელობდა 2001 წლამდე. იყო კემბრიჯის ენერგეტიკული ასოციაციის (CERA) კასპიის აუზის ენერგეტიკული შემცველების დეპარატამენტის უფროსი.

იმავე პერიოდში ხელმძღვანელობდა საკონსულტაციო კომპანია „ჰერიკლე გრუპ“-ს.

2003 წელს გიორგი მაისაშვილი საქართველოში დაბრუნდა და ერთხანს იყო საქართველოს პრეზიდენტის ეკონომიკური კონსულტანტი.

2004 წელს დააარსა არასამთავრობო ორგანიზაცია „მომავლის მთავრობა“.

2006 წელს საკუთარი ძალისხმევით ჩამოაყალიბა ლიდერთა სკოლა.

2007 წელს დააფუძნა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომავლის პარტია“, რომლის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს სრული პოლიტიკური სტაბილურობა, ქვეყნის ერთიანობის უზრუნველყოფა, სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბება.

2008 წლის 5 იანვარს მონაწილეობა მიიღო საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში.

იყო სამართლიანობისთვის შეუდრეკელი მებრძოლი, მუდამ ზნეობრივი იდეალების სადარაჯოზე მდგომი. დიდად განსწავლული, ამავე დროს რომანტიკოსი-მეოცნებე. შეუძლებელია, თუნდაც ერთხელ მოგესმინათ მისთვის და სამუდამოდ მეხსიერებაში არ ჩაგრჩენოდათ მისი საუბრის საოცრად არტისტული მანერა: სახე გაბრწყინებული, გულწრფელი, შთაგონებული, ისე ლამაზად, იშველიებდა ხელებს, თითქოს გრანდიოზულ ორკესტრს დირიჟორობდა. არცერთი ზგერა, არცერთი მოძრაობა ყალბი, ხელოვნური... ყველაფერი ბუნებრივი და მომხიბლავი, განმტკიცებული თავისი საქმის ღრმა ცოდნით, დიდებული ანალიზით!

გია მაისაშვილი იღწვოდა ახალი, განათლებული, ჭკვიანი და მამაცი ლიდერთა თაობის აღსაზრდელად, რათა ხელი შეეწყო საქართველოს ერთიანობისა და საზოგადოებაში სოლიდარობის განვითარებისთვის. „ჩვენი ქვეყანა ახლა გაუგებარ მდგომარეობაშია. ჩვენ კი სამრეკლოზე არ ავდივართ, რომ იქიდან მთელი ბრძოლის ველი დავინახოთ. თითქოს პატარა სანგარშია მთელი ქვეყანა ჩამალული სადაც ერთმანეთის მეტს ვერავის ხედავენ. საკუთარ თავზე გაბრაზებულებს კი სხვაზე გადააქვთ ბრაზი. ზიზღისა და ბრაზის მდგომარეობიდან უნდა ამოვიდეთ ამას კი მაგალითის მიმცემი სჭირდება." - ამბობდა ის და თვითონვე იყო ამ მაგალითის მიმცემი. არასდროს გამოკიდებია თანამდებობებს, ჩინ-მედლებს, ქონებას...

სიცოცხლის ბოლო წლები უკურნებელ სენს ებრძოდა და აქაც, ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშიც იყო ღირსეული და გაუტეხელი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სპეტაკი სული, ბატონო გია, მშვიდობით!

ღვთისგან გაძლიერებულს, დალოცვილს და დაფარულს, ბატონ ზვიად გამსახურდიას – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს და მასთან ერთად სრულიად საქართველოს მთავრობის ყველა ღირსეულ წარმომადგენელს:

„ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად,
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
იგი გაჰხდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად."

საქართველოს ისტორიის ოქროს ხანაში, დიდი რუსთაველის მიერ დაწერილი ეს სტრიქონები, მარადის განაძლიერებდა ყოველ მამულიშვილს. ქართველს სწამდა, რომ ღმერთი არასოდეს მიატოვებს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრ ტანჯულ ქვეყანას, რომ ყოვლისშემძლებელს შეუძლია წამისყოფით ერთი მართლის ასად და უთვალავად გადაქცევა და უთვალავი მტრის ერთამდე, ან არარაობამდე განქარვება. საქართველო კი ყოველთვის მართალი იყო და მართლად რჩება ყოველი ქვეყნის წინაშე, მსოფლიოს ხალხთა წინაშე.

სამყაროს შემოქმედის სასიცოცხლო, სამშვიდობო და გადამრჩენი მოძღვრება „გიყვარდეს მტერი შენიო" - ისე მტკიცედ, ვაჟკაცურად და ღვთისნიერად არავის შეუსრულებია, როგორც ქართველს. საქართველო დიდი ისტორიის მქონე ქვეყანაა, თავისი უძველესი სახელმწიფოებრიობით, მაღალი კულტურით, ნათელი ხელოვნებით და იგი ღირსია სრული თანაარსებობისა. დაე, ყოველი ადამიანისათვის, გაენათებინოს ღმერთს გონება, რომ მას გაერჩიოს ერთმანეთისაგან მარადიული თავისუფლების დიდებულება, რისთვისაც დაიბადა იგი და შეეგრძნოს ის საშინელება, რაც გამოიხატება ადამიანისგან ადამიანის და ერისგან ერის ამქვეყნიურ დამონებაში, რამეთუ, ყველას მოგველოდება უფლის ცეცხლოვანი ტახტის წინაშე წარდგომა, სადაც, კაცად-კაცადს მიეგება საქმეთა მისთაებრ.

თქვენ დიდი ღვთისმოსავი ბრძანდებით; ღვთისმოსავია, თქვენთან ერთად, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობა. თქვენ სიცოცხლეზე მეტად გიყვართ ღმერთი და ჭეშმარიტება, გიყვართ საქართველო და ქართველი. ასეთივე სიყვარულს მიაგებთ ჩვენი ერის მოყვასთ. ყოველი ჭეშმარიტი ქართველის სიხარულით გილოცავთ გამარჯვებას.

ღმერთი და ყველა წმინდა იყოს თქვენი მფარველი თქვენს მოღვაწეობაში, რამეთუ, იგი საქართველოს ნათელი მომავალია.

აგარაკ-წალკელი და ბოლნელ-დმანელი

მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი),

ეპარქიის კეთილმორწმუნე მრევლით

* * *

სამშობლო, სამშობლო გახსოვდეთ,
სამშობლო გიყვარდეთ მარადის,
მის გულში მზის სხივებს აქსოვდეთ,
უმისოდ სიცოცხლე არა ღირს.

ვინც მისთვის ღამეებს ათენებს,
მამულს ეგულება ფარად ის...
გვახსოვდეს სამშობლო ქართველებს,
სამშობლო გვახსოვდეს მარადის!..

ლ ო ც ვ ა

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენ წინა,
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურცხვყო მე ლოცვა წმინდა . . .

არამედ მსურს მე, განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, არ იციან, ღმერთო, რას იქმან!

წმინდა ილია მართალი

ISSN 1987-7986 helsinkiunion@gmail.com

სარედაქციო კოლეგია: ნუკრი ბაღდავაძე - კოლეგიის თავმჯდომარე; ნოდარ კიკნაძე - მთავარი რედაქტორი; რატი გაგოშიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე; კლარა ტონია - პასუხისმგებელი მდივანი; დავით კაპანაძე - საინფორმაციო და კომპიუტერული უზრუნველყოფა; ზაზა კორტანელი - რედკოლეგიის წევრი საზღვარგარეთ.